

კონფლიქტის მოგვარების დიპლომატიური მცდელობები A2



საპროტესტო აქციების ახალი სერია A4



ძონძო არმანი A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — სამშაბათი, 25 ივლისი, 2006 წელი. №165 (1317) — ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


## ამბები

მმართველი პარტიის ფავორიტები დედაქალაქში A2





ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს: http://www.iwpr.net/sub-form.html

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 25/07 | 26/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 36 |
| ბათუმი | 28 | 32 |
| სოხუმი | 31 | 33 |
| ქუთაისი | 32 | 36 |
| გორი | 28 | 31 |
| თელავი | 34 | 36 |
| ონი | 25 | 28 |
| ზუგდიდი | 32 | 35 |
| ახმეტა | 35 | 36 |
| სამტრედია | 32 | 35 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7680 |
| ევრო | 2.2310 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2722 |
| რუბლი | 0.0657 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# კომპრომისი გამორიცხულია

### საქართველოს ხელისუფლება "მონადირის" ყოფილ სარდალთან მოლაპარაკებებს არ აპირებს

საქართველოს ხელისუფლება კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულთან ემზარ კვიციანთან კომპრომისზე წასვლას არ აპირებს. **"ერთადერთი, რაზეც შეიძლება კვიციანს და მის დაჯგუფებას დაველაპარაკო, თუ ისინი იარაღს ჩააბარებენ, როგორი საკნები ექნებათ მე-5 იზოლატორში, თუმცა მოლაპარაკებების წარმართვას მე მათთან არ ვაპირებ,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ემზარ კვიციანი და მისი დაჯგუფება კრიმინალები არიან და მათ სვანებთან საერთო არაფერი აქვთ. საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ იგი ვერ შეეგუება ქვეყანაში მოღალატეების არსებობას. მისი თქმით, **"ლიპარიტ ბაღვაში-აბაშიძე, რომელიც ქვეყნის მოღალატე იყო, უკვე განდევნილია საქართველოდან და ეს ყველამ კარგად დაინახა. ვინც კი შეეცდება, პრობლემა შეუქმნას ქვეყანას, აუცილებლად დამარცხდება".**

**"მინდა იცოდეს ყველამ, რომ ყველას დედას ვუტირებთ, ვინც სახელმწიფოებრივ ერთიანობას და თავისუფლებას საფრთხეს შეუქმნის. ეს ყველამ დაიმახსოვროს!"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ემზარ კვიციანის მიერ გამოცხადებული "დაუმორჩილებლობა" დაგმეს როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებმა. თუმცა, ოპოზიცია ყურადღებას კოდორის ხეობის რეალურ პრობლემებზეც ამახვილებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ემზარ კვიციანი სამშობლოს მოღალატეა და კვიციანის ქმედებები სამშობლოსათვის ლახვარის ჩაცემის მცდელობაა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტის რეკორდი

### ძველ ტიკში (მინისტრთა კაბინეტში) ახალი ღვინო (მთავრობა) ჩაასხეს

გიორგი ასანიშვილი

*ახალი მთავრობის დაკომპლექტებისა და მისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და, როგორც წესი, მინიმუმ, ორი კვირა გრძელდება ხოლმე. ამჯერად ეს მარათონული დისტანცია ხელისუფლებამ საკმაოდ მოკლე დროში, - სულ რაღაც სამ დღეში გაიარა. "რეკორდით" აღინიშნა გუშინდელი დღეც: პრემიერ-მინისტრის მიერ დეპუტატებისთვის სამთავრობო პროგრამის გაცნობას, ზურაბ ნოღაიდელისთვის კითხვების დასმას და მასზე პასუხების გაცემას, კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების გამოსვლას, რაც კენჭისყრით დაგვირგვინდა, მხოლოდ 35 წუთი დასჭირდა. საბოლოო ჯამში, მთავრობა პარლამენტიდან კმაყოფილი წავიდა: ნოღაიდელის განახლებულ კაბინეტს 151-მა დეპუტატმა ერთხმად დაუჭირა მხარი.*



*მთავრობა პარლამენტიდან კმაყოფილი წავიდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# რა გავლენას იქონიებს რუსეთის ემბარგო ქართულ ლარზე?

### ექსპერტები ეროვნული ვალუტის გაუფასურებას ვარაუდობენ

**B**

*რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგო პირველ ეკონომიკურ შედეგებს, უფრო ზუსტად, დანაკარგებს ითვლის. სხვადასხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური გათვლებით ქვეყანამ 40 მილიონამდე აშშ დოლარი დაკარგა, რაც საქართველოს მინერალური წყლებისა და ალკოჰოლური სასმელების მეზობელ სახელმწიფოში გაყიდვიდან უნდა მიეღო. ეს კი მომავალში ქვეყნის მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 35-პროცენტიან ზრდას უზრუნველყოფდა.*



# მხარდამჭერი ჟესტი

ვერიკო თევზაძე

**"ჩვენ დაუყოვნებლივ ვითხოვთ როგორც ახალი მოლაპარაკებების, ასევე ახალი სამშვიდობო მექანიზმების დანერგვას ცხინვალის კონფლიქტის ზონაში. უნდა გაფართოვდეს ეუთო-ს მონიტორინგის მანდატი არა მარტო ცხინვალში, არამედ ყოფილი სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე. ჩვენ ვსაუბრობდით ეუთო-ს პერსონალის გაზრდაზე კონფლიქტის ზონაში. საჭიროა კონტროლი საქართველო-რუსეთის საზღვარზე, რათა არ მოედინებოდეს იარაღი რუსეთიდან ამ ტერიტორიაზე,"** - ეს განცხადება გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ეუთო-ს წევრი-ქვეყნების ელჩებთან დახურული შეხვედრის შემდეგ მასმედიისთვის გააკეთა.

საქართველოში სტუმრად იმყოფება ეუთო-ს 13 ელჩისაგან შემდგარი დელეგაცია. თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებასთან მაღალი დონის შეხვედრების გარდა, უცხოელები მოლაპარაკებებს აწარმოებენ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პირველ პირებთან.

**"საქართველოს, ფაქტობრივად, ეუთო-ს მუდმივი საბჭოს ერთი მეოთხედი სტუმრობს. ჩვენ გადავწყვიტეთ საქართველოში ჩამოსვლა და მოვლენათა განვითარების შესახებ ინფორმაციის ადგილზე მიღება,"** - აღნიშნა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბელგიის ელჩმა ეუთო-ში ბერტრან დე კრომბრუგემ და იქვე დასძინა, რომ ეს ვიზიტი არის მხარდამჭერი ჟესტი საქართველოში ეუთო-ს მისიის მიმართ.

ბელგიის ელჩმა გაიხსენა ბრიუსელში ბოლო ხანს გამართული დონორთა კონფრენცია, სადაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის 10 მილიონი ევროს გამოყოფის შესახებ ითქვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვენის სამიტი - წინგადადგმული ნაბიჯი

### კოსოვოს სტატუსის პრობლემა შესაძლოა, ერთ წელიწადში მოგვარდეს

ხათუნა გაბიევი

სერბეთისა და კოსოვოელი ალბანელების ლიდერები კოსოვოს ომის შემდეგ პირველად შეხვდნენ სამიტზე ერთმანეთს, რომელიც გაერო-ს კონტროლქვეშ მყოფი სამხრეთული პროვინციის მომავალ სტატუსს ეძღვნება. ლიდერებმა შეხვედრა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც სერბეთმა კიდევ ერთხელ უარყო იდეა უმეტესად ეთნიკური ალბანელებით დასახლებული პროვინციისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

სერბეთის პრემიერ-მინისტრის ვოისლავ კოშტუნიცას განცხადებით, სერბეთის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოს შექმნის იდეა, რაც უფრო მალე იქნება დავიწყებული, მით უკეთესი ყველასთვის. ეს განცხადება კოშტუნიცამ ვენაში გაერო-ს ინიციატივით გამართულ სამიტზე გააკეთა. ამავე სამიტს კოსოვოს ეთნიკური ალბანელების პრემიერ-მინისტრი აგიმ ჩეკუც ესწრებოდა. მისი თქმით, სამიტზე მისი ჩასვლის მიზანი სერბეთისგან კი არა, საერთაშორისო საზოგადოების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება იყო. ვენაში სამიტს კოსოვოში გაერო-ს ელჩი მარტი აჰთისაარი ხელმძღვანელობდა, შეხვედრას სერბეთის პრეზიდენტი ბორის ტადიჩი და მისი კოსოვოელი კოლეგა ფატმირ სეჟდიუც ესწრებოდნენ.

ეთნიკური ალბანელები, რომლებიც კოსოვოს 1 800 000-კაციანი მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენენ, ბელგრადისგან დამოუკიდებლობას მოითხოვენ, მაშინ როცა ოფიციალური ბელგრადში კოსოვოს სერბეთის ნაწილად განიხილავენ და მისთვის მხოლოდ ავტონომიის მინიჭებას თანხმდებიან.

ვენის სამიტმა ალბანელი უმრავლესობის მოთხოვნა დამოუკიდებლობის შესახებ დღის წესრიგში პირველად გაერო-ს სამედიატორო პროცესში კოსოვოში 7 წლის წინ დასავლეთის ჯარების შესვლის შემდეგ დააყენა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთში ქართველი "ავტორიტეტები" ლიდერობენ

რუსეთის შსს-ს ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის მონაცემებით, დღეისთვის, რუსეთის შსს-ში ოპერატიულ აღრიცხვაზე იმყოფება ორგანიზებულ დაჯგუფებათა ლიდერები და "კრიმინალური ავტორიტეტები" - 1000-ზე მეტი კრიმინალი, მათ შორის, 200 "კანონიერი ქურდი".

დეპარტამენტის ინფორმაციით, "კანონიერი ქურდების" უმეტესობა ცხოვრობს მოსკოვში და მოსკოვის ოლქში, სანკტ-პეტერბურგსა და მის ოლქებში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეში.

შსს-ს წარმომადგენელთა განცხადებით, კრიმინალური სიტუაციის ანალიზმა ცხადყო, რომ რუსეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა კრიმინალურ დაჯგუფებათა ლიდერებისა და ავტორიტეტების - "კანონიერი ქურდების" გავლენა ორგანიზებულ დანაშაულზე, ასევე, მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებსა და ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებზე.

**"ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლმა სამსახურებმა მიაღწიეს სერიოზულ შედეგებს და ეს ბრძოლა კვლავ აქტიურად გაგრძელდება,"** - აცხადებს რუსეთის შს მინისტრის მოადგილე ანდრეი ნოვიკოვი. მისივე თქმით, დაკავებულია და გასამართლებულია მსხვილი კრიმინალური დაჯგუფებების არაერთი ლიდერი. რუსეთის შსს-მ სერიოზული სამუშაო ჩაატარა ბაზის შესაქმნელად, სადაც თავმოყრილია დეტალური ინფორმაციები კრიმინალური დაჯგუფებებისა და მათი ლიდერების შესახებ.

შსს-ს ინფორმაციით, 2006 წლის პირველ ნახევარში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 20 "კანონიერი ქურდი"; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის თანამშრომლებმა ჩაშალეს 10 ქურდული შეკრება, ე.წ. "სხოდკა".

გაგრძელება A4 გვერდზე

# სასწავლო წელი ახალი პროგრამებით დაიწყება

*თბილისისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის, აგრეთვე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამების პროექტების პრეზენტაცია ტაბახმელაში მოეწყო. ფაკულტეტებმა ახალი სასწავლო პროგრემების განხილვა და დამტკიცება სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მოასწრონ.*

ნინო ბერელიძე

საზოგადების ყველაზე დიდ ინტერესს მაინც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდგომი ფორმირების პროცესი იწვევს. ამ ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის პრეზენტაციას სულ 25 მეცნიერი დაესწრო, მიწვეულები იყვნენ რეფორმის მოწინააღმდეგე ამ დარგის სხვა პროფესორებიც, მათ შორის, ჯემალ მებონია და შოთა სანოძე, რომლებმაც შიმშილობის მიზეზით უარი თქვეს განხილვაში მონაწილეობაზე.

ფაკულტეტზე გაერთიანდა შვიდი მიმართულება (ყოფილი ფაკულტეტი): მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეგოგრაფია და გეოლოგია. ყველა ამ მიმართულებაზე არსებობს ორი სახის პროგრამა: ძირითადი პროგრამები (major) და მეორე სპეციალობები (minor). ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს კი მიენიჭებათ საბუნებისმეტყველო ბაკალავრის, მათემატიკის ბაკალავრისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხები. დიპლომში ჩაიწერება ძირითადი სპეციალობა, დამატებითი კი აისახება დიპლომის დანართში.

პროგრამის განხილვა მშვიდ და სამუშაო ვითარებაში მიმდინარეობდა, თუმცა, თავიდან აზრთა სხვადასხვაობა მათემატიკის სწავლებამ გამოიწვია. მეცნიერთა აზრით, გეოლოგს და მათემატიკოსს ერთნაირი სიღრმით არ სჭირდება ამ საგნის შესწავლა. თუმცა, საერთო შეთანხმებას მალე მიაღწიეს და განისაზღვრა, რომ ფაკულტეტზე შეისწავლება მათემატიკის სამი პროგრამა ანუ სამი განსხვავებული დონე.

საბაკალავრო პროგრამის პროექტი ამ ეტაპზე მხოლოდ პირველ სემესტრს მოიცავს. საბოლოოდ კი სწავლების პროცესში დაიხვეწება და შეიცვლება. ამისათვის გასათვალისწინებლი იქნება ახლად მოსული პროფესურის შენიშვნებიც. საგულისხმოა ისიც, რომ პროგრამის ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი წვლილი უნდა შეიტანონ მომავალმა სტუდენტებმა. ჯერ არავინ იცის, თუ როგორი პოტენციალის ახალგაზდები მოვლენ სასწავლებელში და რამდენად მზარდი იქნება მათი მოთხოვნები სასწავლო პროცესის მსვლელობისას.

სამუშაო დღითა და მიღწევებით ყველა კმაყოფილი იყო - განსაკუთრებით ეს ფაკულტეტის დეკანსა და უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ეტყობოდათ. **" ჩვენი მთავარი მიღწევა ისაა, რომ ბაკალავრიატის სტუდენტი იღებს ორ სპეციალობას - ძირითადს და დამატებითს. ამავე დროს, მინორის არჩევა ხდება სხვა სპეციალობებიდანაც, მაგალითად, ძირითადი სპეციალობა იყოს ფიზიკა და დამატებითი სპეციალობა კი - ინფორმატიკა. ამან განაპირობა ფაკულტეტის გამსხვილებაც -** განმარტავს ფაკულტეტის დეკანი არჩილ უგულავა **- თუმცა, რთულია მინორის სპეციალობის გადაცემა, რომლისთვისაც საჭიროა კარგი კოორდინირება. ადრე სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდა მიელო მხოლოდ ერთი ვიწრო სპეციალობა - შეიძლება ძალიან კარგადაც, მაგრამ ევროპული განათლების სისტემამ ცხადყო, რომ უმჯობესია ადამიანის ნიჭი და უნარი არ უკავშირდებოდეს მხოლოდ ერთ სპეციალობას. საგულისხმოა ისიც, რომ სტუდენტი გააზრებულად და დამოუკიდებლად ირჩევს მეორე სპეციალობას. ამ პროექტს კარგად იცნობენ ჩვენი კოლეგები, რომლებიც დღეს შიმშილობენ და აქციებს მართავენ. მათ ეს პროექტი ადრე გავაცანით და მაშინ მათგან არანაირი შენიშვნა არ გაგვიგონია. არც ახლა აქვთ რამე სათქმელი და რატომღაც ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანეს".**

ამ თემას გამოეხმაურა "24 საათან" საუბარში რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ განაცხადა: **"მზად ვარ, ინდივიდუალურად მივუდგე და გადავწყვიტო რამდენიმე მეცნიერის პრობლემა, თუ ამის სურვილი კიდევ აქვთ. რამდენიმე კვირის წინ შევხვდი მათ და ვთხოვე წარმოედგინათ სასწავლო პროგრამა. ისინი შემპირდნენ ამას, მაგრამ მას შემდეგ აღარავის მოუმართავს".**

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე წელს სულ 545 სტუდენტი ისწავლის.

# თურქმენეთი რუსეთს გაზის მიწოდებას შეუზღუდავს

25 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით თურქმენეთი რუსეთისთვის გაზის მიწოდებას შეზღუდავს. როგორც ქვეყნის გაზისა და მინერალური რესურსების სამინისტროში აცხადებენ, უზბეკეთისა და ყაზახეთის საზღვარზე მდებარე ნავთობსადენი "დოვლეტაბატი-დერიალიკი-ევროპა" რემონტს საჭიროებს.

ამის გამო, რუსეთს თურქმენული გაზის ყოველდღიური მიწოდება 75-80 მილიონი კუბური მეტრით შეეზღუდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*



**მეუღლე ინგა ლორთქიფანიძე, და ეთერ თვარაძე, შვილები ზაზა, ცოტნე, რუსუდან, სანდრო თვარაძეები, რძლები მანანა ჯიქია, ნათია თვარაძე, დისშვილი ლელა ლომაძე, შვილიშვილები სალომე, ელენე, საბა თვარაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე**

**რევაზ (რეზი) თვარაძე**

**პანაშვიდები გაიმართება 25, 26 ივლისს 6 სთ-ზე. მისამართი: ვერა, ტატიშვილის (ყაზბეგის) ქუჩა N17.
გამოსვენება 27 ივლისს 2 სთ-ზე
ვერის წმ. პამტელეიმონ მკურნალის ეკლესიიდან.**

**გაზეთ "24 საათის" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა**

**რეზი თვარაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

სალომე ბოლქვაძე, თამაზ, გიორგი, ნინო ლორთქიფანიძეები, ნათია გულიაშვილი, მატატა ჩიქოვანი, ნაირა, ზაზა, ლადო ბოლქვაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიძე და ბიძა **რევაზ თვარაძე**

# კონფლიქტის მოგვარების დიპლომატიური მცდელობები

თეა მაისურაძე

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ბეირუთში ჩავიდა, სადაც ის ლიბანის პრემიერ-მინისტრს, სინიორას შეხვდა და მასთან არსებულ რეგიონულ კრიზისზე ისაუბრა. კონდოლიზა რაისის ვიზიტი ბეირუთში ლიბანელი ხალხის მხარდაჭერის ერთგვარი გამოხატულებაა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ლიბან-ისრაელის კონფლიქტს უარყოფითად აფასებს და მხარეებს შერიგების პირობების შექმნისაკენ მოუწოდებს. კონდოლიზა რაისი მიიჩნევს, რომ კონფლიქტში ჩართულმა მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ საბრძოლო მოქმედებები, ხოლო რაც შეეხება "ჰეზბოლას" ტერორისტულ დაჯგუფებას, სასწრაფოდ უნდა მოხდეს მისი განიარაღება. ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ-ს სახელმწიფო მდივანი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულებას მოითხოვს, რაც სამხრეთ ლიბანში ახალი და ძლიერი საერთაშორისო ძალის ფორმირებას ითვალისწინებს.



*აშშ მხარეებს შერიგების პირობების შექმნისაკენ მოუწოდებს.*

კონდოლიზა რაისმა ლიბანის პრემიერ-მინისტრს დახმარება აღუთქვა, თუმცა ამასთანავე აღნიშნა, რომ "ტერორისტული დაჯგუფების" არსებობა სრულიად დაუშვებელია. ჯერ კიდევ შუა აღმოლსავლეთში გამგზავრებამდე კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ "ჰეზბოლას" აღარ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ ომში ჩაითრიოს ლიბანი და მთლიანად რეგიონი. ტერორისტული დაჯგუფების არსებობის პირობებში საუბარი კონფლიქტის მოგვარებაზე არარეალურია.

საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებაში. ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი ხავიერ სოლანა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ცდილობენ ლიბანში მრავალეროვნული სამშვიდობო ძალების შეყვანას. კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთ ვარიანტად ლიბანის სამხრეთით ბუფერული ზონის შექმნას განიხილავენ, სადაც საერთაშორისო ძალები განთავსდებიან. ისრაელის მთავრობა ამ იდეას მხარს უჭერს. პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი მიიჩნევს, რომ სამშვიდოებოების განლაგება უნდა მოხდეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მეთვალყურეობით. თუმცა, ოფიციალური იერუსალიმი ამავდროულად აღნიშნავს, რომ ისრაელის სახმელეთო ოპერაციები ლიბანის სამხრეთით კიდევ ათი დღის განმავლობაში გაგრძელდება. "ჰეზბოლას" ლიდერი შეიკ ნასან ნასრალაჰი აცხადებს, რომ სამხრეთ ლიბანზე შემოტევის გეგმა არ გაამართლებს და ებრაელები ამაში წარმატებას ვერ მიაღწევენ: **"გარწმუნებთ, რომ ისრაელი თავის მიზანს ვერ მიაღწევს,"** - განაცხადა მან.

ოფიციალური იერუსალიმის განცხადებით, "ჰეზბოლას" დაჯგუფების ქმედებებისაგან დაცვა არა მარტო ებრაელებს, არამედ ლიბანელ ხალხსაც სჭირდება.

ახლო აღმოსავლეთში დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში კონდოლიზა რაისი ისრაელის პრემიერ-მინისტრს ეჰუდ ოლმერტსა და პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მაჰმუდ აბასს შეხვდება. ამის შემდეგ ის რომში გაემგზავრება, სადაც ლიბანის კონფლიქტის მოგვარების საკითზე დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას.

აშშ-ს ადმინისტრაცია ლიბან-ისრაელის კონფლიქტზე პასუხისმგებლობას ტერორისტულ დაჯგუფებას "ჰეზბოლას", სირიასა და ირანს აკისრებს.

შეგახსენებთ, რომ ლიბან-ისრაელის კონფლიქტი უკვე 13 დღეა გრძელდება. ორმხრივ საბრძოლო მოქმედებებს 372 ლიბანელისა და 37 ებრაელის სიცოცხლე შეეწირა.

# მმართველი პარტიის ფავორიტები დედაქალაქში

*ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის მმართველმა პარტიამ კანდიდატების ნაწილი უკვე შეარჩია. სავარაუდოდ, ეს ის კანდიდატებია, რომელთან ერთადაც "ნაციონალური პარტია" ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებას შეეცდება, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ " ნაციონალური პარტიის" სიაში გარკვეული ცვლილებები შევიდეს.*

ნათია მსხილაძე

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ დროისათვის უკვე გადაწყვეტილია, რომ მმართველი პარტია სამგორში, თბილისის პრემიერს თემურ ქურხულს წარადგენს, ხოლო ისანში - ისანი-სამგორის რაიონის გამგებელს გიორგი ქორქაშვილს. **"ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული კონსულტაციები გავიარე. ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ ვარ, თუმცა ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებ, როგორიც საჭირო იქნება. ისე, ჩემს თავს აღმასრულებელ ხელისუფლებაში უფრო ვხედავ. დაზუსტებით არაფრის თქმა არ შემიძლია,"** - აცხადებს გიორგი ქორქაშვილი.

მმართველი პარტია ვაკეში ვაკე-საბურთალოს გამგებელს დავით იოსელიანს წარადგენს. **"სავარაუდოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის კენჭს საბურთალოს რაიონიდან უფრო ვიყრი, ვიდრე ვაკიდან. თუმცა ჯერჯერობით უცნობია საბოლოო გადაწყვეტილება,"** - აცხადებს დავით იოსელიანი.

კრწანისის კანდიდატი მთაწმინდა-კრწანისის გამგებელი დავით მესხიშვილი იქნება. **"ჩემთვის ცნობილია, რომ ასეთი გეგმა არსებობს, თუმცა რამდენად საბოლოოა, არ ვიცი. ამ საკითხთან დაკავშირებით პარტიაში გარკვეულ კონსულტაციებს გავივლით,"** - აღნიშნა დავით მესხიშვილმა.

რაც შეეხება მთაწმინდას, იქ თბილისის მერის გიგი უგულავას კანდიდატურაა წარდგენილი. დიდუბეში კი, ერთ-ერთი საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ზურაბ კიკალეიშვილი იყრის კენჭს, ხოლო ჩუღურეთში კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი კობა სუბელიანი მოიაზრება. **"მინდა გითხრათ, რომ აღნიშნულ თემაზე კონკრეტული საუბარი არავისთან მქონია. ეს ინფორმაცია ნახევარი ჟურნალისტებისგან ვიცი და ნახევარი ისე. ამ ეტაპზე დაზუსტებით არაფერის თქმა არ შემიძლია. ალბათ, ყველაფერი გაირკვევა,"** - აცხადებს კობა სუბელიანი.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის გლდანის კანდიდატად საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი მოიაზრება.

მმართველ პარტიას ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ აქვს, თუ ვინ იქნება ნაძალადევში მათი პარტიის კანდიდატი.

ამ ეტაპზე ასევე უცნობია, რამდენი წევრით დაკომპლექტდება თბილისის საკრებულო. ცნობილია მხოლოდ ის, რომ საკრებულოში 37 წევრზე მეტი არ იქნება.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

## მოკლედ

### ზურაბ ნოღაიდელი ბრიუსელში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დღეს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში გაემგზავრა, სადაც გაიმართება შეხვედრა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან 26+1 ფორმატით (ნატოს 26 წევრი სახელმწიფო + საქართველო). პრემიერ-მინისტრი ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ელჩებს შეხვდება. შეხვედრების ძირითადი სასაუბრო თემა იქნება საქართველოს მხარდაჭერა ნატო-ში გაწევრიანების გზაზე, ასევე ჩვენი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივები და დასახული გეგმები. პრემიერ-მინისტრი ევროკავშირისა და ევროკომისიის თავმჯდომარეებსაც შეხვდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ნატოში 26 ივლისს დასრულება. **ინტერპრესნიუსი**

### არიელ შარონის ჯანმრთელობა გაუარესდა

კომაში მყოფი ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ამის შესახებ შარონის მკურნალი ექიმი იუწყება. 78 წლის არიელ შარონი ექვსი თვის წინ მძიმე ინსულტის შემდეგ იქნა ჰოსპიტალიზირებული. მას შემდეგ იგი კომიდან არ გამოსულა. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ექიმები მიიჩნევენ, რომ ისრაელის ექს-პრემიერს სიკვდილი არ ემუქრება. არიელ შარონი ისრაელის პრემიერ-მინისტრი 2001 წელს გახდა. **ინტერპრესნიუსი**

### უარი დეპუტატის მანდატზე

"იულია ტიმოშენკოს ბლოკის" ფრაქციამ დღეს ღია სხდომაზე ხელი მოაწერა დოკუმეტს, რომლის თანახმადაც ფრაქციის წევრებმა უარი განაცხადეს დეპუტატის მანდატზე. უკრაინის კონსტიტუციის თანახმად, ფრაქციის წევრებს ავტომატურად ეხსნებათ სახალხო დეპუტატის სტატუსი. უკრაინის უმაღლეს რადაში "იულია ტიმოშენკოს ბლოკი" 125 დეპუტატით იყო წარმომადგენილი. ფრაქციამ გასულ კვირას პრეზიდენტისგან პარლამენტის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა მოითხოვა. თუ დღეს რადას კიდევ 26 დეპუატატი განაცხადებს ფრაქციიდან გასვლის სურვილს, უკრაინის პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება ექნება. **ინტერპრესნიუსი**

### აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ საკუთარი სამხედრო დანაყოფები სრულ მზადყოფნაში მოიყვანა

აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ საკუთარი სამხედრო დანაყოფები სრულ მზადყოფნაში მოიყვანა. აფხაზეთში განლაგებული სამშვიდობო ძალების სარდლის გენერალ ჩაბანის განკარგულებით გაძლიერებულია სამშვიდობო ჯარების საგუშაგოები. გულრიფშის რაიონში დაფიქსირდა სამხედრო ტექნიკის "არაგეგმიური" გადაადგილება. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან აცნობეს, აფხაზეთის მთავრობის საგანგებო თათბირზე განიხილეს საკითხი ქართული შეიარაღებული ძალების მიერ კოდორის ხეობაში სამხედრო ოპერაციის შესაძლო ჩატარების შესახებ. თათბირზე განაწილდა დავალებებიც. კერძოდ, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგებლებს "მოსალოდნელ შედეგებზე მსოფლიო საზოგადოებრიობის ინფორმირება დაევალათ". რუსეთის შესაბამის სამსახურებთან კოორდინირება "რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტს" რაულ ხაჯიმბას დაეკისრა. გადაწყდა, რომ დღეს საღამოსთვის გაიმართება საგანგებო თათბირი სამშვიდობო ძალების სარდლის გენერალ ჩაბანის, აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, გენშტაბის მეთაურის ანატოლი ზაიცევის, შს მინისტრის ოთარ ხეციასა და სხვა სამხედრო ჩინოვნიკების მონაწილეობით, სადაც განხილული იქნება "აფხაზური და სამშვიდობო ძალების კოორდინირებული მოქმედების გეგმა ქართული მხარის მიერ აფხაზეთის საზღვრებთან შესაძლო სამხედრო ოპერაციის ჩატარების შემთხვევისთვის". **ჯი-ეიჩ-ენ**

### ვლადიმირ ივანოვი: საქართველოს სამხედრო ავიაციამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უკანონო ფრენების რიცხვი მკვეთრად გაზარდა

საქართველოს სამხედრო ავიაციამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უკანონო ფრენების რიცხვი მკვეთრად გაზარდა, - ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსს" შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწემ, ვლადიმირ ივანოვმა, განუცხადა.

მისი თქმით, კვირას რუსული სამშვიდობო ბატალიონის პოსტებიდან, "ერედევიდან" და "ობობადან", ცისფერჩახფუტიანებმა სამხედრო თვითმფრინავი დააფიქსირეს, რომელიც 3-3,5 ათას მეტრ სიმაღლეზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჯავის მიმართულებით მიფრინავდა. მას თან ორი-სამი თვითმფრინავით შემდგარი ჯგუფი მოსდევდა.

საღამოს კი "წნელისის" პოსტიდან რუსმა სამშვიდობოებმა ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ სამი ქართული ვერტმფრენი შეამჩნიეს, რომლებიც 1000 მეტრ სიმაღლეზე დაფრინავდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# მხარდამჭერი ჟესტი

პირველი გვერდიდან

**"ჩვენი ვიზიტის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ჩასვლა და იმ ადგილების უშუალოდ მონახულება, რომელთა რეაბილიტაციის შესახებ იყო საუბარი კონფერენციაზე. ეუთო საკმაოდ ინტენსიურად მუშაობს საქართველოს მიმართულებით, საქართველოს საკითხი ძალზე ხშირად იხილება როგორც ეუთო-ს მუდმივ საბჭოზე, ასევე ეუთო-ს მინისტრთა საბჭოზე, რომელიც ახლახან შედგა. იქ საგანგებო დადგენილებაც იქნა მიღებული. ამ დადგენილების ძირითადი არსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება იყო,"** - განუცხადა ქართველ ჟურნალისტებს ეუთო-ს დელეგაციის ხელმძღვანელმა.

ბერტრან დე კრომბრუგე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს მხრიდან კიდევ ერთხელ დადასტურებას იმისა, რომ კონფლიქტის ორივე მხარე (ქართულ-ოსური) მონაწილეობას მიიღებს კონფლიქტის ზონის სოციალურ-ეკონომიურ რეაბილიტაციაში.



ბესო გულაშვილის ფოტო

*"ეს ვიზიტი არის მხარდამჭერი ჟესტი საქართველოში ეუთო-ს მისიის მიმართ".*

ვენაში ეუთო-ს შტაბ-ბინაში აკრედიტებული ელჩები საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის გარდა, გუშინ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძესაც შეხვდნენ. ბურჯანაძემ ეუთო-ს დელეგაციას განუცხადა საქართველოს ხელისუფლების მზაობის შესახებ, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებს ფართო ავტონომია მიანიჭოს და დაეხმაროს მათ ეკონომიკის განვითარებაში.

ეუთო-ს დელეგაციის წევრებს აინტერესებდათ, გამოიჩინა თუ არა თბილისის ცენტრალურმა ხელისუფლებამ რაიმე ინიციატივა ოსებთან და აფხაზებთან ცოცხალი კონტაქტების დასამყარებლად. საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სპიკერმა გაიხსენა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტი, როცა კონფლიქტების ზონაში მცხოვრები ბავშვები თავიანთი თანატოლების გასაცნობად თბილისში ჩამოიყვანეს. როგორც ბურჯანაძემ ელჩებს განუცხადა, სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებმა პროექტში მონაწილე ბავშვების მშობლები დააკავეს.

ეუთო-ს დელგაცია გუშინვე შეხვდა ყოფილ სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების დარეგულირების დარგში გოგა ხაინდრავას და მერაბ ანთაძეს, რომელმაც ამ პოსტზე ხაინდრავა შეცვალა.

დღეს ეუთო-ს ელჩები ცხინვალში გაემგზავრებიან. **"თვითგამოცხადება" არ არის დამოუკიდებლობის მოპოვების გზა, არსებობს სხვა გაცილებით უფრო კონსტიტუციური მექანიზმები,"** - როგორც ეუთო-ში ბელგიის ელჩმა კრომბრუგემ ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ პოზიციას იგი კოკოითთან და ბაგაფშთან შეხვედრისას გამოხატავს.

ერთკვირიანი მუშაობის შემდეგ, პარასკევს ეუთო-ს დელეგაციის საქართველოს ხელისუფლებასთან შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართება.

# პარლამენტის რეკორდი

პირველი გვერდიდან

საკანონმდებლო ორგანოში მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხის განხილვამ ზარ-ზეიმის გარეშე ჩაიარა. ნაკლებად ისმოდა დითირამბები და აღმასრულებელი ხელისუფლების ქება-დიდება. თუმცა, მთლად უამისობაც არ ყოფილა.

**"აქ წარმოდგენილი ადამიანების მიმართ საქართველოს მოსახლეობას საყვედური არ ეთქმის,"** - სამთავრობო ლოჟაში მყოფ პერსონებს შეეხმიანა განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი. მასთან ერთად, თამაზ ხიდეშელმაც მოუხადა მთავრობას მადლობა "ბრწყინვალე მუშაობისთვის".

თუმცა, გუშინ დეპუტატთა კორპუსი, მთლიანობაში, მაინც საკმაოდ ინდიფერენტული იყო. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრი პარლამენტში იშვიათი სტუმარია, მის წინაშე ერთი კითხვაც კი არ დასმულა(!). დეპუტატთაგან ერთადერთი სიტყვით გამომსვლელი ელდარ შენგელაია იყო: მისი აზრით, მთავრობის სამოქმედო პროგრამაში უნდა აისახოს ხელისუფლების ზრუნვა ქართული ენის განვითარებაზე...

ასეთი თვალშისაცემი პასიურობის ახსნა დეპუტატებს სულაც არ გასჭირვებიათ. ელდარ კვერნაძის "განმარტებით", ეს იყო "სასურველი პასიურობა".

**"ქვეყანა აღმავლობის გზაზეა და წინ მიდის, პრობლემები ნაკლებია, ამიტომაც არავინ უსვამს კითხვებს პრემიერ-მინისტრს,"** - ამტკიცებდა "ნაციონალი" პარლამენტარი.

ელდარ კვერნაძისგან განსხვავებული "ვერსია" აქვს ელენე თევდორაძეს. **"დეპუტატები დღეს იმიტომ არიან პასიურები, რომ კომიტეტებში კარგად ვიმუშავეთ და პრობლემებზე იქ ვიმსჯელეთ,"** - აცხადებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

პასიური პარლამენტის წინაშე ზურაბ ნოღაიდელმა თავისი ვალი გუშინ პირნათლად მოიხადა: მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში თითქმის არავინ უსმენდა, პრემიერ-მინისტრმა მაინც გულდასმით ჩაიკითხა მთავრობის სამოქმედო პროგრამა სახელწოდებით "ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის".

ამ დოკუმენტის თანახმად, მთავრობის მთავარ ამოცანად მიჩნეულია მეტი სამუშაო ადგილის შექმნა კერძო სექტორში; გამჭვირვალე და ქმედითი სახელმწიფო მმართველობა და თვითმმართველობა; ეფექტიანი მართლმსაჯულება; ქმედითი სამართალდამცავი სისტემა; გამოთანაბრებული რეგიონული განვითარება; ხარისხიანი და კონკურენტული განათლების შესაძლებლობა...

რაც შეეხება მთავრობის სამოქმედო პრიორიტეტებს, ამ შემთხვევაში წინა პლანზეა წამოწეული ეროვნული უსაფრთხოების თანმიმდევრული განხორციელება; ნატო-ში თანმიმდევრული ინტეგრაცია; კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად სამშვიდობო სამოქმედო გეგმების მიზანმიმართული განხორციელება; საბაზო ჯანდაცვის განვითარების პირობების გაუმჯობესება...

პარლამენტის მიერ ნდობით "აღჭურვილი" მთავრობის "პირადი შემადგენლობა" კი ასე გამოიყურება: პრემიერ-მინისტრი - ზურაბ ნოღაიდელი; მეცნიერებისა და განათლების მინისტრი - ალექსანდრე ლომაია; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი - დავით ტყეშელაშვილი; ეკონომიკური განვითარების მინისტრი - ირაკლი ჩოგოვაძე; ენერგეტიკის მინისტრი - ნიკა გილაური; თავდაცვის მინისტრი - ირაკლი ოქრუაშვილი; იუსტიციის მინისტრი - გია ქავთარაძე; კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი - გიორგი გაბაშვილი; ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი - გიორგი ხევიაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი - გელა ბეჟუაშვილი; სოფლის მეურნეობის მინისტრი - მიხეილ სვიმონიშვილი; ფინანსთა მინისტრი - ალექსი ალექსიშვილი; შინაგან საქმეთა მინისტრი - ივანე მერაბიშვილი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ვლადიმერ ჭიპაშვილი; სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში - გიორგი ბარამიძე; სახელმწიფო მინისტრი რეფორმების კოორდინაციის საკითხებში - კახა ბენდუქიძე; სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში - ზინაიდა ბესტაევა და სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში - მერაბ ანთაძე.

განახლებული მინისტრთა კაბინეტის 18 წევრიდან გუშინ პარლამენტში მხოლოდ 16 მათგანი იღებდა მილოცვებს - შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები საკანონმდებლო ორგანოში არ მისულან.


Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით: ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების„ ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR-ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

**ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:**

- შ. რუსთაველის გამზ. № 5; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006-დან
** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006-დან
*** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006-დან
**** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006-დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |


# ღია წერილი პირველ ლედის

**ქალბატონო სანდრა,**

ჩვენ, პანსიონატ "ბათუმის" მცხოვრებთა ერთი ნაწილი, იძულებული ვართ, მოგმართოთ თქვენ, რათა ვიპოვოთ სამართალი.

გასულ წელს პანსიონატი "ბათუმი", რომელიც პროფკავშირების საკუთრება იყო, აუქციონზე გაიყიდა. ამ სახლში ვცხოვრობდით სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები. ნაწილი ამ ხალხისა აჭარაში სტიქიის შედეგად დაზარალდა.

ჩვენს სახლში მცხოვრები 66 ოჯახიდან სახელმწიფომ ინვესტორს 28 ოჯახის სია გადასცა. შესაბამისად, ბიზნესმენმა ემზარ ბასილაიამ პანსიონატ "ბათუმიდან" გამოსახლებული 66 ოჯახიდან საკომპენსაციო თანხა - შვიდი ათასი დოლარი, მხოლოდ 28 ოჯახს მისცა. თუ რა კრიტერიუმებით შეირჩა აღნიშნული ოჯახები, დღესაც დიდ გაუგებრობას იწვევს ჩვენში.

რა დავაშავეთ ჩვენ, იმ ოჯახებმა, ვისაც ეკომიგრანტობის დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტი გაგვაჩნია? სამწუხაროდ, ეს დოკუმენტები, ჯერჯერობით, არაფერში გამოგვადგა. უფრო მეტიც, დევნილთა და განსახლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი კახა გუჩმანიძე დოკუმენტების ხელახლა მოგროვებას გვთხოვს.

ქალბატონო სანდრა! ჩვენ დღეს დარჩენილი ვართ ყოველგვარი თავშესაფრის გარეშე, ჩვენ შორის არიან მრავალშვილიანი ოჯახებიც. გარეთ, საშინელ წვიმაში, ბავშვებითა და ავადმყოფებით გამოგვყარეს. პანსიონატიდან გამოსახლებულმა, ყოველგვარ ფინანსურ სახსარს მოკლებულმა ათმა ოჯახმა, რომელთაც წასასვლელი არსად გვაქვს, ბათუმის ბულვარში, გაუქმებულ კაფე "ურჩხულს" შევაფარეთ თავი.

რკინის საწოლები, გაზქურა, აკვანი, მაგიდა, მორყეული სკამები - აი, ამ ავლადიდებით მოვიწყვეთ "საცხოვრებელი" "ურჩხულში", რომელსაც არც კარი აქვს, არც ფანჯარა და არც შუქი, სადაც ძლიერი ორპირი ქარი უბერავს და დაწოლის წინ თავზე "ადიალებს" ვიხურავთ, ბავშვს კი აჭარულ "იავნანაში" თბილად ვფუთავთ. ასეთ პირობებში უკვე 22 დღეა ვცხოვრობთ.

ჩვენ მთავრობისაგან დახმარებას ვითხოვთ, ძალოვანები კი უხეშობით და უკანონობით ცდილობენ ჩვენს შეშინებას. იძულებული გავხდით ე.წ. პალატკებისთვის შეგვეფარებინა თავი. პოლიციამ, 50 კაცის შემადგენლობით, უსახლკარო და ისედაც გატანჯული ოჯახები დაგვარბია. დაგვიმტვრიეს რაც გაგვაჩნდა, ყოველგვარ კითხვაზე პასუხგაუცემლად.

ვისთანაც კი მოვახერხეთ შეხვედრა, პასუხი ვერავინ გაგვცა. ჩვენ მათ შევახსენეთ ბატონი პრეზიდენტის სიტყვები, რომ პრივატიზაციის და ობიექტების გაყიდვის შემთხვევაში, არც ერთი ოჯახი უსახლკაროდ არ დარჩებოდა, მაგრამ ჩვენ ხელისუფლებას არაფრის გაგონება არ უნდა.

ქალბატონო სანდრა, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ამჟამად ბათუმში იმყოფებით, ისიც ვიცით, ჩვენი პრობლემებით თუ დაინტერესდებით, უამრავ დეზინფორმაციას მოგაწვდიან ჩვენს შესახებ, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, როგორც დედას, როგორც ქალს, გამოიჩინოთ კეთილი ნება და თქვენ თვითონვე გაეცნოთ ჩვენს პრობლემას და თავადვე დარწმუნდეთ, რომ ჩვენ არა გამომძალველები, აფერისტები (როგორც ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი გვიწოდებს), არამედ სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები ვართ, რომელთაც მხოლოდ თქვენი გულისხმიერების, სათნოებისა და სამართლიანობის იმედიღა დაგვრჩა.

განმცხადებლები:
ს. მახარაძე, რ.კაკალაძე,
ა.გორგაძე, თ ქამადაძე,
ლ. ლილუაშვილი,
თ. ჯორბენაძე, ბ. შაინიძე,
ზ. საგინაძე, ბ. ჭელიძე,
ნ. თებიძე

# კომპრომისი გამორიცხულია

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, ყველა პოლიტიკურმა ძალამ კვიციანის განცხადებებს ადეკვატური შეფასებები უნდა მისცეს. **"მე ვიცი, რომ კვიციანი ხეობის მოსახლეობის სახელით არ საუბრობს. მივმართავ ხეობის მოსახლეობას, აღკვეთოს კვიციანის უმსგავსო საქციელი. ამ ხეობის მოსახლეობის ღირსების საკითხია, გასცეს პასუხი კვიციანს,"** - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისივე თქმით, აბსოლუტურად მიუღებელია კვიციანის ქმედებები და განცხადებები, მით უმეტეს, იმ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, რომელზეც დღეს საქართველო იმყოფება: როდესაც ხდება რადიკალური გარდატეხა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, ხდება უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება რუსი სამშვიდობოების საქართველოდან გაყვანასთან დაკავშირებით.

ემზარ კვიციანის მოთხოვნას მოლაპარაკების მიზნით კოდორის ხეობაში დეპუტატ გიგა ბოკერიას, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის და სახელმწიფო მინისტრის რეფორმების კოორდინაციის საკითხში კახა ბენდუქიძის ჩასვლის თაობაზე გუშინ მხოლოდ გიგა ბოკერია გამოეხმაურა. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის განმარტებით, ხელისუფლებისთვის გაუგებარია, თუ რის თაობაზე უნდა აწარმოოს კვიციანთან დიალოგი, რადგან მას ყოველდღე განსხვავებული მოთხოვნები აქვს. ბოკერიას თქმით, კვიციანს, **"რომელიც კოდორის ხეობაში, ფაქტობრივად, არაფერს წარმოადგენს"**, მოღალატის პოზიცია უკავია და **"მოღალატეთათვის არის შესაბამისი სამართლებრივი ნორმა"**.

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" გმობს ემზარ კვიციანის მიერ გაკეთებულ განცხადებებს დაუმორჩილებლობის შესახებ, თუმცა აცხადებს, რომ ხეობის მოსახლეობის პროტესტს გარკვეული ობიექტური საფუძველი გააჩნია. როგორც გუშინ ფრაქციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ზურაბიშვილმა აღნიშნა, მათთვის დაუშვებელი და გაუმართლებელია კვიციანის საქციელი, თუმცა გასაგებია, რატომ აცხადებს პროტესტს კოდორის მოსახლეობა. **"აღნიშნული რეგიონი, ფაქტობრივად, ფრონტისპირა რეგიონია და აბსოლუტურად სხვაგვარ, განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. საქართველოს ხელისუფლებას კი აღნიშნული რეგიონი მიგდებული ჰყავს, თუმცა ჩვენთვის დაუმორჩილებლობა მაინც აბსოლუტურად მიუღებელია,"** - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

"დემოკრატიული ფრონტი" მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ყველა მშვიდობიანი საშუალება გამოიყენოს იმისათვის, რომ კოდორის ხეობაში სიტუაცია მშვიდობიანად განიმუხტოს.

**"როგორც არ უნდა დასრულდეს კოდორის ხეობის პრობლემის გადაჭრის საკითხი, ქვეყნისათვის ძალიან ცუდი იქნება, რადგანაც კოდორის ხეობის აღნიშნული პრობლემა საქართველოს წარმოაჩენს, როგორც ერთ-ერთ არასტაბილურ ქვეყანას,"** - აღნიშნა დავით ზურაბიშვილმა.

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე ხელისუფლებისგან ემზარ კვიციანთან მოლაპარაკებების დაწყებას ითხოვს. როგორც გამყრელიძემ განაცხადა, საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად უნდა დაადასტუროს, რომ კოდორის ხეობაში არ ჩატარდება სპეცოპერაცია და დაიწყება მოლაპარაკებები ემზარ კვიციანთან.

გამყრელიძის აზრით, დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს კოდორის ხეობაში მოქმედი ბატალიონი "მონადირე" და გაგრძელდეს მისი დაფინანსება. ამასთან, უნდა დაიწყოს ჭუბერ-საკენის საავტომობილო მაგისტრალის აღდგენა და დაინიშნოს თბილისი-კოდორის რეგულარული ავიარეისები.

გამყრელიძის შეფასებით, კოდორის ხეობაში ვითარების გამწვავება გამოწვეულია ბატალიონ "მონადირის" გაუქმებით, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისგან იყო დაკომპლექტებული და ის სახელმწიფოსაგან ხელფასს იღებდა. "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მისთვის **"კატეგორიულად მიუღებელია კვიციანის გეგმები"**.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია ცენტრალურ ხელისუფლებას მოუწოდებს, არ დაიწყოს სპეცოპერაცია კოდორის ხეობაში. მჟავიას აზრით, კოდორის ხეობაში სპეცოპერაციის ჩატარება შესაძლებელია, გაუთვალისწინებელი და ტრაგიკული შედეგებით დამთავრდეს. მჟავიასთვის ემზარ კვიციანის მოთხოვნები მიუღებელია, მაგრამ, მისი აზრით, შექმნილი მდგომარეობის განმუხტვა მხოლოდ მოლაპარაკებების გზითაა შესაძლებელი.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თქმით, ის მზადაა, პირადად ჩავიდეს კოდორის ხეობაში და მიიღოს მონაწილეობა დიალოგის დაწყებაში.

იმავდროულად, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა აცხადებს, რომ ის წინააღმდეგია კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლებამ სპეცოპერაცია ჩაატაროს. აშუბას თქმით, ნებისმიერი სპეცოპერაცია აფხაზეთში არაპროგნოზირებადი და უარყოფითი შედეგებით დამთავრდება.

*24 საათი*

# ვენის სამიტი - წინგადადგმული ნაბიჯი

პირველი გვერდიდან

**"დამოუკიდებლობა ჩვენი მოთხოვნის თავი და ბოლოა. დამოუკიდებლობის სურვილი არც იგნორირების და არც მოლაპარაკებების საგანი არ შეიძლება გახდეს,"** - განაცხადა კოსოვოელი ალბანელების პრეზიდენტმა სერბეთის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე.

გუშინდელი შეხვედრა დაპირისპირებული მხარეების ლიდერთათვის პირისპირ საუბრის პირველი შესაძლებლობა იყო. რაც შეეხება დასავლეთის პოზიციას, ევროპული სახელმწიფოები და აშშ პრობლემის ერთ წელიწადში მოგვარების მომხრენი არიან. მათი თქმით, დიპლომატები შეძლებენ დამოუკიდებლობის რაიმე ფორმის მონახვას.

კოსოვოელი ალბანელების სასარგებლოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის მინიჭებაზე საუბარი, თუნდაც კულუარებში, სერბების წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც აქტიურია. მაკედონიის სააგენტოს "მაკფაქსი" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტის სპეციალური კოორდინატორი ერჰარდ ბუსეკი აცხადებს, რომ ვენაში შეხვედრა უკვე წინგადადგმული ნაბიჯია და კოსოვო აუცილებლად მოიპოვებს დამოუკიდებლობას.

**"უდავოა, რომ ეს ხანგრძლივი პროცესი იქნება, მაგრამ პროვინცია აუცილებლად გახდება დამოუკიდებელი სახელმწიფო. სერბეთის პოზიცია კოსოვოსთან დაკავშირებით რეალობას აღარ პასუხობს,"** - აღნიშნავს ერჰარდ ბუსეკი.

შეხვედრის დასრულების შემდეგ დელეგაციების წევრებმა გოთიკურ ოთახში საერთო ფოტოც გადაიღეს. თუმცა, ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევის ინიციატივა არც ერთ მხარეს არ გამოუჩენია.


net2phone

**Net2Phone (salesgeorgia@net2phone.com) - მსოფლიოს წამყვანი კომპანია VoIP ტექნოლოგიაში ეძებს პარტნიორებს საქართველოში**

თუ თქვენი კომპანია დაინტერესებულია IP-ტელეფონიის სერვისების შეთავაზებით, ან ის უკვე იმყოფება IP-ტელეფონიის პროვაიდერი, Net2Phone - ის სპეციალიზირებული სრული გადაწყვეტილებები სწრაფი დანერგვის გეგმით და მისი ბიზნეს განვითარების ჯგუფი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას წარმატებული თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:**
georgia@net2phone.com

*მოკლედ*

## შეხვედრა ეუთო-ს დელეგაციასთან

საქართველოს იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაციის - ეუთო-ს დელეგაციას შეხვდა, რომელსაც ბელგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბერტრან დე კრომბრუგე ხელმძღვანელობს.

იუსტიციის მინისტრი სტუმრებს ესაუბრა საქართველოში მიმდინარე სამართლებრივ რეფორმაზე. ევროპის კომისიის დახმარებით, შემუშავდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის გეგმა, რომლის განხორციელებაზე პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით მოქმედი სამართლებრივი რეფორმების კოორდინაციის ხელშემწყობი კომისია ზრუნავს. სამოქმედო გეგმა რეფორმის ცხრა მიმართულებას მოიცავს.

სტუმართა ინტერესის გათვალისწინებით, გია ქავთარაძემ პენიტენციური სისტემის რეფორმაზე ისაუბრა. მინისტრის განცხადებით, სასჯელაღსრულების სისტემაში პოზიტიური ცვლილებებია. გაიხსნა ორი ახალი, ევროპული სტანდარტების საპყრობილე. დაგეგმილია მოქმედი დაწესებულებების შეკეთება და ახალი ციხეების გახსნა. რამდენიმე საპყრობილესთან უკვე მოქმედებს საზოგადოებრივი კონტროლის კომისია. მათი დასკვნით, ციხის ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის ურთიერთობა დადებითისაკენ მკვეთრად შეიცვალა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა პატიმართა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაზე.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო რეესტრის სისტემის წარმატებულ რეფორმაზე, რომლის განხორციელებაში იუსტიციის სამინისტროს, სხვა დონორ ორგანიზაციებთან ერთად, ფინანსური დახმარება ეუთომაც გაუწია. სამოქალაქო რეესტრის სისტემაში, "ერთი სარკმლის პრინციპიდან" გამომდინარე, გაერთიანდა საპასპორტო და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურები. მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, მაქსიმალურად გამარტივდა მომსახურების პროცედურა და შემცირდა დოკუმენტების გაცემის ვადა. რეფორმის ფარგლებში, ამოქმედდა კურიერის ინსტიტუტი, რომლის მეშვეობით რაიონებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღება გაიოლდა.

მინისტრის თქმით, მოქალაქეთა მომსახურების გამარტივების მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა რაიონულ ცენტრებში იუსტიციის სახლის შექმნაზე, რომლის მიზანია იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიული სამსახურების ოფისების ერთ შენობაში განთავსება.

ეუთო-ს დელეგაციასთან შეხვედრაზე იუსტიციის მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დახმარებით, იუსტიციის სამინისტროში მომზადებულ კანონპროექტზე "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ".

ეუთო-ში სხვადასხვა ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების დელეგაცია საქართველოს გუშინ ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია. **24 საათი**

## შესაწყალებელი პატიმრების სია პრეზიდენტს

პატიმართა შეწყალების მუდმივმოქმედმა კომისიამ პრეზიდენტთან შეწყალებაზე 26 პატიმარს გაუწია რეკომენდაცია.

როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თავდორაძე აცხადებს, მიმდინარე წელს კომისიამ პირველი სხდომა გამართა და 108 პატიმრის განაცხადი განიხილა. ამჯერადაც შეწყალებაზე ის პატიმრები წარადგინეს, ვისაც არ ჰქონდათ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, მოხდილი ჰქონდათ სასჯელის ნახევარი, ან იყვნენ პირველად ნასამართლევები. შეწყალებაზე წარდგენილ მსჯავრდებულთაგან ერთი ქალია. "რამდენ პატიმარს შეიწყალებს პრეზიდენტი, ჯერჯერობით უცნობია, - აცხადებს თევდორაძე. მისივე თქმით, შეწყალების მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე პატიმართა შეწყალებას პრეზიდენტმა ბოლოს, მიმდინარე წლის მაისში მოაწერა ხელი. ეს მასალები კომისიამ პრეზიდენტთან გასული წლის დეკემბერში გადაგზავნა. **პრაიმ-ნიუსი**

## თავდასხმა პოლიციელზე

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა.

ამჯერად ფრონეს ხეობაში, ქარელიდან ავნევის მიმართულებით შინ მიმავალ ქართველ პოლიციელს, 44 წლის ჯუმბერ დურგლიშვილს, სოფელ მუგუთთან თავს დაესხნენ შეიარაღებული ოსი ეროვნების ფორმიანები. თავდამსხმელებმა ქართველი პოლიციელის ავტომანქანას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხნეს.

ჯუმბერ დურგლიშვილმა ზურგის არეში ოთხი ჭრილობა მიიღო, თუმცა დაჭრილ პოლიციელს სვლა არ შეუნელებია, და მძიმე მდგომარეობაში მიაღწია ავნევის პოლიციის მიმდებარე ტერიტორიამდე. ის მოგვიანებით, შემოვლითი გზებით, პოლიციის თანამშრომლებმა გორის ქირურგიულ განყოფილებაში გადაიყვანეს.

ექიმები აცხადებენ, რომ ჭრილობები რთულია, თუმცა ამ დროისათვის დურგლიშვილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. თავად დაჭრილი თავდასხმის მოტივს ვერ ასახელებს. მისი მეუღლე ნანა დურგლიშვილი კი აცხადებს, რომ შეიარაღებული ოსებისთვის თავდასხმის მიზეზად ისიც საკმარისია, რომ ჯუმბერ დურგლიშვილი ქართული პოლიციის თანამშრომელია.

თუმცა, არ გამოირიცხება მეორე ვერსიაც, დურგლიშვილი მიცუბიშის მარკის "ჯიპით" გადაადგილდებოდა და, შესაძლოა, ავტომანქანის წართმევის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი. **ინტერპრესნიუსი**

## ქუთაისში "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისი გაქურდეს

გუშინწინ, გვიან ღამით, ქუთაისში "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისი გაქურდეს. მძარცველებმა შენობაში შეღწევა ფანჯრის გადაჭრილი გისოსიდან მოახერხეს. წინასწარი ინფორმაციით, ოფისიდან გატანილია მთელი ტექნიკა. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისი იმერეთის ადამიანის უფლებათა სახლში მდებარეობს. შენობაში ამ ორგანიზაციის გარდა, სახალხო დამცველის ოფისი და მაჟორიტარი დეპუტატის ნინო ბურჯანაძის ბიუროა განთავსებული. შენობას დაცვა არ ჰყავს. **ინტერპრესნიუსი**

## სარეაბილიტაციო ცენტრი ქუთაისის №2 საპყრობილეში

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის №2 საპყრობილესა და ზოგადი რეჟიმის დაწესებულებაში, გუშინ, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით, ქიმიურ ნივთიერებაზე დამოკიდებულ პატიმართათვის სარეაბილიტაციო ცენტრი გაიხსნა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ანალოგიური ცენტრი გასული წლის ოქტომბრიდან არსებობს ქალთა დაწესებულებაშიც, სადაც ალკოჰოლზე და ქიმიურ საშუალებებზე დამოკიდებულ რამდენიმე მსჯავრდებულს ფსიქოთერაპიული მეთოდით მკურნალობენ. მკურნალობა ორივე სარეაბილიტაციო ცენტრში ნებაყოფლობითია. **პრაიმ-ნიუსი**

## გამოძიება უფლებამოსილების გადამეტებაზე

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

საქმე ს/ს "ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანას" ეხება, რომლის დირექტორმა ბადრი მელაძემ სააქციო საზოგადოების ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი ქალაქის მერიას უსასყიდლოდ გადასცა, რა დროსაც მან კანონი დაარღვია.

დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, ჩატარდება ქარხნის ინვენტარიზაცია და საბუღალტრო დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით დაიწყო, რაც "უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას" გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

# საპროტესტო აქციების ახალი სერია

"დაისაჯონ სიკვდილის ბრიგადები", "დაისაჯონ შს სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები" "გათავისუფლდნენ სინდისის პატიმრები", "მიეცით სიცოცხლის სიგნალი", "შენი სიცოცხლე საფრთხეშია", "დაიცავი სიცოცხლის უფლება", "მკვლელები ციხეში", "ქალაქში ვანოა", - ამ შინაარსის პლაკატების გაკვრას თბილისის ქუჩებში, არასამთავრობო ორგანოზაციების წევრები, პოლიციელების მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ახერხებენ.

დაპირებისამებრ, "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებმა და მათმა მხარდამჭერმა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გუშინ საპროპტესტო აქციების ახალი სერია დაიწყეს.

**"დედაქალაქში პლაკატები მუდმივად გაიკვრება, სანამ პროტესტი შედეგს არ გამოიღებს, ეს აქციები ყრუ ხელისუფლებისთვის ეწყობა, რომელსაც ხალხის ხმა არ ესმის",** - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

არასამთავრობოები მერაბიშვილის მინისტრად დამტკიცების შემთხვევაში საზოგადოებას საყოველთაო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდნენ. "არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ" გუშინ სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის ოჯახის წევრებთან ერთად საგანგებო პრესკონფერენციაც გამართა. როგორც გაირკვა, არასამთავრობოთა გუშინდელი პრესკონფერენცია პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე ახალი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებას მიეძღვნა.



*აქციების ახალი სერია ძველი შინაარსით.*

**"სიკვდილის ბრიგადირს" კვლავ ამტკიცებენ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანო ქართველ ერს კიდევ ერთ დიდ შეურაცხყოფას მიაყენებს",** - ასეთი შინაარსის განცხადებები კეთდებოდა გუშინ როგორც პრესკონფერენციაზე, ასევე, ქუჩაში, სადაც აქციის მონაწილეებს გამვლელი მძღოლებიც უერთდებოდნენ ხმოვანი სიგნალებით.

**"ხელისუფლების წევრები, რომლებიც ხმას მისცემენ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ვანო მერაბიშვილის დამტკიცებას, მოღალატეები იქნებიან. ვანო მერაბიშვილის დამტკიცება "სიკვდილის ბრიგადირად" ხელისუფლების მხრიდან ცინიზმია",** - აცხადებდნენ როგორც სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის ოჯახის წევრები, ასევე, არასამთავრობოები.

რესპუბლიკის მოედანზე დაწყებულმა აქციამ, მშვიდობიანი საპროტესტო მსვლელობით პარლამენტის შენობის წინ გადაინაცვლა.

*24 საათი*

# "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" აპროტესტებს

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ვანო მერაბიშვილის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დამტკიცებას აპროტესტებს.

**"ვთვლით, რომ ვანო მერაბიშვილის საქმიანობა უნდა შეფასდეს მკვეთრად უარყოფითად. მივიჩნევთ, რომ საქართველოს პარლმენტმა არ უნდა დაამტკიცოს იგი შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე,"** - აცხადებენ ორგანიზაციაში.

როგორც იურისტები მიიჩნევენ, პოლიციის ძირითად ფუნქციას მოსახლეობის უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვა უნდა წარმოადგენდეს, თუმცა, ბოლო პერიოდში პოლიცია არა თუ იცავს ადამიანის უფლებებს, არამედ ხშირ შემთხვევებში მის ძირითად დამრღვევად გვევლინება.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" საზოგადოებას სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან კანონდარღვევების რამდენიმე გამორჩეულ მაგალითს, მათ შორის, სანდრო გირგვლიანის გახმაურებულ საქმეს ახსენებს.

**"დასავლეთის ნებისმიერ ქვეყანაში მხოლოდ ეს ფაქტი იქნებოდა საკმარისი მინისტრის გადადგომისათვის",** - აცხადებენ ახალგაზრდა იურისტები.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსნის, მათ შორის პრესსამსახურის ყოფილი უფროსისა და თბილისის საპატრულო პოლიციის ყოფილი უფროსის დანაშაულს იხსენებენ. საუბარია, 19 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმეზე.

**"ე.წ "სპეცოპერციების" დროს მოკლული ადამიანების ყოვლად გაუმართლებელი რაოდენობა ასევე მიუთითებს სამინისტროს სისტემაში არსებულ დაბალ პროფესიონალიზმსა და დაუსჯელობის სინდრომზე. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მხოლოდ 2006 წელს ამგვარ ქმედებას ემსხვერპლა სულ მცირე 24 ადამიანი, მათ შორისაა ისეთი გახმაურებული შემთხვევები, როგორიცაა 2006 წლის 16 თებერვალს, გიორგი თელიას მკვლელობა, კიზირიას, ზურაბ ვაზაგაშვილის და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობა და სხვა ფაქტები",** - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

იურისტების თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სისტემატურად ამეტებენ საკუთარ უფლებამოსილებას და აყენებენ შეურაცხოფას მასმედიის წარმომადგენლებს, მათ მაგალითად მოიყვანეს გუშინ გურჯაანში პოლიციელთა მხრიდან აქციის დარბევის ფაქტი, სადაც შეურაცხყოფა მიაყენეს ჟურნალისტს. საუბარია ასევე საპატრულო პოლიციის უფროსის ზვიად ცაგარეიშვილის მიერ ორი ჟურნალისტის ცემაზე.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა" ასოციაცია მიესალმება დამნაშავეებთან ბრძოლას, თუმცა აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად ვანო მერაბიშვილის საქმიანობის დროს მკვეთრად გაუარესდა ადამიანის უფლებების კუთხით მდგომარეობა და ამგვარად, მისი საქმიანობა მკვეთრად უარყოფითად უნდა შეფასდეს.

**"ამრიგად, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, არ დაამტკიცოს ვანო მერაბიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე",** - ნათქვამია "საიას" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

*24 საათი*

# რუსეთში ქართველი "ავტორიტეტები" ლიდერობენ

პირველი გვერდიდან

შსს-ს მონაცემებით, რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი 200-ზე მეტი "კანონიერი ქურდი" კრიმინალური დაჯგუფებების იდეოლოგები არიან და ორგანიზებულ დაჯგუფებათა შორის წარმოქმნილ დავას სწორედ ისინი განიხილავენ. გარდა ამისა, აკონტროლებენ ფეშენებლურ რესტორნებს, სათამაშო და პროსტიტუციის ბიზნესს, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას. "კრიმინალურ ავტორიტეტთა" დიდი ნაწილი იმყოფება რუსეთის სამხრეთით, სადაც ისინი აკონტროლებენ სასტუმრო-საკურორტო ბიზნესს და ალკოჰოლური სასმელების წარმოებას.

სამართალდამცველი სტრუქტურების მონაცემებით, ბოლო პერიოდში "კანონიერი ქურდები" ხშირად არღვევენ "კრიმინალურ კოდექსს" - ახდენენ შავი ბიზნესის ლეგალიზაციას, წარმოებებს ლეგალურად ამუშავებენ და, მეტიც, სამთავრობო კავშირების გამოყენებით სახელისუფლებო სტრუქტურებში შეღწევასაც ცდილობენ.

"კანონიერ ქურდებს" ტრადიციულად, ძირითადად, ნარკოტიკების მოხმარება-შენახვის ბრალდებით აკავებენ, თუმცა, მათი დაკავების ოფიციალური ბრალდებები ასევე ხშირადაა შეიარაღებული თავდასხმა, ქურდობა და თაღლითობა.

რუსეთის შსს-ს მონაცემებით, მათ მიერ ბოლო დროს დაკავებული "კანონიერი ქურდები" "მამუკა" და "ლიმპუსი" ეჭვმიტანილები არიან ერთ-ერთ კაზინოში მომხდარ შეიარაღებულ თავდასხმაში. დაკავების სპეცოპერაცია ორ ქალაქში ჩატარდა. საქართველოს მოქალაქე მამუკა ნებიერიძე ჩელიაბინსკში დააკავეს, მისი "მარჯვენა ხელი", დაღესტნელი აბდულა დაუდოვი, მეტსახელად "ლიმპუსი" კი კიშტიმში კაფე "ლოტოსში". სპეცრაზმელებმა მათთან ერთად აიყვანეს კრიმინალური დაჯგუფების კიდევ ექვსი წევრი, ყველანი კავკასიელები.

რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, "მამუკა ქართველი" და "ლიმპუსი" არა ერთხელ არიან ნასამართლები. თუმცა, აქამდე არავის მოუთხოვია მათთვის პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცების, გამოძალვისა და იარაღის კონტრაბანდისთვის. აპრილის თვეში მათ მოაწყვეს თავდასხმა კაზინოში, სადაც ბეისბოლის ბიტებით დაემუქრნენ კაზინოს თანამშრომლებს და გაიტაცეს 30 ათასი მანეთი, თანაც, დაამტვრიეს სათამაშო ავტომატები. მილიციის ინფორმაციით, ბანდის წევრები დადანაშაულებული არიან თაღლითობასა და გამოძალვაში. რუსი მილიციელების ინფორმაციით, ქართველი "კანონიერი ქურდის" მამუკა ნებიერიძის მეთაურობით მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების მსხვერპლი კიშტიმისა და ჩელიაბინსკის ბიზნესმენები ძალზე ხშირად ხდებოდნენ.

მანამდე, მარტის თვეში, მოსკოველმა სამართალდამცველებმა დააპატიმრეს 33 წლის "კანონიერი ქურდი" ასევე ქართველი, ზედმეტსახელად "წრუწი". ადრე ნასამართლებ ქართველ "ავტორიტეტს" რუსმა სამართალდამცველებმა აღმოუჩინეს პისტოლეტი და 4,5 გრამი ჰეროინი. რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, მათ დააკმაყოფილეს ქართველი კოლეგების მოთხოვნა და "წრუწი" ქართულ მხარეს გადმოსცეს.

ცოტა ხნის წინათ დააპატიმრეს 30 წლის კაზბეკ შახბულატოვი, იგი გახლდათ ჩეჩნური კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი და აკონტროლებდა სხვა დანაშაულებრივ დაჯგუფებებსაც, რომლებიც დაკომპლექტებული იყო კავკასიელებით.

რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, დღეისთვის რუსეთში მოქმედებს 100 ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომლის შემადგენლობაშიცაა ოთხი ათასი წევრი. მათგან 70 დაჯგუფება აკონტროლებს ეკონომიკურ სფეროს, ხოლო დანარჩენები მუშაობენ მკვლელობებზე, შეიარაღებულ თავდასხმებზე, ქურდობასა და თაღლითობაზე. რუსეთში მოქმედ კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის ყველაზე აქტიურები არიან კავკასიელები, რომლებსაც ქართველი "კანონიერი ქურდები" ლიდერობენ.

რუსეთის შსს-ს მონაცემებით, რუსეთში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფებები აქტიურად თანამშრომლობენ უცხოელ "კოლეგებთან". მათ გააჩნიათ სერიოზული ტრანსნაციონალური კავშირები უცხოეთის 40 ქვეყანასთან, პირველ რიგში, დსთ-ს ქვეყნების კრიმინალურ წრეებთან.

ზაფხულის 5 საღამო
მაგთისგან

დასწრება უფასოა

მობრძანდით და ისიამოვნეთ
თანამედროვე ქართული მუსიკით!



გეპატიჟებით ყველას მცხეთის "თეატრონში"

პარასკევს, 28 ივლისს, 18:30-ზე, ჯგუფების:
33ა და Georgian Version
კონცერტზე

მცხეთის „თეატრონი" თბილისიდან ოციოდე წუთის სავალზე, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ისტორიული ძეგლის — ბებრისციხის — კალთებზეა განლაგებული, სადაც არც მოსვლა გაგიჭირდებათ და არც მანქანის გაჩერება.

უფასო ავტობუსები გადის 18:00, 18:30
სპორტის სასახლე, მეტროს სადგურები დელისი, დიდუბე და ავლაბარი.
ინფორმაციისათვის დარეკეთ: 25 00 00, 25 11 11

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

DEZA DIREKTION FÜR ENTWICKLUNG UND ZUSAMMENARBEIT
DDC DIRECTION DU DÉVELOPPEMENT ET DE LA COOPÉRATION
DSC DIREZIONE DELLO SVILUPPO E DELLA COOPERAZIONE
SDC SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION
COSUDE AGENCIA SUIZA PARA EL DESARROLLO Y LA COOPERACIÓN

Staatssekretariat für Wirtschaft
Secrétariat d'Etat à l'économie
Segretariato di Stato dell'economia
State Secretariat for Economic Affairs
seco

განცხადება

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანთა უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".**

კურსი ჩატარდება 2006 წლის 30 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე თბილისში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 22 აგვისტო. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

**www.cabir.org/applications**

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს ალი არბიას ელექტრონული ფოსტით:

applications@cabir.org.

# მოსკოვი ჩეჩენ მეამბოხეებს ამნისტიას სთავაზობს

*დაეთანხმებიან თუ არა ჩეჩენი მებრძოლები რუსეთის ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ ამნისტიას მათი ყველაზე გავლენიანი ლიდერის გარდაცვალების შემდეგ?*

ტიმურ ალიევი, გროზნო

რუსეთის ფედერალური მთავრობა საველე მეთაურის შამილ ბასაევის სიკვდილის შემდეგ ჩეჩენ მეამბოხეებს ამნისტიას სთავაზობს.

10 ივლისს ინგუშეთში ბასაევის გარდაცვალებიდან სამი დღის შემდეგ რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკოლაი პატრუშევმა საჯარო განცხადება გააკეთა და მეამბოხეებს იარაღის ჩასაბარებლად ვადა 1 აგვისტომდე მისცა. პატრუშევის თქმით, მებრძოლები, რომლებიც საკუთარი ნებით ჩაბარდებიან, „უკანონო შეიარაღებული ფორმირებებში მონაწილეობის გარემოებების ობიექტურად და მიუკერძოებელად განხილვის“ გარანტიებს მიიღებენ.

პატრუშევის განცხადებით, მკაცრად დაისჯებიან მებრძოლები, რომლებიც ამნისტიის მიღებას არ დათანხმდებიან.

ჩეჩნეთის პრომოსკოვური ორიენტაციის ხელისუფლებამ პატრუშევის ინიციატივას მხარი დაუჭირა, თუმცა იარაღის ჩაბარების ვადის გაგრძელების წინადადებით გამოვიდა.

როგორც ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრმა და დე ფაქტო ლიდერმა რამზან კადიროვმა განაცხადა, შეწყალების ვადა 1 სექტემბრამდე უნდა გაგრძელდეს, რათა მეამბოხეებს მოფიქრების საშუალება მიეცეთ.

„მეამბოხეთა ლიდერები უკვე პრაქტიკულად განადგურებული არიან. ახლა მთებში მხოლოდ საერთაშორისო ტერორისტების მიერ მოტყუებული ახალგაზრდები დარჩნენ“, – განაცხადა კადიროვმა.

ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მეამბოხეები თუნდაც იმ ფაქტმა უნდა წაახალისოს, რომ მისი აპარატის უფროსიც შეწყალებული მებრძოლია.

„ჩემს გარემოცვაში ბევრი შეწყალებული ადამიანია. ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამხედრო დანაყოფების 99 პროცენტი ასეთი ხალხისგან შედგება და ისინი არაერთხელ დაგვიჯილდოებია“, – აღნიშნა მან.

„მამაჩემის (პრომოსკოვური ორიენტაციის ყოფილი პრეზიდენტი ახმად კადიროვი) გარდაცვალების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ამბობდნენ, ჩვენ დაგვსჯიანო, მაგრამ სინამდვილეში საპირისპირო მოხდა. ახლა ეს ადამიანები ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავრობაში მუშაობენ“, – დასძინა კადიროვმა.

ჩეჩნეთის პრომოსკოვური ორიენტაციის მქონე პრეზიდენტმა ალუ ალხანოვმა პირობა დადო, რომ მებრძოლებს, რომლებიც ხელისუფლებას ჩაბარდებიან, არ დააპატიმრებენ. ალხანოვი ამნისტიის ვადის 2007 წლის 1 იანვრამდე გაგრძელების წინადადებებით გამოვიდა.

1999 წელს ჩეჩნეთში მოსკოვის მიერ მეორე სამხედრო კამპანიის დაწყების შემდეგ ეს მეამბოხეებისათვის შეთავაზებული პირველი ამნისტია არ არის. მსგავსი შეთავაზებები 1999 წლის დეკემბერში, ასევე 2003 და 2004 წელსაც იყო. ბევრმა იარაღი მართლაც დაყარა და ე.წ. კადიროველებს შეუერთდა, რომლებიც ახმად კადიროვისადმი ლოიალურად იყვნენ განწყობილი. ეს უკანასკნელი 1994-96 წლების კონფლიქტის დროს მეამბოხეთა მხარეს იბრძოდა. იგი 2004 წლის მაისში მომხდარი აფეთქების დროს დაიღუპა.

ბევრი, ვინც ამნისტიაზე უარი თქვა, დააპატიმრეს და ზეწოლის ქვეშ მოაქციეს, რაც ადამიანის უფლებათა დამცველმა ჯგუფებმა არაერთხელ დააფიქსირეს.

ჩეჩნეთის არაღიარებული რესპუბლიკის – იჩქერიის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა დოკუ უმაროვმა შეთავაზებული ამნისტია აბუჩად აიგდო. მან ისლამისტთა ინტერნეტგამოცემასთან „კავკაზ ცენტრთან“ საუბრისას განაცხადა, რომ „ომი გაგრძელდება“.

არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ ზაკაევი, რომელიც ამჟამად დევნილის სტატუსით ლონდონში ცხოვრობს, ნაკლებად კატეგორიული აღმოჩნდა. მისი განცხადებით, მეამბოხეებსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებებისთვის „პოლიტიკური საფუძველი“ უნდა არსებობდეს. ზაკაევმა ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე მოლაპარაკების გამართვა მოითხოვა.

„თუ ნიკოლაი პატრუშევის განცხადება უბრალოდ ძალის დემონსტრირება და მტრისთვის ჩაბარების შემოთავაზებაა, ეს არაფერს მოიტანს. ულტიმატუმების ენაზე საუბარი მშვიდობისა და სტაბილურობის მისაღწევად კარგი საშუალება არ არის“, – აღნიშნა ზაკაევმა.

ჩეჩნეთში ბევრი აცხადებს, რომ ქარიზმატული და გავლენიანი ფიგურის – ბასაევის სიკვდილის შემდეგ ამნისტიის მიღების სურვილი ბევრ მეამბოხეს გაუჩნდება. თუ, რა თქმა უნდა, ამნისტიის პროცესი კარგად იქნება ორგანიზებული.

„ამნისტია რუსეთის მხრიდან წარმატებული პიარ კამპანიაა“, – განაცხადა გროზნოს სტრატეგიის ცენტრის ხელმძღვანელმა აბდულა ისტამულოვმა.

„მუდმივად ომის პირობებში ცხოვრება არანორმალურია. ხალხი ბრძოლით დაიღალა“, – განაცხადა ჩეჩნეთის პარლამენტის დეპუტატმა ზინა მაგომადოვამ.

სხვები უფრო ფრთხილ კომენტარებს აკეთებენ.

„ვფიქრობ, ბასაევის სიკვდილის შემდეგ მდგომარეობა შეიცვლება კიდეც და თან არც შეიცვლება“, – განაცხადა ექსპერტმა კავკასიის საკითხებში სერგეი მარკედონოვმა.

„სეპარატისტებს, ისლამისტებსა და მათ უცხოელ სპონსორებს შორის პოპულარული ქარიზმატული ლიდერი, რომელიც ტერორისტული ქსელის ნიჭიერი ორგანიზატორი იყო, ახლა რუსეთის წინააღმდეგ ომს ვეღარ აწარმოებს. მაგრამ ეს სიტუაციას მნიშვნელოვნად არ შეცვლის, რადგან პრობლემას მხოლოდ ბასაევი არ ქმნიდა. ეს არის ,,ბასაევიზმი“, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ფენომენი“, – დასძინა ექსპერტმა.

მარკედონოვის განცხადებით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩეჩნეთში მდგომარეობა ისე შეიცვალა ძირეულად, რომ ეს გარეშე ექსპერტებმაც კი ვერ შეამჩნიეს. ექსპერტის თქმით, ხშირად მოსკოვისთვის უმთავრეს საფრთხეს სწორედ მისივე დანიშნული მთავრობა ქმნიდა.

„ომის შესახებ არ უნდა ვისაუბროთ. ახლა ომი არ მიმდინარეობს, რადგან ორ ორგანიზებულ ძალას შორის სამხედრო დაპირისპირება არ ხდება. არსებობს მხოლოდ ტერორიზმი და პარტიზანული წინააღმდეგობა (ამ ორის ერთმანეთისგან განსხვავება ხშირად შეუძლებელია). ასევე არის ორგანიზებული სეპარატიზმი (კადიროვის მთავრობის მიერ), რაც რუსეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ფედერალური ხელისუფლებისგან დე ფაქტო დამოუკიდებლობის შექმნაში გამოიხატება“, – განაცხადა მარკედონოვმა.

მისივე თქმით, დღევანდელი ჩეჩნეთი რუსეთს ორ პოლიტიკურ სირთულეს უქმნის.

„პირველი სირთულე ისაა, რომ დღეს ჩეჩნეთი კავკასიის მასშტაბით არსებული ისლამისტური პროექტის ნაწილი გახდა და ეთნონაციონალური სეპარატიზმის იდეა მიიჩქმალა. და მეორე. მოსკოვში უნდა გაიგონ, რომ მოდერნიზაციის პროგრამის დაწყებისა და ინტეგრაციის ნაცვლად ჩეჩნეთის კოლონიური წესით მართვა რუსეთს ჩეჩნეთის დაკარგვამდე მიიყვანს“, – დასძინა მარკედოვონმა.

ჩეჩენი პოლიტოლოგი ნადირსოტა ელსუნკაევი სხვა საფრთხის შესახებ საუბრობს და აცხადებს, რომ ბასაევის სიკვდილი ჩრდილოეთ კავკასიაში ალ ქაიდას გავლენას გაზრდის.

„ბასაევი და ბინ ლადენი ანტაგონისტები იყვნენ. ბასაევი და მისი ხალხი, როგორც ნამდვილი მუსლიმანები, საუდის არაბეთის მეფის რწმენას იზიარებდნენ. ბინ ლადენი კი სუნიტია, რომელსაც ისლამის გავლენის გავრცელება სურს. სანამ ბასაევი ცოცხალი იყო, ბინ ლადენი კავკასიის მიმდინარე პროცესებში არ ერეოდა და მისი საქმიანობა მხოლოდ ცენტრალური აზიით შემოიფარგლებოდა. თუმცა მან ჯერ კიდევ 1998 წელს განაცხადა, რომ 2003 წლიდან კავკასიაში გადმოინაცვლებდა“, – განაცხადა ელსუნკაევმა.

პოლიტოლოგის თქმით, ახლა მეამბოხეები სერიოზულ კრიზისში იმყოფებიან.

„დოკუ უმაროვი საკმარისად ქარიზმატული არ არის, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ყველა ძალის გაერთიანება შეძლოს. ბასაევის სიკვდილის შემდეგ საუდის არაბეთის მეფესთან მისი კავშირები შეწყვეტილია.Aახლა მას ან ალ ქაიდასთან თანამშრომლობა მოუწევს ან ევროპასთან, ანუ ზაკაევთან ხიდების გადება დაჭირდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ფულს ვერ მიიღებს“, – დასძინა ელსუნკაევმა.

„თუ ალ ქაიდა კავკასიაში შემოვიდა, ბრძოლა ათეული წლების განმავლობაში შეილება გაგრძელდეს. ეს მეამბოხეთა დაუსრულებელი ომი იქნება“, – განაცხადა ელსუნკაევმა.

www.iwpr.net

# სომხეთის სკოლებში ინტენსიურ სამხედრო სწავლებას იწყებენ

*საცდელი პროექტის ოპონენტთა განცხადებით, სკოლის მოსწავლეებს მომავალ ჯარისკაცებად ზრდიან.*

გელამ ვარდანიანი,
ერევანი

„მარჯვნისაკენ! მარცხენა მკლავი წინ! სწრაფი ნაბიჯით იარ!“ – დაყვირა სამხედრო მომზადების მასწავლებელმა კარო ამბარცუმიანმა. თუმცა მისი ქვეშევრდომები არა ჯარისკაცები, არამედ ერევნის ერთ-ერთი სკოლის V-VI კლასების მოსწავლეები არიან.

სომხეთში 16-დან 18 წლამდე მოსწავლეებისთვის სამხედრო სწავლება სავალდებულოა. უმცროსი ასაკის ბავშვებს სამხედრო მომზადების გაკვეთილებს კი მხოლოდ №99 სკოლაში უტარებენ. ბავშვების უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს მოზარდთა აზროვნებაზე მილიტარიზმის ნაადრევი გავლენა განსაკუთრებით მას შემდეგ აშფოთებს, რაც ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება მსგავსი საცდელი პროექტის დაწყებას კიდევ თერთმეტ სკოლაში აპირებს. ამ სკოლების მოსწავლეები ძირითადად მძიმე ოჯახურ პირობებში აღზრდილი ბავშვები არიან.

სკოლის დირექტორმა ლუდმილა მარგარიანმა სამხედრო სწავლების გაკვეთილები თავდაპირველად ცელქი მოსწავლეების „მოსარჯულებლად“ შემოიღო.

„ამ კლასში ბევრი ბიჭი იყო. ჩვენი აზრით, მათ დისციპლინა სჭირდებოდათ და კლასში სამხედრო წესრიგის დამყარება გადავწყვიტეთ. როცა ფორმები აცვიათ, უფრო ორგანიზებული არიან და პასუხისმგებლობის გრძნობაც მეტად აქვთ განვითარებული“, – განაცხადა მარგარიანმა.

კლასში 18 ბიჭი და რვა გოგონაა. მათ მწყობრში სიარული, რიგში მოწყობა და „კალაშნიკოვის“ სისტემის იარაღის დაშლა უკვე იციან, ახლა კი საბრძოლო ხერხებს სწავლობენ.

„ჩვენ სამხედრო მეცნიერებას ვეუფლებით, მტრის ალყაში მოქცევასა და განადგურებას ვსწავლობთ“, – განაცხადა 11 წლის სარქისმა.

სარქისის ბებიის სუსანა მარტიროსიანის თქმით, ბავშვის მშობლები ამ პროექტის დაწყებას სიხარულით შეხვდნენ.

„ჩემი შვილიშვილი კმაყოფილია. ბავშვმა იცის, რომ გენერალი ანუ სამხედრო უნდა გამოვიდეს. ჩვენც ბედნიერები ვართ, რადგან იგი ჯარისკაცის საქმეს სწავლობს, თავს უკვე მეომრად გრძნობს და სამხედრო კარიერის გაგრძელებას აპირებს“, – დასძინა მან.

„სკოლაში ყველანი სამხედრო ფორმით დავდივართ. ეს ცუდი არ არის. ვსწავლობთ, როგორ დავეხმაროთ სამშობლოს, როცა ამის საჭიროება იქნება“, – გვითხრა სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა გოგონამ სახელად ჰრანუშმა, რომელსაც „კამუფლაჟის“ ქუდი ეხურა.

„ავტომატის გამოყენება უკვე ვისწავლეთ. სამხედრო სტრატეგიის სხვადასხვა ასპექტები, ტაქტიკა, მტრის ალყაში მოქცევისა და განადგურების საშუალებებიც ვიცით“, – თქვა ჰრანუშის თანაკლასელმა აელიტამ.

„ჩემი აზრით, გოგონებს ბიჭებთან შედარებით უფრო რბილად ექცევიან და კარგ ნიშნებსაც ჩვენ უფრო იოლად ვიღებთ“, – დასძინა მან.

სკოლის სამხედრო მომზადების მასწავლებელი, ყოფილი ჯარისკაცი და საბჭოთა მესაზღვრე კარო ამბარცუმიანი აცხადებს, რომ სამხედრო განათლების დაწყება ყველაზე ეფექტური სწორედ ადრეულ ასაკშია.

„ზრდასრული ადამიანისთვის სამხედრო საქმის სწავლება ძნელია. ბავშვი კი ახლად მოზელილი ცომივითაა“, – თქვა ამბარცუმიანმა.

„ასეთი გაკვეთილის ჩატარებაზე ყოველთვის ვოცნებობდი. როგორც ამბობენ, თუ მშვიდობა გინდა, ომისთვის უნდა ემზადო. ვცდილობ, ბავშვებს ავუხსნა, ჩვენი სამშობლო ვისგან და როგორ უნდა დაიცვან. ისინი ამას იარაღის დაშლის ან აწყობის დროს სწავლობენ“, – დასძინა ამბარცუმიანმა.

№99 საშუალო სკოლა ერევნის ერთ-ერთ ღარიბ გარეუბანში მდებარეობს.

ჰელსინკის ასოციაციის ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფის თავმჯდომარე მიქაელ დანიელიანი ამ ტენდენციით გაოცებული და აღშფოთებულია. აზერბაიჯანთან არსებული კონფლიქტის მოუგვარებლობის პირობებში სომხეთში მიიჩნევენ, რომ ქვეყნები ომის ზღვარზე არიან.

„თუ ბავშვები და მათი მშობლები საყვედურისთვის მიზეზს ვერ ხედავენ და თამაშის ეს წესები მისაღებად მიაჩნიათ, მაშინ მათი უფლებები უხეშად არ ირღვევა. მაგრამ ცუდია, როცა ქვეყანას ჯარისკაცები აშენებენ. ასეთი რამ მხოლოდ საბჭოთა კავშირში ან ისლამისტურ სახელმწიფოშია შესაძლებელი“, – განაცხადა დანიელიანმა.

თუმცა განათლების სამინისტრო №99 საშუალო სკოლის პროგრამით კმაყოფილია და სხვა თერთმეტ სკოლაში სამხედრო სწავლების ძირითად საგანთა სიაში შეტანასაც გეგმავს. გამორიცხული არაა, რომ აღნიშნული სქემა კიდევ უფრო გაფართოვდეს.

სამინისტრომ პროექტში მონაწილეობის მისაღებად „სპეციალური სკოლები“ შეარჩია, რომელთა მოსწავლეებიც ძირითადად მძიმე ოჯახურ პირობებში იზრდებიან.

„ჩვენი უმთავრესი მიზანი იმ ბავშვების თავმოყრაა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო სკოლაში რეგულარულად არ დადიან. ამ ბავშვებს შეიძლება სურთ კიდეც სამხედრო კოლეჯში სწავლა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არასდროს ჰქონიათ. გვინდა, მათ სამხედრო საქმის სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მივცეთ“, – განაცხადა განათლების ეროვნული ინსტიტუტის სამხედრო სწავლების სპეციალისტმა ვაჩანაგ ასლანიანმა.

„მომავალში, ამ თერთმეტ სკოლაში ინტენსიური სამხედრო მომზადების კურსს ყველა კლასი გაივლის. თითოეული სკოლა ერთ ოლქს მოემსახურება. სხვა ოლქებში მცხოვრებ მოსწავლეებს კი, რომლებსაც სამხედრო საქმის შესწავლის სურვილი ექნებათ, ექსპერიმენტულ სკოლებში გადასვლა შეეძლებათ“, – დასძინა ასლანიანმა.

ასლანიანის თქმით, სამხედრო მომზადების დაწყებამდე ბავშვებს მშობლების ნებართვის მიღება დასჭირდებათ.

ასეთი დამაჯერებელი განცხადებების მიუხედავად უმცროს კლასებში სამხედრო მომზადების გაკვეთილების შემოღების მოწინააღმდეგეები სქემას არ იწონებენ.

„ვხედავ, რაც ხდება. ესენი ,,რთული ბავშვები“ არიან, რომლებიც ქუჩაში დიდ დროს ატარებენ. ახლა მათ სამხედროებად აქცევენ. ეს ძველი საბჭოური მეთოდია“, – თქვა დანიელიანმა.

სომხეთში UNISEF-ის საზოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინატორმა ემილ სააკიანმა ინიციატივა კიდევ უფრო მკაცრად შეაფასა.

„ირღვევა ბავშვთა უფლებების შესახებ კანონის მეოთხე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ბავშვებს თანასწორი უფლებები აქვთ. ვინც სპეციალურ სკოლაში გარკვეული მიზეზით მოხვდა, ფაქტობრივად, სამხედრო სფეროში მუშაობას აიძულებენ. ირღვევა ბავშვის უფლება აირჩიოს საკუთარი მომავალი“, – განაცხადა სააკიანმა.



*სამხედრო მომზადების გაკვეთილი ერევანიე ერთ-ერთ სკოლაში*

„ამ შემთხვევაში ბავშვების მომავალს სხვა განსაზღვრავს. მესმის, რომ ქვეყანას კარგი ჯარისკაცები სჭირდება, მაგრამ ასევე საჭიროა კარგი მეცნიერები, ექიმები და სხვა სპეციალისტები. ვინ ამბობს, რომ ქვეყნის უსაფრთხოებას მხოლოდ ჯარი უზრუნველყოფს და სხვა პროფესიის ადამიანები თავიანთი სამშობლოს დაცვაში არ მონაწილეობენ?“ – იკითხა სააკიანმა.

აღსანიშნავია რომ, სკოლის მოსწავლეებმა ახლადშეძენილი საბრძოლო უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობები მალევე იპოვეს.

„სამხედრო მომზადების გაკვეთილები სხვა კლასებთან ჩხუბის დროს გვეხმარება. ხანდახან უფროსკლასელ მოსწავლეებთანაც მოგვდის უსიამოვნება და ჩვენი მეგობრების დახმარება შეგვიძლია“, – გვითხრა ერთ-ერთმა მოსწავლემ ვარაზდატმა.

www.iwpr.net

# აზერბაიჯანი: მოსახლეობა ნავთობკომპანიის წინააღმდეგ

*ნავთობკომპანია კუთვნილი მიწის დაბრუნებას ცდილობს, ათასობით არარეგისტრირებულ სახლს კი დანგრევა ემუქრება.*

იდრაქ აბასოვი,
სულუ-ტეპი

გასული თვის ბოლოს ბაქოს მახლობლად მდებარე პატარა დასახლებაში სავალალო მდგომარეობა შეიქმნა. ორმა ღონიერმა მამაკაცმა მოქვითინე ფეხმძიმე ქალი და მისი ორი პატარა ბავშვი დასანგრევად განწირული ერთოთახიანი სახლიდან ძალით გამოაძევა.

სოფელ ხოჯასანთან ახლოს მდებარე სულუ-ტეპის დასახლება, სადაც სადაც ბალახი და ხეებიც კი არ იზრდება, ბაქოს ცენტრიდან სულ რაღაც 15 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

ახლა აქ ნავთობის ოთხი უზარმაზარი ჭაბურღილია და მათ მახლობლად ორმოებია ამოთხრილი. ირგვლივ ნავთობისა და გაზის სუნი ტრიალებს.

ერთი თვის წინ ნავთობკომპანია „ბინაგადი ოილმა“ აქ სახლების დანგრევა დაიწყო. ხანდახან მათ დახმარებას რეგიონული ხელისუფლებისა და პოლიციის წარმომადგენლებიც უწევენ. სახლები იმ ტერიტორიაზეა განლაგებული, სადაც კომპანია ნავთობს მოიპოვებს და თითქმის ყველა საცხოვრებელი სახლი აქ ნებართვის გარეშე აშენდა. მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა საზოგადოების უღარიბეს ფენას მიეკუთვნება ან დევნილია.

შენობების დანგრევა სულუ-ტეპში თითქმის ერთი თვის წინ დაიწყო. დღეისათვის უკვე ორასზე მეტი სახლია აღებული.

ადგილობრივი მცხოვრების ადალატ სეიდოვის ვარაუდით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ათიდან თხუთმეტ ათასამდე შენობაა, რომლებშიც 60 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. ნავთობკომპანიის მიერ წამოწყებული კამპანია შესაძლოა ყველა მათგანს შეეხოს.

სასოწარკვეთილი მოსახლეობა აცხადებს, რომ წასასვლელი არსად აქვს.

„სად უნდა წავიყვანო ჩემი ოჯახი? ვის მივადგე კარზე?“ – იკითხა ნიზამი ბაგიროვმა, რომელიც აზერბაიჯანის სამხრეთ ნაწილში, ირანის საზღვართან მდებარე რეგიონიდან – ლერიქიდანაა.

ბაგიროვი მთიანი ყარაბაღის ომში იბრძოდა. შემდეგ ქვის კარიერზე მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებდა და მცირე შემოსავალი ჰქონდა. რამდენიმე წლის წინ, თავის მეუღლესა და ორ პატარა ქალიშვილთან ერთად სახლის აშენება გადაწყვიტა.

„ჩემი ერთ-ერთი თანამშრომელი სულუ-ტეპში ცხოვრობს. მან იქ ერთოთახიანი სახლის აშენება მირჩია. თავისუფალი მიწის ნაკვეთი მოვძებნეთ და სახლი ავაშენეთ“, – გვითხრა ბაგიროვმა.

თუმცა ახლა მან სახლი დაკარგა, რადგან მშენებლობის ნებართვა არ ჰქონია.

როგორც იურისტი ფუად აგაევი აცხადებს, ბაგიროვის უფლებები დაირღვა.

„მიუხედავად იმისა, სახლი უკანონოდ არის აშენებული თუ კანონიერად, მის დასანგრევად სასამართლოს გადაწყვეტილებაა საჭირო“, – განაცხადა აგაევმა.

,,ნავთობკომპანიას საკუთარი ნებით სახლების დანგრევის უფლება არ ჰქონდა და ახლა სასამართლომ ბაგიროვი და მისი ოჯახი დროებითი საცხოვრებლით უნდა უზრუნველყოს“, – დასძინა მან.

შენობების დანგრევასთან დაკავშირებით IWPR-სთვის რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებაზე ხელისუფლებამ უარი განაცხადა.

აღნიშნული მიწის მფლობელი, კომპანია „ბინაგადი ოილი“ ადრე სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR-ის ნაწილი იყო. ფირმის იურისტის ანარ გურბანოვის განცხადებით, კომპანია ნავთობს ოთხი საბადოდან მოიპოვებს, მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სამი საბადოს ტერიტორია უკანონოდ მიითვისეს. შედეგად კომპანია სერიოზულ თანხებს კარგავს.

გურბანოვმა აღიარა, რომ შენობების დასანგრევად სასამართლოს ნებართვა საჭირო იყო. მან დარწმუნებით განაცხადა, რომ კომპანიამ ასეთი ნებართვა მოითხოვა. მაგრამ იურისტმა ამ განცხადების რაიმე საბუთით დადასტურება ვერ შეძლო.

სულუ-ტეპის ზოგიერთი მცხოვრების განცხადებით, მათ სახლების დაცლის მოთხოვნით ოფიციალურად მიმართეს, თუმცა არა სასამართლომ, არამედ ხელისუფლებამ და ნავთობკომპანიამ.

გამოსახლების წინააღმდეგ ერთ-ერთი მცხოვრები ხავიარ ჯაფაროვაც იბრძვის. იგი ამჟამად სომხების კონტროლის ქვეშ მყოფი ზანგელანის რეგიონიდან დევნილია.

„მხოლოდ სიტყვიერად გაგვაფრთხილეს. არანაირი საბუთი არ გვინახავს. აქ თორმეტი წელია ვცხოვრობ. ხელისუფლებამ ზანგელანში ჩემი სახლი უნდა დამიბრუნოს. მიუხედავად იმისა, რომ ქალი ვარ, ჩემი ქვეყნისთვის ვიბრძოდი და აქაც ბოლომდე ვიბრძოლებ“, – განაცხადა მან.

„შვიდი წელია აქ ვცხოვრობ და ყველანაირი საბუთი მაქვს. მიწა მუნიციპალიტეტისგან ვიყიდე, მშენებლობის ნებართვა კი რეგიონულმა ხელისუფლებამ მომცა“, – განაცხადა სომხეთიდან დევნილმა ხუმარ ველიევამ.

როგორც სოფელ ხოჯასანის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, ველიევას მიწა იჯარით, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა.

უკანონო მშენებლობები ბაქოში საკმაოდ ხშირია, რადგან კავკასიის ყველაზე დიდ ქალაქში მოსახლეობა სწრაფად იზრდება. პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, 2009 წელს აზერბაიჯანში მოსახლეობის აღწერა ჩატარდება. როგორც მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, მოსახლეობის აღწერა არა რეგისტრაციის, არამედ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განხორციელდება.

აღნიშნული წყაროს განცხადებით, აღწერის ჩატარებამდე ხელისუფლებას ბაქოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონოდ აშენებულ სახლებში მცხოვრებთა პრობლემის მოგვარება სურს. უნებართვოდ აშენებული სახლების დიდი ნაწილი დაინგრევა, ნაწილი კი დაკანონდება.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.
სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 25 ივლისიდან აცხადებს ტენდერს სადენებისშესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე: ქ. თბილისი, თამარ-მეფის გამზ. N15) აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად სადენების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი:: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი:

| *ლოტის №* | *საქონლის დასახელება* | *საქონლის მახასიათებლები* | *მოც. ერთ.* | *რაოდ* |
|---|---|---|---|---|
| 1 | საკონტაქტო სადენი | მარკით მფ-100; ნომინალური კვეთი 100 მმ; სიმაღლე 11,8 + 0,11 მმ; სიგანე 12,81 + 0,25 მმ; რადიუსი 6,5 მმ; ხაზური სიმკვრივე 0,890 კგ/მ; | ტნ | 8.5 |
| | სპილენძის მზიდი გვარლი | მარკით მ-120; ნომინალური კვეთი - 120 მმ; კვეთის ფართი - 117 მმ; მავთულის რაოდენობა - 19; | ტნ | 1.2 |
| | სპილენძის მოქნილი გვარლი | მარკით მგ-95; ნომინალური კვეთის ფართი-95მმ; კვეთის ფართი-94,01მმ; მავთულის დიამეტრი-0,68მმ; გამტარის დიამეტრი-14,28; მავთულის რაოდენობა - 259; | ტნ | 0.9 |
| | ბიმეტალური გვარლი | მარკით პბსმ-70; ნომინალური კვეთი - 70 მმ; კვეთის ფართი - 72,2 მმ; ძარღვთა რიცხვი - 19; | ტნ | 1 |
| | ბიმეტალური მავთული | მარკით ბმ-4; ნომინალური კვეთი-4 მმ; სპილენძის გარსაცმის მინიმალური სისქე 0,20 მმ; | ტნ | 0.7 |
| | ბიმეტალური მავთული | მარკით ბმ-6; ნომინალური კვეთი-6 მმ; სპილენძის გარსაცმის მინიმალური სისქე 0,20 მმ; | ტნ | 0.9 |
| | ფოლად-ალუმინის გამტარი | მარკით ას-35; ნომინალური კვეთი ალუმინი-ფოლადი-35/6,2 მმ; ალუმინის ძარღვის რაოდენობა-6; ფოლადის ძარღვის რაოდენობა-1; გამტარის დიამეტრი-8,4 მმ; | ტნ | 2 |
| | ალუმინის სადენი | მარკით ა-185; ნომინალური კვეთის ფართი-185 მმ; კვეთის ფართი-183 მმ; მავთულის რაოდენობა-19; გამტარის დიამეტრი-17,5 მმ; | ტნ | 1 |
| | ფოლადის მოთუთიებული გვარლი | მარკით ს-70; კვეთი-72,56 სმ; მავთულის რაოდენობა-19; გამტარის დიამეტრი-11,0 მმ; | ტნ | 2.4 |

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, მ. ქავთარაძის ქ N11, შესყიდვების სააგენტოს სასაწყობო მეურნეობა.

4. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვე.

***5.*** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებით, ქართულ ან/და რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **15 აგვისტოს** 9სთ 00წთ-დან - 18 სთ 00 წთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15. მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო. ***სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში.***

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტია, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ. Mმეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტია, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.

2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდ. მეწარმეებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენეილი სატენდერო დოკუმენტაციაში) საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 51 85.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 20006 წლის 25 ივლისიდან აცხადებს საპროექტო სამუშაოების შესრულების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს სხვადასხვა სახის საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულების გარეშე მიმდინარე წლის **16 აგვისტოს** ჩათვლით. რის შემდეგაც სატენდერო კომისია წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოავლენს ტენდერის მეორე ეტაპზე მონაწილე პრეტენდენტებს. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესასრულებელი საპროექტო სამუშაოების ჩამონათვალი ლოტების მიხედვით:

| ლოტი № | შესასრულებელი საპროექტო სამუშაოს დასახელება |
|---|---|
| *1* | *მიწის ვაკისის გასამაგრებელი საყრდენი კედლები: გელათI ორპირის გადასარბენზე კმ-22 პკ-2, კმ-23 პკ-6, ხრესილი საწირის გადასარბენზე კმ-33 პკ-5, კმ-35 პკ-3, კმ-36 პკ-10, კმ-37 პკ-7* |

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ქართულ ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 16 აგვისტოს 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

***იურიდიული პირებისათვის :***

ა) წესდება, დადგენილება რეგისტრაციის შესახებ და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) ინფორმაცია ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ

დ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზისთვის ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

***ფიზიკური პირებისათვის :***

a) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზისთვის ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

გ) ინფორმაცია კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იყოს "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად სატენდერო წინადადების ღირებულების მითითების გარეშე.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51,

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს „საქართველოს რკინგზა" 2006 წლის 25 ივლისიდან აცხადებს ტენდერს სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასრულებლად

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს ორ ლოტად სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი)

**ლოტი 1 ტყიბულის წევის ქვესადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.**
**ლოტი 2 ხრესილის წევის ქვესადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები**

1) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ (ქვითართან ერთად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ მოთხოვნის შესახებ მომართვა), რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ობიექტის ტექნიკური მასალა განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით, ასევე საბაზისო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

2) სატენდერო წინადადება ქართულ ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **16 აგვისტოს** 9.00 საათიდან 18.00 საათამდე , ორ ეგზემპლარად,(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 იურიდიული პირისათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

3.2. **ფიზიკური პირისათვის**:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას**

3.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის
- რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში

3.4. **არსებული ტექნიკა და კვალიფიკაცია.**

სამუშაოების შესრულებისთვის საჭიროა ტექნიკა და პერსონალის კვალიფიკაცია.

3.5. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ და/ან რუსულ ენაზე .

3.6. სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში

**ყველა პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს**:

1.ხელმოწერილი (იურდიული პოირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში დადგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.

2.ხელმოწერილი (იურდიული პირებისა და ინდ. მეწარმეებისათვის ასევე ბეჭედით დამოწმებული ) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში ) საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51

**სატენდერო კომისია.**

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში საირმის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მოწყობის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მე-3 კატეგორიის გრუნტის დამუშავება - 850მ2, მოსაწყობია: D - 600მმ - 126 გრ.მ რკ/ბეტონის მილი, D - 400მმ - 61გრ.მ პლასტმასის მილი, D - 300მმ - 48 გრ.მ პლასტმასის მილი, მოსაწყობია ტუჯის ოთკუთხა ცხაურები - 14ც, თუჯის გვერდმიმღები - 7ც, 4000 მ3 ქვიშახრეშოვანი ნარევის, 322მ3 ფრაქციული ღორღის შეტანა, მოსაწყობია ა/ბეტონის საფარის ქ/ფ და ზ/ფ სისქით 10 სმ(6+4) - 159მ2, კედელი, კიბე და მოაჯირები.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 თვე. 3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 15 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 15 აგვისტოს 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებულს;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრების შემთხვევაში საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება);
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 25 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 14 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# ძონძო არმანი

## აივანი, ძაღლი, ბევრი ყავა და გოგი კვერნაძე

ია ვეკუა



მოლბერტი არა აქვს ან არ სჭირდება. ამიტომ ხატვისას ჩვეულებრივ საუთოებელ მაგიდას იყენებს. მაგიდა ძველია და კოჭლი - ცალი ფეხი დანარჩენ სამზე მოკლე აქვს, ამიტომ პროთეზი სჭირდება - მიქელანჯელოს ნახატების სქელყდიანი ალბომი... ესაა გოგი კვერნაძის "სახელოსნო", სადაც მისი გონების, განცდებისა და სურვილების ილუსტრაციები იქმნება.

რამდენიმე თვის წინ გოგი კვერნაძემ ისეთი შეთავაზება მიიღო, რომელზეც უარის თქმას ვარავინ ბედავს (ციტატა: მარიო პიუზოს "ნათლია"), თუმცა ამ შემთხვევაში პირიქით მოხდა - მხატვრის მეგობრები ამ თემაზე ხუმრობენ კიდეც, მარტო გოგია თუ გადააგდებდა არმანისო.

დოსიე (ჩვენი ვერსიით): ჯორჯო არმანი - მსოფლიოში ცნობილი დიზაინერი. მისი დიზაინით შექმნილი სამოსი აცვია ყველას, ვისაც მათი შეძენის საშუალება აქვს. მეგობრობს ცნობილ პიროვნებებთან, მათ შორის, კახი კალაძესთან და დანარჩენ მილანელებთანაც. საბანკო ანგარიშზე მილიონები ერიცხება და, საერთოდ, მაგარი "რასკრუჩენი" ტიპია. მაგრამ რა ხეირი - გოგი კვერნაძეს მასთან მუშაობა არ სურს!

**"ეგენი ხომ არ უბერავენ! მე მხატვარი ვარ. ხელებზე ბორკილებს ვერ დავიდებ... კონტრაქტის მიხედვით გათვალისწინებულ ვადებში ვერ ვიმუშავებ. ეს ნიშნავს, რომ მე, როგორც მხატვარი, მოვკვდები და ჩემგან მხოლოდ ფულის მკეთებელი "მალიარი" დარჩება!"** - ამ სიტყვების შემდეგ გოგი კვერნაძე საკუთარი სახლის აივანზე, სავარძელში ეფლობა და ძაღლს ეფერება... გადაწყვეტილებით კმაყოფილია და არასდროს ინანებს.

მე არ ვიცი, რა ჰქვია სტილსა თუ ჟანრს, რომელშიც კვერნაძე ხატავს. ამ კითხვის დასმას ვერც ვბედავ, თუმცა თავად, უეცრად საიდანღაც მობრუნებული ამბობს: **"ამ ყველაფერს ჰქვია გოგი კვერნაძე და მორჩა. მხატვარმა უნდა ხატოს ის, რასაც სული კარნახობს და არ უნდა იფიქროს ჟანრებსა და მიმართულებებზე. ამის უნარს ღმერთი იძლევა. ამიტომაცაა დედამიწაზე ასე ცოტა ნამდვილი მხატვარი, პოეტი თუ კომპოზიტორი - ღმერთი ძალიან ცოტასთვის იმეტებს ნიჭს. ეს არმანი კი მოდის და მეუბნება, კონტრაქტი დავდოთო. გიჟია..."**

ეს "გიჟი", უფრო სწორად, მისი სახლის წარმომადგენელი, გოგი კვერნაძის მხატვრობას მაისში მოსკოვში გამართულ გამოფენაზე გაეცნო. მხატვარი დღემდე სიცილით ჰყვება, როგორ იდგა უძვირფასეს კოსტიუმში (ცხადია, ჯორჯო არმანის იარლიყიანში) გამოწყობილი მამაკაცი მისი ნამუშევრების წინ საათობით და თითოეულ დეტალს აშტერდებოდა. **"მითხრა, რომ არმანის გემოვნებაში მთელ მოსკოვში მხოლოდ ჩემი ნამუშევრები ჯდებოდა. ეს ნახატები მოგვყიდე, მოსკოვში არსებულ არმანის უზარმაზარ მაღაზიაში დავკიდებთ და ჩვენვე გავყიდითო. მერე მაგარ რესტორანში დამპატიჟა, უძვირფასესი შამპანური დამალევინა და ახლა კონტრაქტი დავდოთ, შენც კმაყოფილი იქნები და ჩვენცო. მე ვუთხარი, თქვენ ხომ არ უბერავთ-მეთქი და წამოვედი... მერე ვიღაც მეღვინე მომვარდა, ყველა ეტიკეტი შენ უნდა დაგვიხატოო. იმასაც უარი ვუთხარი, ღვინო დასალევადაა კარგი, მაგისი ეტიკეტი ვის აინტერესებს".**

არც აქ მოასვენეს - იმავე წინადადებით ჟურნალ "მაგნუმის" წარმომადგენელი დაადგა თავზე ვიღაც ძალიან ლამაზ ქალთან ერთად, რომელსაც გოგისთან საუბრისას ასეთი რამ წამოსცდა: "ფულზე ყველაფერი იყიდება"... და სამუდამოდ გააფუჭა საქმე.

**"ეს არ უნდა ეთქვა, თუმცა მე ისედაც ყველაფერი გადაწყვეტილი მქონდა. ჩემი აზრით, მოდა ყველაზე წარმავალი ხელოვნებაა. ესა თუ ის მონახაზი, ფერი და სტილი აქტუალურია მანამ, სანამ მოდაშია. ამიტომ ამ სფეროში მოღვაწე ხალხი ჩემთვის ავტორიტეტები არ არიან. არმანი რომ მეუბნება, დადე ჩემთან კონტრაქტი და ხუთი წელი ჩემი სამოსი ატარეო, არ მეკითხება, მინდა თუ არა ამის ჩაცმა? ჩემთვის მთავარია ნაბადი და ფაფახი მქონდეს. ამ დღეებში შატილში მივდივარ, ახალი ნაბადი უნდა დავამზადებინო. სად მცალია არმანებისთვის!"**

"მაგნუმის" ელჩები საკუთარ სახლში ზურნა-დუდუკზე აქეიფა და ისე გაისტუმრა. რაღაც "კარტოჩკები" დაუტოვეს, მოიფიქრე და დაგვიკავშირდიო... სადღაც უყრია.

მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ მერაბ ბერძენიშვილის ცენტრში გამოფენა მოაწყო, თუმცა მოსკოვიდან ნამუშევრები ძლივს ჩამოიტანა. ნახატებს არ ყიდის, ამიტომ მათი "სამგზავრო" ფული არასდროს არა აქვს. ამბობს, რომ ეს არ არის მხატვრის ეგოიზმი, რადგან მისი სიკვდილის შემდეგ ისედაც ყველა ნამუშევარი ცოცხლებს რჩებათ - მას კი, დიდი-დიდი, ერთი ნახატი ჩააყოლონ... ბრრრრ... რა უსიამოვნო რაღაცებზე ვლაპარაკობ, მაგრამ ამაზე უფრო უსიამოვნო ისაა, რომ ერთხელ საღებავების საყიდელი ფული არ ჰქონდა. **"ირინა სარიშვილმა დამირეკა და დაფინანსება შემომთავაზა. საღებავებისთვის ვთხოვე თანხა და მომცა. ასეთ დროს ფულს გიორგაძის ფონდიდან კი არა, ბინ ლადენისგანაც ავიღებ! იყო პერიოდი, როცა ძალიან მიჭირდა, ბინას ვაქირავებდი, მაგრამ ნახატი არ გამიყიდია. ფიროსმანს თავისი ნახატები რომ გაეყიდა, მთელ მსოფლიოში იქნებოდა გაბნეული და ვინ გაიგებდა მისი არსებობის შესახებ. ყველაფერი იქ უნდა დარჩეს, სადაც აღმოცენდება."**

ე. წ. კომპოზიტორების კორპუსში იზრდებოდა. მის გარშემო საოცარი ხალხი ცხოვრობდა - მამის, ბიძინა კვერნაძის მეგობრები. ხშირად უფიქრია ბავშვობაში დაბრუნებაზე, მაგრამ თავადაც კარგად იცის, რომ ეს შეუძლებელია. ბავშვობა ალბათ დაუხატავს, მაგრამ ახლა ვერ იხსენებს. მიაჩნია, რომ მხატვრობა აღსარებასავითაა: წარსული, მომავალი, წინასწარმეტყველებები - მასში ყველაფერია კონცენტრირებული. ხანდახან ისეთი რამეც დაუხატავს, რისიც შეშინებია. თუმცა არ გაუნადგურებია. ნახატს მხოლოდ მაშინ ხევს ან წვავს, როდესაც ფიქრობს, რომ ეს ნამუშევარი დროს ვერ გაუძლებს. **"გავა წლები, დაიბადება ვიღაცა და იტყვის, ამ კაცს ეს რა დაუხატავსო. ეს არ მინდა თქვან..."**

ბავშვობის პერიოდიდან ერთი ეპიზოდი განსაკუთრებით ახსოვს. მეშვიდე კლასში იყო, როდესაც მხატვარ კახი ობოლაძესთან მივიდა სტუდიაში. პირველივე ნამუშევრის ნახვის შემდეგ დანარჩენებს გამოუცხადა, არც ერთი თქვენგანი მხატვარი არ გამოვა - ეს არის მხოლოდ მომავალი მხატვარიო. **"რა ვიცი, რა დაინახა ჩემში - წითელ დოქს მწვანედ ვხატავდი, ლურჯ ყვავილებს შავად... ერთხელ შიომღვიმეში წაგვიყვანა საქეიფოდ. სასმისი ჰქონდა - ხის სამი ჭიქა ნახვრეტებით უკავშირდებოდა ერთმანეთს და ერთი ფეხი ჰქონდა. ღვინით გამივსო და მომაწოდა. ადრე ნათქვამი ჰქონდა, როდესაც სიკვდილის მოახლოებას ვიგრძნობ, პირველს შენ გეტყვიო. სანამ ამ სასმისით ცხოვრებაში პირველად დავლევდი ღვინოს, მომიბრუნდა და მითხრა, ხოხბებმა მომაკითხეს, მალე წამიყვანენო... სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა... ეს სიტყვები და მაშინდელი შეგრძნება არასდროს დამავიწყდება"**

P.S. მეტრო "ვარკეთილთან" მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაა სახელწოდებით "ძონძო არმანი". გოგი კვერნაძემ ამაზე ძალიან ბევრი იცინა...

# საფრანგეთი მეორედ აჯილდოებს დავით ლორთქიფანიძეს

საფრანგეთის მთავრობა მეორედ აჯილდოებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორს, პალეონტოლოგს დავით ლორთქიფანიძეს.

პირველი ჯილდო - "აკადემიური პალმა" მან 2002 წელს ქართულ-ფრანგული ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განვითარებისა და განხორციელებისთვის მიიღო.

საქართველოში საფრანგეთის ელჩის ფილიპ ლეფორის განცხადებით, ამჟამად დავით ლორთქიფანიძე დაჯილდოვდა ღირსების ეროვნული ორდენით, როგორც აქტიური საზოგადო მოღვაწე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბების პროცესში.

ღირსების ეროვნული ორდენი დააწესა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, გენერალმა შარლ დე გოლმა. ამ ორდენით ჯილდოვდებიან უცხოელები, რომლებიც გამოირჩევიან საფრანგეთის წინაშე თავიანთი დამსახურებით.

საფრანგეთის წინაშე დამსახურებისთვის პირველად საქართველოში ღირსების ეროვნული ორდენით სამი გამოჩენილი ადამიანი დაჯილდოვდა. ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გიორგი ხაინდრავა, პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი, პალეონტოლოგი დავით ლორთქიფანიძე.

14 ივლისს საქართველოში საფრანგეთის საელჩოს რეზიდენციაში გამართულ დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიალზე საფრანგეთის ელჩმა ფილიპ ლეფორმა ღირსების ეროვნული ორდენის კავალერის მედალი თავად გადასცა პეტრე მამრაძეს. ღონისძიებას ობიექტური მიზეზების გამო ვერ დაესწრნენ გიორგი ხაინდრავა და დავით ლორთქიფანიძე. როგორც ითქვა, მათ ჯილდოს მოგვიანებით გადასცემენ.

*მედიანიუსი*

# კესელის დოკუმენტური ფილმების ფესტივალი

საქართველოში მომუშავე ტელე და ვიდეოჟურნალისტებს, ასევე დოკუმენტური ფილმების მწარმოებლებს დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე კესელში, გერმანიაში, თავიანთი საუკეთესო ნამუშევრების წარდგენის საშუალება აქვთ.

განაცხადებისა და საკონკურსო ფილმების წარდგენის ბოლო ვადაა პირველი აგვისტო.

კესელის დოკუმენტური, ტელე და ვიდეოფილმების 23-ე ფესტივალის გამართვა დაგეგმილია 7-12 ნოემბერს.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან რამდენიმე ნომინაციაში. თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულისთვის საპრიზო თანხა შეადგენს 10 ათას ევროს.

ფესტივალზე წარსადგენი ფილმები შექმნილი უნდა იყოს 2005-2006 წლებში. თუ ფილმი ინგლისურ ან გერმანულენოვანი არ არის, მაშინ მას ფილმის ინგლისურენოვანი სტენოგრამა უნდა ერთვოდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# კინოფესტივალი "ოქროს გარგარი"

საერთაშორისო კინოფესტივალ "ოქროს გარგარზე" ქართველმა რეჟისორებმა თავისი პროექტები წარადგინეს. ფესტივალი ივლისის პირველ ნახევარში ერევანში ჩატარდა. იგი მოიცავდა მხატვრული და დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კინოკურსებს, სომხური ფილმის პანორამას, რეტროსპექტივებს და არასაკონკურსო ჩვენებებს.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საინფორმაციო სამსახურის ინფორმაციით, ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ფორუმი "რეჟისორები საზღვრებს გარეშე", რომელიც კავკასიის ქვეყნებსა და მეზობელ რეგიონებში მცხოვრები კინემატოგრაფისტების დაახლოებას და რეგიონში ერთობლივი კინოწარმოების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

"ფორუმის პირველი დღე დაეთმო ქვეყნების, როგორც კინოს წარმოებისთვის მიმზიდველი ადგილის წარდგენას. საქართველო წარადგინა კინოცენტრის კინოექსპორტის განყოფილების ხელმძღვანელმა ანა ძიაპშპამ. მეორე დღე ითვალისწინებდა კინოპროექტების განხილვას. თავიანთი პროექტები წარადგინეს ქართველმა რეჟისორებმა ლევან კოღუაშვილმა, თეიმურაზ ცაავამ და ბესო ოდიშარიამ. მესამე დღეს გაიმართა ღია დისკუსია. პარალელურად, ფორუმის ფარგლებში მიმდინარეობდა ფილმების ჩვენება, სადაც სხვა ფილმებს შორის წარმოდგენილი იყო რეჟისორ ლევან ღლონტის დოკუმენტური ფილმი "დაბრუნება". ნაჩვენები იქნა ასევე შვეიცარიელი დოკუმენტალისტის კრისტიან ზეენდერის საქართველოში გადაღებული ფილმი "მიშა და ვარდების რევოლუცია," - აღნიშნეს კინოცენტრის საინფორმაციო სამსახურში. **მედიანიუსი**

# საფრანგეთის ლეგიონერის ორდენის კავალერი

ცნობილ ქართველ კინორეჟისორს ოთარ იოსელიანს საფრანგეთის ხელისუფლებამ საფრანგეთის ლეგიონერის ორდენის კავალერის საპატიო წოდება მიანიჭა. ოთარ იოსელიანმა ეს ჯილდო მიიღო კინემატოგრაფიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

1952 წელს ოთარ იოსელიანმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია კომპოზიციის, სადირიჟორო და ფორტეპიანოს განხრით. 1953 წელს მოსკოვში გაემგზავრა, სადაც ორი წელი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. 1961 წელს დაამთავრა რუსეთის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი, სადაც ალექსანდრ დოვჟენკოსა და მიხეილ ჭიაურელის მოსწავლე იყო.

1962 წელს მან გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი "აპრილი", ხოლო 1964 წელს - დოკუმენტური ფილმი "თუჯი", რომელშიც მეტალურგიული კომბინატის მუშაობის ერთი დღე აღწერა. პირველივე ფილმებში გამოჩნდა რეჟისორის ორიგინალური სტილი, რომელიც აშკარად დადასტურდა მის პირველ სრულმეტრაჟიან სურათში "ფოთოლცვენა" (1966). ამ ფილმისთვის მან კანის კინოფესტივალის სპეციალური ჯილდო და ჟორჟ სადულის პრიზი დაიმსახურა საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისთვის.

1971 წელს ეკრანებზე გამოვიდა ფილმი "იყო შაშვი მგალობელი", ხოლო 1976 წელს - "პასტორალი", რომელმაც ბერლინის ფესტივალის კინოპრესის ჯილდო დაიმსახურა.

1980-იანი წლების დასაწყისიდან ოთარ იოსელიანი საფრანგეთში მუშაობს, სადაც რამდენიმე დოკუმენტურ და მოკლემეტრაჟიან ფილმს იღებს: 1984 წელს "მთვარის ფავორიტებმა" ვენეციის კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. იგივე პრემია მიენიჭა იოსელიანის ორ სხვა ფილმსაც - "და იყო სინათლე" (1989) და "ყაჩაღები. თავი VII" (1996).

1999 წელს ეკრანებზე გამოვიდა ოთარ იოსელიანის ახალი ფილმი In Vino Veritas, რომელშიც იგი თავად ასრულებს ერთ-ერთ მთავარ როლს. **ინტერპრესნიუსი**



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:**

ა) ქართული ლიტერატურის სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ბ) ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

გ) ფოლკლორის სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

დ) რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ე) გალაკტიონოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის, დოქტორის) ხარისხი.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV)

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) ერთი სამეცნიერო ნაშრომის /სტატიის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს / კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია)

სასურველია, აგრეთვე, წარმოდგენილი იყოს საბუთების ელექტრონული ვერსია.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
www.litinstituti.ge
e-mail: litinst@litinstituti.ge
ტელ: 99-53-00, 98-26-76
ფაქსიP: 99-53-00

პასუხისმგებელი პირი: დირექტორის თანაშემწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მირანდა ტყეშელაშვილი.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი 2006 წლის 25 ივლისს აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), 1 საშტატო ერთეული, ხელფასი 250 ლარი;

2. კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), 1 საშტატო ერთეული, ხელფასი 250 ლარი;

3. ბუნებრივი გარემოს დაჭუჭყიანების მონიტორინგისა და პროგნოზების განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), 1 საშტატო ერთეული, ხელფასი 250 ლარი;

4. ამინდის პროგნოზების, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების მოდელირების განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), 1 საშტატო ერთეული, ხელფასი 250 ლარი.

სამეცნიერო განყოფილების გამგის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატი) ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები (აგრეთვე ელექტრონული ფორმით):

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე (ივსება ინსტიტუტში);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

დ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებული, მათ შორის 2001-2006 წლებში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ვ) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

ზ) შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

თ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);

ი) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;

კ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;

ლ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4)

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 27 აგვისტო 2006 წელი.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 1 სექტემბერს.

დამატებითი ინფორმაციის გაცემა იწარმოებს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი 150ა, ტელ: 95-10-47; 95-20-28, ფაქსი: 95-11-60, ელ.ფოსტა: nb@gw.acnet.ge ვებ-გვერდი:

http:/www.acnet.ge/meteo.htm ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის

**საკონკურსო კომისია**

## საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" 2006 წლის 31 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში "ბ" კორპუსში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**ლოტი N 1 ძრავ-გენერატორი**

12 ცილინდრიანი დიზელის ძრავი - ДГА-200-ТНООД გამოშვების წელი 1985, წონა 3500 კგ. 200 KBm; 3-50hrz;400B.

გენერატორი ГСР-200 - 3 ფაზა სინქრონული, 50 hrz, 200 KBm, წონა 1500 კგ, გამოშვების წელი 1986, ძრავ-გენერატორს აქვს მართვის ელექტრო პულტი, გამაგრილებელი სისტემა, 2 აკუმულიატორი და იქოქება ავტომატურად.

ძრავ-გენერატორი საუკეთესო მდგომარეობაშია ნამუშევარი აქვს მხოლოდ 200 საათი. ძრავის დაყენება შესაძლებელია კატარღაზე ან მცირე წყალტევადობის გემზე. **ლოტის საწყისი სააუქციონო ფასია 3 100 ლარი.**

**ლოტი N 2 მაღალი ძაბვის ელექტროტრანსფორმატორი კომპლექტში ელექტრო კარადასთან ერთად.**

ტიპი TM-400, სამი ფაზა, გამოშვების წელი 1989, სიმძლავრე 400 კგრ, სიხშირე 50 hrz საუკეთესო მდგომარეობაში.

**ლოტის საწყისი სააუქციონო ფასია 2 300 ლარი.**

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი "ბე-ს" მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და "ბე"-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გ. ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა "მონაწილის ბილეთი".

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42) ელ. ფოსტა gnatroshvili@nbg.gov.ge .

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.**

## საქართველოს სასაზღვრო პოლიცია აცხადებს მიღებას სწრაფი რეაგირების რაზმში. კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ასაკი 20-დან 35 წლამდე
- უმაღლესი ან საშუალო განათლება
- სიმაღლე 1.75 მეტრიდან
- სპორტული აღნაგობის
- გავლილი სამხედრო სავალდებულო სამსახური ან რეზერვისტთა კურსები

უპირატესობა მიენიჭებათ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის გამოცდილების, სპორტული თანრიგისა და სპეციალური სამხედრო მომზადების მქონე კანდიდატებს.

საბუთები მიიღება 25 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე: თბილისი, კანდელაკის №12.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის საკადრო საკითხთა საქართველოს, ან დარეკეთ ტელ.: 370198, 370299.

**ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 22 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ხეების გადაბელვისა და მოჭრა-გასხვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 22 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ხეების გადაბელვისა და მოჭრა-გასხვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილება და შესყიდვის ობიექტის I ლოტი მიხეილ ჭიაურელის ქუჩა შეიცვალოს ბიოქიმიის ინსტიტუტს და ქარხანა "მიონს" შორის მდებარე ქუჩით.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის 55-ე საჯარო სკოლა, მისამართი ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №38 აცხადებს ტენდერს საქვაბისა და გათბობის სისტემების მონტაჟზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზირი №38. ტელ.: 29-24-72, 22-31-28.

**ქირავდება 3500მ² ფართი, საოფისე 300მ², 1700მ² ეზოთი, 1500მ² სასაწყობო ფართით, აეროპორტის დასახლებაში. ფასი 2500$. ტელ: 899516312.**

TV5MONDE

## 25 ივლისი

**08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** სიტყვები ფრანგული სიმღერებისთვის. ეტიენ როდა-ჟილი. დოკ. ფილმი. **07.30** გადაცემა: ცისფერი მზეთუნახავი. ნიცა. **08.30** ტელედილა. **10.30** ბიგუდი. სერიალი. **11.30** გადაცემა: გურმანი. **12.15** მემარცხენეების ისტორია. დოკ. ფილმი. **14.05** ცისფერი მზეთუნახავი. ნიცა. .დოკ. ფილმი. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 22. სერიალი. **16.25** არარაობა. მხ ფილმი. რეჟისორი როჟე დევილი. 1986. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ბიჭი და გოგო. სერიალი რეჟისორი გი ლეპაჟი. **20.30** სტაფილოსფერთმიანი ბიჭი. მხ.ფილმი. რეჟისორი რიშარ ბორინგერი. 2002. **23.00** მატარებლები, რომლებიც სხვა მატარებლებს არ გვანან.. დოკ.ფილმი. **01.20** რეჟისორი რევოლუციის სამსახურში. დოკ. ფილმი. **04.40** გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება და მისი შედეგები. დოკ.ფილმი.

## "შრეკი 3"



მულტფილმი Shrek the Third ("შრეკი 3") გააერთიანებს ცნობილი ზღაპრების გმირებს - ფიფქიას, მძინარე მზეთუნახავს, ლეგენდების გმირს მეფე არტურს. ანიმაციურ კომედიას საზოგადოება 2007 წლის 18 მაისს იხილავს.

ფრანგული და გერმანული ზღაპრების გმირებს პრინცესა ფიონასთან ერთად მოუწევთ ბრძოლა ულამაზეს პრინცთან და მის მოკავშირეებთან. ხოლო შრეკმა, ჩექმებიანმა კატამ, ვირმა და მერლინმა უნდა დაარწმუნონ არტი, რომ მომავალი მეფე არტური ავიდეს სამეფო ტახტზე.

არტს გაახმოვანებს პოპ-მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი, მერლინს - ერიკ აიდლი Monty Python-ის შოუდან, ხოლო, როგორც მეორე ფილმში, ულამაზესს პრინცს - რუპერტ ევერტი, მეფეს - ჯული ენდრიუსი, შრეკს - მაიკ მაიერსი, პრინცესა ფიონას - კემერონ დიასი, ვირს - ედი მერფი, კატას - ანტონიო ბანდერასი.

2004 წელს გამოსულმა "შრეკი 2-მა" შემქმნელებს მოუტანა 916 მილიონი დოლარი, ხოლო პირველმა მულტფილმმა 2001 წელს - 500 მილიონი დოლარი.

## ახალი ფილმი ახალი ბონდისთვის




აგენტ 007-ს შესახებ ოცდამეორე ფილმს გადაიღებენ, რომლის რეჟისორიც ინგლისელი როჯერ მიჩელი იქნება. როგორც საინფორმაციო სააგენტო "როიტერი" იუწყება, ახალი ფილმის სცენარი ისევ და ისევ მაიკლ უოლსონს ეკუთვნის, ავტორს რომელმაც ჯეიმს ბონდის, გამოგონილი ბრიტანელი სპეცაგენტის შესახებ გადაღებული ბოლო 11 ფილმის ფაბულა შეთხზა.

რეჟისორ მიჩელსა და ბონდის როლის ახალ შემსრულებელს დენიელ კრეიგს შემოქმედებითი კავშირი უკვე ჰქონიათ ფილმში "მარადიული სიყვარული".

რაც შეეხება ჯეიმს ბონდის 21-ე ფილმს, იგი ჯერ კინოგაქირავებაში არ შეუტანიათ. სერიას, რომლის რეჟისორიც მარტინ კემბელენია 2006 წლის 17 ნოემბრიდან ვიხილავთ ეკრანებზე.

## ფოკინი და თეთრი ღამეები



17 ივლისს პეტერბურგის მარიას თეატრის სცენაზე გაიმართა საბალეტო კონცერტი სახელწოდებით "მიხეილ ფოკინის ბალეტები". პროგრამაში შევიდა ცნობილი დადგმები "შოპენიანა", "შეჰერეზადა" რიმსკი-კორსაკოვის მუსიკაზე და იგორ სტრავინსკის მუსიკაზე დადგმული "ფასკუნჯი".

წარმოდგენა საერთაშორისო ფესტივალის "თეთრი ღამეების ვარსკვლავების" ფარგლებში გაიმართა და რუსული ბალეტის ეს სამი შედევრი წარუდგინა მაყურებელს. კონცერტი ასევე გამოეხმაურა მარიას სამეფო თეატრის საბალეტო დასის არსებობის 120 წლისთავის. საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კონცერტები ორშაბათს ჩაიკოვსკის "გედების ტბის" ჩვენებით დასრულდა.

მიხეილ ფოკინი დაიბადა 1880 წლის 26 აპრილს პეტერბურგში და 9 წლის ასაკში თეატრალურ სასწავლებელში ჩააბარა. მისი დებიუტი სამეფო თეატრის სცენაზე 1898 წელს შედგა ბალეტში "პახიტა". თანდაყოლილმა მონაცემებმა და არტისტიზმმა იგი სულ მალე დასის სოლისტი გახადა. ფოკინი წამყვან პარტიებს ცეკვავდა "დონ კიხოტში", "გედების ტბაში", "მძინარე მზეთუნახავსა" და კიდევ სხვა წარმოდგენებში. მიუხედავად წარმატებული სამსახიობო კარიერისა, მისი მთავარი დამსახურება, მაინც ქორეოგრაფიის ჟანრში გამოვლინდა. მან დადგა ისეთი საბალეტო ნომრები და სპექტაკლები, რომლებმაც ბევრად განავითარა რუსული ბალეტი. ფოკინის შემოქმედებამ ახალი მუხტი შეიტანა საერთოდ მსოფლიო საბალეტო ხელოვნებაში.

მიხეილ ფოკინი უსიუჟეტო ბალეტის ფუძემდებელი გახდა, ამ მიმართულებით შექმნა არაერთი ქმნილება ("შოპენიანა", "შეჰერეზადა", "ფასკუნჯი", "დაფნა და ხლოა", "მეჯლისი" და სხვა). იგი თანამშრომლობდა სახელგანთქმულ მხატვრებთან და კომპოზიტორებთან, რომელთა შორისაც იყვნენ: ბენუა, ბაკსი, რერიხი, სტრავინსკი, რახმანინოვი და გლაზუნოვი.

აღნიშნული ბალეტების გარდა, მან დადგა ისეთი საბალეტო ნომრები, რომლებმაც განსაკუთებული ადგილი დაიმკვიდრეს როგორც საეტაპო ნამუშევრებმა XX საუკუნის დასაწყისის ქორეოგრაფიაში: "მომაკვდავი გედი" (სპეციალურად ანა პავლოვასთვის), "პეტრუშკა", "ეროსი" და "ოქროს მამალი".

ფოკინის დადგმების უმრავლესობა დღემდე განსაკუთრებული მოკრძალებით სრულდება მსოფლიოს არაერთი წამყვანი თეატრის მიერ. ფოკინის ავტორობისაა არა მხოლოდ ბალეტები, არამედ არაერთი თეორიული სტატია და მეტად საინტერესო წიგნი "დინების საწინააღმდეგოდ".

ლიტერატურული ნაწარმოების ეს სათაური გარკვეულწილად პირდაპირ კავშირშია თავად ფოკინის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, რადგანაც მას არაერთხელ მოუხდა გარკვეული წინააღმდგობების დაძლევა და უკვე სულ ბოლოს, მაშინ, როცა მისი სტილი და ესთეტიკა აღარ გახლდათ ბალეტის მოდის კანონმდებელი, მოუხდა იმ ფოკინის შენარჩუნება, რომლითაც თავად იამაყებდა.

ფოკინი პეტერბურგიდან პირველად 1909-1914 წლებში გავიდა, იგი დიაგილევის გასტროლების ერთ-ერთი მთავარი გმირი და მთავარი ღირსება გახლდათ. პარიზთან ახლო კონტაქტის შემდეგ, იგი დიდხანს რუსეთში აღარ გაჩერებულა. ევროპამ მიშა შეიყვარა და აღარ გაუშვა. ის არა მხოლოდ რუსული, არამედ მთელი დასავლური ბალეტის მონაპოვარი გახდა. 1918 წელს ის საგასტროლოდ შვეციაში გაემგზავრა, რის შემდეგაც 1921 წელს ფოკინი შტატებს ესტუმრა. მას შემდეგ, ფოკინი ევროპას მხოლოდ რამდენჯერმე დაუბრუნდა. ისიც პარიზს არ გაშორებია. აშშ-სა და საფრანგეთში წამყვანი თეატრების დასებთან მუშაობდა, თუმცა ყველაზე დიდხანს მაინც შტატებში რჩებოდა. ნიუ ოირკში 1924 წლიდან საბალეტო სტუდიას ხელმძღვანელობდა, რომლის ერთგული სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. XX საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო ბალეტის მოვლენა სამშობლოში არ დაბრუნებულა, იგი 1942 წელს ნიუ იორკშივე გარდაიცვალა.

## თომას პინჩონი



ამერიკელი მწერალი თომას პინჩონი ცხრა წლის შემდეგ, 2006 წლის დეკემბერში ახალ რომანს გამოაქვეყნებს. წიგნს Against the Day, რომელიც 900 გვერდისგან შედგება, დაბეჭდავს გამომცემლობა Penguin Press. რომანის სახელწოდებად გამოყენებულია ციტატა იოანეს სახარებიდან (თავი 12, ლექსი 7), მიახლოებულ სათაურად შეიძლება ვიგულისხმოთ "ჩემი დაკრძალვის დღეს").

წიგნის გამოსვლამდე წიგნების მაღაზიის Amazon.com ინტერნეტ-საიტზე გამოჩნდა პატარა აღწერა რომანის შესახებ. ანოტაციაში ნათქვამი იყო, რომ მოქმედება რომანში მიმდინარეობს ჩიკაგოში 1893 წლის მსოფლიო გამოფენაზე, ხოლო გეოგრაფიულად მოიცავს კოლორადოს, ნიუ იორკს, გეტინგენს, ვენეციას, ვენას, ციმბირს, მექსიკას და პარიზს. ანოტაციის გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამომცემლობამ სთხოვა საიტის ხელმძღვანელებს მოეშორებინათ იგი, რადგან მას ტექსტთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდა. მაგრამ მათ განაცხადეს, რომ ანოტაციას უახლოეს მომავალში კიდევ გამოაქვეყნებენ.

პინჩონის ბოლო წიგნი "მეისონი და დიქსონი" გამოვიდა 1997 წელს. მას შემდეგ ავტორმა დაწერა მხოლოდ რამდენიმე რეცენზია და ესე.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge




## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** 893 60 30 06
893 65 38 39



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

განებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## Toyota ხარვეზების დაფარვისთვის პასუხს არ აგებს

კომპანია Toyota-ს თანამშრომლები მთელი რვა წლის განმავლობაში Hilux-ისა და Hilux Surf-ის ავტომობილების დეფექტებს შეგნებულად მალავდნენ. ხარვეზები ძირითადად ავტომობილის საჭესთან იყო დაკავშირებული. იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კომპანია Toyota დეფექტების განზრახ დამალვისთვის არ დაისჯება. კომპანიის ხელმძღვანელობამ, კონკრეტულად კი კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა მასატამი ტაკიმოტომ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე Hilux-ისა და Hilux Surf-ის მფლობელებს ბოდიში საჯაროდ მოუხადა და განაცხადა, რომ მსგავსი რამ მათი მხრიდან აღარ განმეორდება.

ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამინისტროს განცხადებით, კომპანიის მხრიდან არანაირ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც Toyota ჯარიმას არ გადაიხდის.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, იაპონიის პოლიციამ კომპანია Toyota-ს სამი თანამშრომელი საჭესთან დაკავშირებული პრობლემების განზრახ დამალვაში დაადანაშაულა. ამის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელობამ ცოტა ხნის წინ შეიტყო. რის გამოც, დაზიანებული ავტომობილების შეკეთება კომპანიამ თავის თავზე აიღო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც Hilux Surf-ის მძღოლი ავტოკატასტროფაში მოყვა.

## Volkswagen-მა ახალ ავტომობილს სახელი შეურჩია

კონცერნმა Volkswagen-მა, როგორც იქნა, თავის ახალ ავტომობილს სახელი შეურჩია. VW Tiguan - ასე ერქმევა ავტომობილს, რომელიც ბაზარზე 2008 წლიდან გამოვა. კომპანია Volkswagen-მა ახალი ავტომობილის სახელწოდება გამოცემა AutoBild-ის დახმარებით შეარჩია. გამოცემამ მკითხველებს საშუალება მისცა თავად შეერჩიათ ახალი ავტომობილის სახელწოდება. პოტენციურ მყიდველებს ახალი ავტომობილის საბოლოო სახელწოდება ხუთი სავარაუდო ვარიანტიდან უნდა შეერჩიათ. Tiguan, Nanuk, Namib, RocktoN და Samun- ეს სავარაუდო სახელები გერმანული კონცერნის მარკეტინგის განყოფილებამ წარადგინა.

მკითხველების ძირითადმა მასამ, 36-მა პროცენტმა ამ ხუთი სავარაუდო სახელიდან Tiguan შეარჩია. სულ გამოკითხვაში 350 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

" ეს უნიკალური ნაბიჯი ამტკიცებს, თუ როგორ ვითარდება და იზრდება ჩვენი მარკა. ძალიან მიხარია, რომ ჩვენ სულ უფრო ვუახლოვდებით ჩვენს კლიენტებს. ჩვენი ინოვაციის წყალობით, პოტენციურმა მყიდველებმა სახელწოდების შერჩევაში თავად მიიღეს მონაწილეობა. შეიძლება ითქვას, რომ ახალი ავტომობილი VW Tiguan მთლიანად მათი კომფორტისთვის არის შექმნილი",- აცხადებს კომპანია Volkswagen-ის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი ვოლფგანგ ბერნხარდი.

VW Tiguan-ი, როგორც კომპანიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, არა მარტო ასფალტირებული არამედ გაუმართავ გზებზეც ადვილად იმოძრავებს. მისი პრეზენტაცია მომავალ წელს, ფრანკფურტის ავტოშოუზე შედგება.

VW Tiguan-ის საბაზრო ღირებულება ჯერ კიდევ არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, დაახლოებით 29 ათასი ევრო იქნება.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3298 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9914 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4819 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7700 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8263 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1460 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3005 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა EGP | 0,3084 | |
| 1 | ევრო | EUR | 2,2412 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4327 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3404 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1449 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1523 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2810 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1934 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2428 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3975 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5671 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1777 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4558 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3268 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2827 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5685 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5946 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 | სინგაპურული დოლარიSGD | 1,1181 | |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4237 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5329 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4435 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5199 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8147 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1216 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1507 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4437 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2430 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4272 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0789 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2217 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2276 |




# რა გავლენას იქონიებს რუსეთის ემბარგო ქართულ ლარზე?

### ექსპერტები ეროვნული ვალუტის გაუფასურებას ვარაუდობენ

ეთერ მამულაშვილი

*რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგო პირველ ეკონომიკურ შედეგებს, უფრო ზუსტად, დანაკარგებს ითვლის. სხვადასხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური გათვლებით ქვეყანამ 40 მილიონამდე აშშ დოლარი დაკარგა, რაც საქართველოს მინერალური წყლებისა და ალკოჰოლური სასმელების მეზობელ სახელმწიფოში გაყიდვიდან უნდა მიეღო. ეს კი მომავალში ქვეყნის მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 35-პროცენტიან ზრდას უზრუნველყოფდა.*

- **ოფიციალური მონაცემებით ინფლაციის მაჩვენებელმა ორნიშნა ზღვარს კარგა ხანია გადააჭარბა და ამ დროისთვის ის 11 პროცენტს შეადგენს. წლის დასაწყისში ხელისუფლება 6-7 პროცენტს ვარაუდობდა.**
- **ექსპერტები ამბობენ, რომ საბაჟო კოდექსის თითქმის უკვე დამტკიცებული ვარიანტი, გარკვეულწილად, გამოიწვევს ადგილობრივი მწარმოებლების იმპორტიორთა რიგებში გადასვლას.**

B4

# ამერიკანიზმის კვინტესენცია

### Levi's-ი - მსოფლიოში ყველაზე ცნობადი ბრენდი

გოჩა ქიმუცაძე

*1873 წელს რიგელმა ემიგრანტმა ბავარიელ ემიგრანტს შესთავაზა შარვლების, რომლებიც თავის დროზე ფრანგულ ქალაქ ნიმში გამოგონილი ქსოვილით იკერებოდა, განსაკუთრებით დაჭიმული ადგილები სპილენძის სამაგრებით გაემაგრებინათ. ასე გაჩნდა Levi's-ი - პროდუქტი, რომელსაც "ამერიკანიზმის კვინტესენციას" უწოდებენ, ბრენდი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობადად არის აღიარებული.*

LEVI'S ©




B3

# კომერციულ ფართზე ფასები გაიზრდება

### კომერციული ფართის მსურველთა 90 პროცენტი თურქები და ჩინელები არიან

ნინო ნატროშვილი

*საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი სწრაფი ტემპით ვითარდება. მსოფლიოში გავრცელებული ტენდენციის თანახმად, ამ ბაზრის განვითარებას ფასების ზრდაც თან ახლავს. თუ 2006 წლის სტატისტიკას გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოში ფასები ბაზრის განვითარების პირდაპირპროპორციულად იზრდება. ექსპერტების შეფასებით, საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე, ბოლო ერთი წელია, კომერციულ ფართზე ფასების რეკორდული ზრდა შეიმჩნევა. საგულისხმოა, რომ კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება საცხოვრებელ ბინებზე გაცილებით სწრაფად გაძვირდა. გასული წლის მონაცემებს თუ შევადარებთ, კომერციული ფართის როგორც გასაყიდი, ისე გაქირავების ფასი დაახლოებით ოთხჯერ გაიზარდა. ფასების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებშიც. კომერციულ ფართზე მოთხოვნა განსაკუთრებით ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებშია თვალშისაცემი. თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების ცენტრალურ უბნებში სავაჭრო ფართი უკვე თითქმის ყველგან დაკავებულია. ექსპერტების შეფასებით, ეს, გარკვეულწილად, იმიტომ მოხდა, რომ უმუშევარი მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებითაა დაკავებული და, ძირითადად, ვაჭრობის სექტორში საქმდება.*

**კომერციული ფართის შოვნა თბილისში განსაკუთრებით ჭირს ცენტრალურ ქუჩებსა და მეტროებთან. ქვეყანაში ვაჭრობის სფერო ყველაზე აქტიურად მუშაობს და მოსახლეობა ცდილობს, მცირე ბიზნესით დაკავდეს.**



B3

## საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამაში ჩაერთო

"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" გამოეხმაურა პრეზიდენტის ინიციატივას და მზად არის, სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამაში ჩაერთოს.

"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" პრესსამსახურის ცნობით, კომპანია აჭარის ადმინისტრაციას, ადგილობრივ სტუდენტთა დასაქმების მიზნით, სთავაზობს 50 ვაკანსიას.

კომპანია მზად არის, 50 სტუდენტს შესთავაზოს საზაფხულო სამუშაოები, კერძოდ - აჭარის სანაპირო ზოლის, პარკების და ქალაქის ცენტრალური ქუჩების დასუფთავება. აქციის მიზანი - სტუდენტთა დასაქმება, სუფთა ქალაქი და საკურორტო ინფრასტრუქტურა და აჭარაში დასასვენებლად ჩასულ სტუმართათვის სასიამოვნო გარემოს შექმნაა.

ამ ეტაპზე, უკვე მიმდინარეობს სტუდენტთა შერჩევის პროცედურა, ხოლო დასაქმების კუთხით ჩასატარებელი სამუშაოები 1 აგვისტოდან დაიწყება და ორ თვეს გასტანს.

დედაქალაქის მერიის მიერ გამოცხადებული სტუდენტური დასაქმების პროგრამაში 6 ათასი სტუდენტი მონაწილეობს. **პრაიმ-ნიუსი**

## აზერბაიჯანიდან საქართველოში 120 ათასამდე ბარელი ნავთობი გადაიტვირთება

მსოფლიო ბაზარზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით აზერბაიჯანული ნავთობის რკინიგზის საშუალებით ბათუმამდე გადატვირთვა 2006 წლის ბოლომდე გაგრძელდება, ვიდრე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი სრულად არ ამოქმედდება.

კომპანია "ბი-პი აზერბაიჯანის" ინფორმაციით, დღეისათვის აღნიშნული მარშრუტით აზერბაიჯანული და ქართული სარკინიგზო სისტემების საშუალებით ყოველდღიურად 120 ათასამდე ბარელი ნავთობი გადაიტვირთება. დღემდე 32,7 მილიონ ბარელზე მეტი ნავთობია გადატვირთული, რამაც ივნისის ბოლოსთვის ბათუმის პორტიდან აზერბაიჯანული ნავთობით დატვირთული 55 ტანკერის სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნას შეუწყო ხელი. **მედიანიუსი**

## უცხოეთიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები 42 პროცენტით გაიზარდა

უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემების ("ვესტერნ იუნიონი", "მანიგრამი", "ანელიკი", კავკასუს ექსპრესი" და სხვ.) საშუალებით 2006 წლის იანვარ-ივნისში დაახლოებით 220 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, რაც 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 65 მლნ აშშ დოლარით (დაახლოებით 42 პროცენტით) აღემატება.

ეროვნული ბანკის ცნობით, რაც შეეხება ფულადი გზავნილების სტრუქტურას, 2006 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში საქართველოში უცხოური არხებით შემოსული თანხებიდან ყველაზე მეტი - 147,3 მლნ აშშ დოლარი (67,4%) რუსეთის ფედერაციიდანაა, 20,8 მლნ აშშ დოლარი (9,5%) - ამერიკის შეერთებული შტატებიდან და 7,1 მლნ აშშ დოლარი (3,2%) საბერძნეთიდან გადმოირიცხა.

საანალიზო პერიოდში ასევე გაიზარდა საქართველოდან განხორციელებული სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობაც. 2006 წლის იანვარ-ივნისში ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემების მეშვეობით ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში გადარიცხულია 65,8 მლნ აშშ დოლარი, რაც 33,4 მლნ აშშ დოლარით აღემატება 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. საქართველოს მოქალაქეების მიერ გადარიცხული თანხებიდან ყველაზე მეტი, ტრადიციისამებრ, 41,5 მლნ აშშ დოლარი (63,1%) რუსეთზე მოდის, შემდეგ - უკრაინასა 5,1 მლნ აშშ დოლარი (7,8%) და აშშ-ზე 2,7 მლნ აშშ დოლარი (4,1%). **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ეკონომიკის განვითარების სამინისტროს გასაყიდად კიდევ სამი ობიექტი გამოაქვს

დღეიდან ეკონომიკის განვითარების სამინისტროში იწყება განაცხადების მიღება საპრივატიზაციოდ გამოტანილ სამ ობიექტზე; ესენია: შპს "ალფა", სს "მარნეულის სასურსათო კომბინატი" და ყოფილი სამობილიზაციო რეზერვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მიწის ნაკვეთი. პირველი ორი ობიექტის პრივატიზება აუქციონის წესით მოხდება, ხოლო მესამის - კონკურსის წესით.

სს "მარნეულის სასურსათო კომბინატი" მდებარეობს ქ. მარნეულში. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 250 000 აშშ დოლარი.

შპს "ალფა" კი თბილისში, ჩაჩავას ქ. N8-შია განთავსებული. მისი საქმიანობის სფეროა სამამულო მიკროელექტრონული ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოება. ობიექტის საწყისი ფასი 1900 000 დოლარია.

ყოფილი სამობილიზაციო რეზერვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მიწის ნაკვეთი მდებარეობს მცხეთის რაიონში, სოფელი აღდგომელაანთკარში. ამ ობიექტის გასაყიდი ფასია 200 000 დოლარი.

სამივე ობიექტზე საპრივატიზაციო განცხადებები მიიღება 24 ივლისიდან 24 აგვისტომდე. ტენდერი განცხადების მიღების დამთავრების დღესვე ჩატარდება. **მედიანიუსი**

## აზერბაიჯანული ნავთობის ფასები გაიზარდა

აზერბაიჯანულ ნავთობზე ფასები გაიზარდა. AZERI LT FOB Ceyhan-ის ნავთობის ფასმა 21 ივლისს ბარელზე 72,70 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დასახელებულ ფასთან შედარებით 0,40%-ით მეტია. აღნიშნული მარკის ნავთობი ჯეიჰანის პორტს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით მიეწოდება.

სააგენტო "ტრენდი" იტყობინება, რომ 21 ივლისს AZERI LT CIF Augusta-ს მარკის ნავთობის ფასმა ბარელზე 73,91 აშშ დოლარი შეადგინა. მისმა სიმკვრივემ API-ის შკალით 34,6 გრადუსი შეადინა, გოგირდის შემცველობამ - 0,14%.URAL (EX-NOVO)-ს ფასმა 21 ივლისისთვის ბარელზე 67,25 აშშ დოლარი შეადგინა. ნავთობის სიმკვრივე - 30,4-31,85 გრადუსი, გოგირდის შემცველობა - 1,8%. DTD-ის ნავთობის ფასი 21 ივლისს ბარელზე 72,96 აშშ დოლარი დაფიქსირდა. DTD-ის სიკვრივე API-ის შკალით 38,3 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,36%. "აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის" საბადოზე მოპოვებული Azeri Light-ის მარკის ნავთობის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე 1999 წელს საქართველოდან სუფსის პორტიდან დაიწყო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# კომერციულ ფართზე ფასები გაიზრდება

პირველი გვერდიდან

2006 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, უმუშევართა რაოდენობამ (შსო-ს მკაცრი კრიტერიუმით - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ არის დასაქმებული, ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებს სამუშაოს და შოვნის შემთხვევაში მზად არის, შეუდგეს მუშაობას) 280,0 ათასი კაცი შეადგინა და 2005 წლის I კვარტალთან შედარებით (294.3 ათასი კაცი) 12.3 ათასით კაცით (4,2%) ნაკლებია. უმუშევრობის დონე კი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 14,6 პროცენტია, რაც გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 0,1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია:

შრომის სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, 2005 წელს საშაულო თვიური ხელფასი 204,2 ლარით განისაზღვრა, რაც წინა წელთან შედარებით (156,8 ლარი) 47,4 ლარით მეტია. სტატისტიკური მონაცემებით, 2006 წელს დასაქმებული მოსახლეობის 64 პროცენტი ვაჭრობის სექტორში დასაქმდა. 2006 წლის I კვარტალის მონაცემებით, დასაქმების სტატუსის მიხედვით, დასაქმებულთა 36 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო დანარჩენი 64 პროცენტი თვითდასაქმებულთა რიგს მიეკუთვნებოდა. უმნიშვნელოა სქესობრივი ნიშნით განსხვავება დაქირავებით დასაქმებულ ქალებსა და მამაკაცებს შორის: დაქირავებით დასაქმებული ქალები დასაქმებულთა 48 პროცენტს, მამაკაცები კი 52 პროცენტს შეადგენს.

ბროკერების განმარტებით, კომერციული ფართის შოვნა თბილისში განსაკუთრებით ჭირს ცენტრალურ ქუჩებსა და მეტროებთან. ქვეყანაში ვაჭრობის სფერო ყველაზე აქტიურად მუშაობს და მოსახლეობა ცდილობს, მცირე ბიზნესით დაკავდეს. მეორე მიზეზი ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში თურქებისა და ჩინელების მასობრივი შემოსვლა გახდა, რომლებმაც დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე რაც კი თავისუფალი კომერციული ფართი იყო დარჩენილი, დაიკავეს. როგორც უძრავი ქონების ვაჭრობით დაკავებული ბროკერები ამბობენ, თავისუფალ ფართებს უმეტესად ისევ თურქი და ჩინელი მოვაჭრეები ითხოვენ. მოთხოვნა სავაჭრო ობიექტებზე საქართველოს მოქალაქეთა მხრიდანაც ყოველდღიურად იზრდება, თუმცა საბროკერო სააგენტოების კლიენტების უმრავლესობა მაინც ამ ორი ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები არიან. ბროკერები უკვე აღარ დავობენ იმაზე, რომ თბილისში კომერციული ფართის დეფიციტია. ბოლო დროს, კომერციული ფართის მსურველთა 90 პროცენტი თურქები და ჩინელები არიან. თურქები ფართს აღმაშენებლის პროსპექტზე, ძირითადად, რესტორნებისა და სასტუმროებისთვის ეძებენ. მათ ეს ქუჩა უკვე თითქმის მთლიანად დაიკავეს. ჩინელები მაღაზიებისთვის უფრო საბურთალოს, პეკინის, პავლოვის ქუჩებს და ვაჟა-ფშაველას პროსპექტს არჩევენ.

"24 საათის" მიერ ჩატარებული გამოკითხვით გაირკვა, რომ კომერციული საქმიანობის წამოსაწყებად ყველაზე მიმზიდველია აღმაშენებლის პროსპექტი, პეკინის და რუსთაველის ქუჩები. რუსთაველზე ფართი ყველაზე ძვირია. აქ ერთი კვადრატული მეტრის ფასი 8-9 ათას დოლარს აღწევს, პეკინზე კი 30 კვადრატული მეტრის ფართს თვეში 1200 დოლარად იქირავებ. გამოიკვეთა ახალი ტენდენციაც - კომერციული ფართი რაც უფრო მცირეა, მით უფრო მაღალია მისი ფასი. რაც შეეხება გასაყიდ ფასებს, კომერციული ფართის ერთი კვადრატული მეტრი ვაკეში 6-8 ათას დოლარია, პეკინის ქუჩაზე კი 5-6 ათასი ღირს. განსაკუთრებით ძვირი ღირს ადგილი სასტუმრო "აჭარასთან" - რამდენიმემეტრიან მონაკვეთში ფასთა სხვაობა თითქმის 1200-2000 დოლარია. ვაჟა-ფშაველასა და პავლოვზე კომერციული ფართის გასაყიდი ფასი შედარებით დაბალია და 1800-დან 2000 დოლარს შორის მერყეობს. გარეუბნებში კომერციული ფართი შედარებით იაფია და ფასები ამ ადგილებშიც ხალხმრავლობისა და ადვილად მისადგომობის მიხედვით განისაზღვრება. თბილისის გარეუბნებს შორის ყველაზე დიდი მოთხოვნა მეტრო "ახმეტელის" და მეტრო "ისნის", ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე კომერციულ ფართებზეა. თითქმის ასეთივე სიტუაციაა მეტროს სხვა სადგურების ამოსასვლელებთან, სადაც ერთი კვადრატული მეტრის მინიმალური ფასი 500 დოლარს, უკვე კარგა ხანია, ასცდა.

უძრავი ქონების ექსპერტების შეფასებით, კომერციულ ფართებზე ფასების ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება, რადგან ცენტრალურ უბნებში კომერციული ფართი უკვე ათვისებულია. ამ შემთხვევაში სავაჭრო სექტორში დასაქმებული ადამიანები იძულებული იქნებიან, ბიზნესსაქმიანობა გარეუბნებში წამოიწყონ. ამიტომ, გაძვირების ტენდენცია თბილისის გარეუბნებსაც შეეხება.

# ახალი შესაძლებლობა უძრავი ქონების შესაძენად

### "საქართველოს ბანკის" იპოთეკური სესხი "იპო+" - საუკეთესო გამონაკლისი

*მას შემდეგ, რაც უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მშენებლობის ბუმი დაიწყო, განსაკუთრებით აქტუალური გახდა იპოთეკური სესხი, რომელსაც ბანკები ბინების მშენებლობის, შეძენის ან რემონტისათვის გასცემენ. იპოთეკური სესხების არჩევანი დიდია, მაგრამ საუკეთესო გამონაკლისი მაინც არსებობს, რომელსაც ქართულ საბანკო სექტორში ნოვატორული საბანკო პროდუქტების დანერგვის გასაოცარი სიხშირით ცნობილი "საქართველოს ბანკი" სთავაზობს მომხმარებელს. ეს გახლავთ იპოთეკური სესხი - "იპო+", რომელსაც სტანდარტული იპოთეკური სესხებისაგან განსხვავებით გააჩნია საპროცენტო გადასახდელის შემცირების მექანიზმი, რაც ხორციელდება იპოთეკური სესხისა და მსესხებლის დანაზოგების დაბალანსების გზით (რომელიც მსოფლიო პრაქტიკაში "Offset"-ის სახელწოდებითაა ცნობილი). ერთი სიტყვით, მსესხებლისათვის ყველაზე მნიშვნელოვან სარგებელს წარმოადგენს ის, რომ "იპო+"-ით სარგებლობისას მას საშუალება ეძლევა თვითონ შეამციროს სესხის საპროცენტო განაკვეთი და მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღოს.*

განმარტებისათვის, "იპო+" წარმოადგენს იპოთეკური სესხის გადახდის იდეალურ მეთოდს ნებისმიერისათვის, ვინც საბარათე ანგარიშზე თანხის ბრუნვას აწარმოებს, ვისაც არ სურს დაკარგოს საბარათე ანგარიშზე შემოსული თანხის გამოყენების უფლება და ამავდროულად სურვილი აქვს გამოიყენოს იგი სესხის საპროცენტო განაკვეთის შესამცირებლად. ანუ, თუ იპოთეკური სესხის დაფარვის 10-20 წლიანი პერიოდის განმავლობაში ("საქართველოს ბანკში" იპოთეკური სესხის გადახდის ვადა 10-დან 20 წლამდე პერიოდით განისაზღვრება) თქვენ გაგიჩნდათ რაიმე თავისუფალი თანხა, რომელიც იმავე ანგარიშზე დადეთ, ან თქვენი ხელფასი ირიცხება იმავე საბარათე ანგარიშზე, რომელიც დაკავშირებულია "იპო+"-თან, აღნიშნული თავისუფალი თანხა აკლდება სესხის თანხას და გადასახდელი პროცენტი მხოლოდ დარჩენილ სხვაობაზე განისაზღვრება. ამასთან, ეს არის თავისუფალი თანხა, რომელიც ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამოიტანოთ ანგარიშიდან.

მაგალითად, თუ "იპო+"-ით აღებული სესხის თანხა შეადგენს 50,000 ლარს და საბარათე ანგარიშზე გაქვთ 5,000 ლარი, მაშინ თქვენ პროცენტი დაგერიცხებათ მხოლოდ სხვაობაზე, ანუ 45,000 ლარზე.

"იპო+"-ის ამ უნიკალური შესაძლებლობის გამოყენება მსესხებელს შეუძლია სხვადასხვა გზით - იმის შემდეგ, რაც მსესხებელი აიღებს იპოთეკურ სესხს "იპო+"-ს, მას უფასოდ გადაეცემა სხვა საბანკო და სადაზღვევო პროდუქტები, მათ შორის პლასტიკური ბარათი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია როგორც "საქართველოს ბანკის" ბანკომატების ფართო ქსელში, ასევე მსოფლიოს მასშტაბით უამრავ ადგილას. პლასტიკური ბარათის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს ხელფასის და სხვა სახის შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვა და შემდგომში მათი თავისუფლად გამოყენება. ასევე, ამავე ანგარიშზე შესაძლებელია გაკეთდეს ყოველთვიური დანაზოგი, განთავსდეს დროებით თავისუფალი სახსრები, ხოლო ყოველივე ამის შედეგად მოხდება "იპო+"-ის უნიკალური თვისების ამოქმედება - გადავიხდით ნაკლებ პროცენტს.

"Offset"-ის ანალიტიკოსის რახელ მაკეის (დიდი ბრიტანეთი) განმარტებით **"ანგარიშზე ფულადი სახსრების გაერთიანება იმ მიზნით, რომ შემცირდეს დარიცხული საპროცენტო განაკვეთი, ძალზედ სასარგებლო შეიძლება იყოს, განსაკუთრებით იმ პირებისათვის, ვინც რეგულარულად აკეთებს ფულადი თანხების დანაზოგს და ასევე ბანკის (პლასტიკური ბარათის) საშუალებით იღებს გარკვეული სახის შემოსავლებს. ბარათზე არსებული თანხისა და სესხის თანხის ურთიერთდაბალანსების შედეგად, იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთი მცირდება".** ანუ, ჩვეულებრივ იპოთეკურ სესხთან შედარებით "იპო+"-ის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ თანხების დაბალანსების საფუძველზე მცირდება ყოველთვიური გადასახდელი იპოთეკურ სესხზე. შედეგად მსესხებელს ეძლევა შესაძლებლობა თავად შეამციროს "იპო+"-ზე წლიური საპროცენტო განაკვეთი 4-ჯერ, ავტომატურად გახსნილ საბარათე ანგარიშზე განთავსებული თანხით. რაც მეტია ანგარიშზე თანხა, მით უფრო ნაკლებია საპროცენტო გადასახდელი სესხზე.

მაგალითისათვის დავუშვათ, რომ თქვენ გადაწყვიტეთ ბინის შეძენა და ამისათვის აიღეთ 20-წლიანი "იპო+" 50,000 ლარის ოდენობით წლიურ 14%-ად. ვთქვათ თქვენი ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს 700 ლარს, ხოლო თქვენი მეუღლის ხელფასია თვეში 500 ლარი. თუ თქვენ მოახდენთ აღნიშნული შემოსავლების ჩარიცხვას "იპო+"-თან დაკავშირებულ საბარათე ანგარიშზე და ამავე დროს მოახერხებთ თვეში თუნდაც 100 ლარის დაზოგვას, მაშინ სესხის საპროცენტო განაკვეთი შემცირდება 3.5%-ით და წლიური 14%-ის ნაცვლად იქნება 10.5%, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ნახაზზეა მითითებული. ასევე, ჩვეულებრივ იპოთეკურ სესხთან შედარებით პროცენტის სახით თქვენს მიერ გადასახდელი თანხა შემცირდება 30.3%-ით (იხილეთ ქვემოთ მოცემული ნახაზი).

ხოლო, თუ თქვენ მოახერხებთ თვეში 200 ლარის დაზოგვას, მაშინ სესხის საპროცენტო განაკვეთი უკვე შემცირდება 6.1%-ით და წლიური 14%-ის ნაცვლად იქნება მხოლოდ 7.9%. ასევე, ჩვეულებრივ იპოთეკურ სესხთან შედარებით პროცენტის სახით თქვენს მიერ გადასახდელი თანხა შემცირდება 49.8%-ით ანუ თითქმის განახევრდება, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ნახაზზეა ნაჩვენები.

აღსანიშნავია, რომ "Offset" იპოთეკური სესხი პირველად დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინ შემოვიდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა. კვლევების თანახმად, მარტო დიდ ბრიტანეთში "Offset" იპოთეკური სესხების ბაზარი 2004 წელს 29,2 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს მაჩვენებელი 2009 წლისთვის 84,7 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება.

და ბოლოს, "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ლადო გურგენიძის შეფასებით, **"ამ ინოვაციის საშუალებით ბანკი ზრდის თავის როლს სწრაფად მზარდი უძრავი ქონების ბაზარზე საქართველოში, ვინაიდან იგი უფრო ხელმისაწვდომს ხდის უძრავი ქონების შეძენას მოსახლეობის საშუალო ფენისათვის, რომელთაც შესაძლებლობა ეძლევათ გამოიყენონ თავიანთი დანაზოგები ყველა იმ უპირატესობის გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელია "იპო+"-სათვის".**

"საქართველოს ბანკი" მომხმარებელს "იპო+"-ს გადასცემს პაკეტურად, ანუ დამატებით საჩუქრად გადასცემს სხვა საბანკო და სადაზღვევო პროდუქტებსაც. კერძოდ, ყველას უფასოდ გადაეცემა სადებეტო Visa Electron ან Cirrus Maestro პლასტიკური ბარათი სრული დისტანციური საბანკო მომსახურებით (SMS ბანკი, ონლაინ გადახდები, ინტერნეტ ბანკი, ტელეფონ ბანკი, "სთენდინგ ორდერი" ანუ მუდმივი საგადასახადო დავალება), სესხის მიღებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ სადებეტო ბარათზე ხდება ოვერდრაფტის დაშვება, ასევე პარალელური სესხის გაცემა და საკრედიტო ბარათის გადაცემა. ამას გარდა, ხორციელდება კლიენტებისათვის შემდეგი სადაზღვევო პროდუქტების გადაცემა: უძრავი ქონების დაზღვევა და უფასოდ სიცოცხლისა და შრომისუუნარობის დაზღვევა. ასევე პირველად საქართველოში "იპო+"-ის პაკეტში სხვა პროდუქტებთან ერთად "საქართველოს ბანკი" მსესხებელს უფასოდ სთავაზობს უნიკალურ დაზღვევას - მსესხებელი ეზღვევა უმუშევრობით გამოწვეულ შემოსავლების დაკარგვაზე.

ყოველივე ზემოთქმულის გამო "საქართველოს ბანკის" "იპო+"-ს ანალოგი არ გააჩნია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, რის გამოც იგი დამსახურებულად ითვლება საუკეთესო გამონაკლისად საქართველოში არსებულ იპოთეკურ სესხებს შორის.

## ექსპორტის საკითხებს კონფერენცია მიეძღვნება

საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა" და არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფალ ეკონომიკის და ბიზნესის ინსტიტუტი" ხვალ სასტუმრო "შერატონ-მეტეხი-პალასში" გამართავენ კონფერენციას თემაზე "ექსპორტის ტენდეციები და პრობლემები საქართველოში". მათი ინფორმაციით, 2006 წლის მეორე კვარტალში სერიოზულად შემცირდა ექსპორტი საქართველოდან. მისი ძირითადი მუხლები ღვინო და ღვინოპროდუქტები, რომელიც 85 მილიონი იყო, შემცირდა და წელს, სავარაუდოდ, 20 მილიონი იქნება, ასევე შეჩერდა თხილისა და მინერალური წყლების ექსპორტი. კლების ტენდენცია აქვს ჯართის ესპორტს - აქ რესურსები სერიოზულად კლებულობს. ყველა ეს მუხლი ექსპორტის 45 პროცენტს შეადგენდა; ამასთან, იზრდება იმპორტის მაჩვენებელი, სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა უკვე საერთო საგარეო ბრუნვის 75 პროცენტს გადააჭარბა და 1.5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამას გარდა, ეკონომიკის ზრდამ, სტატისტიკის მონაცემების თანახმად, 8.7 პროცენტს მიაღწია, ხოლო საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 32 პროცენტს შეადგენს. ეს დადებითი მოვლენაა, მაგრამ 2007 წელი არის საგარეო ვალების მნიშვნელოვანი ნაწილის გასტუმრების პერიოდი და ქვეყანას ექსპორტიდან სავალუტო შემოსავლები "ჰაერივით სჭირდება". ამასთან, ბოლო 2 კვარტლის განმავლობაში კლებულობს შემოსავლები, როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მის გადამამუშავებელ მრეწველობაში. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც ეროვნულ ვალუტას, ისე ინფლაციის და დასაქმების პროცესს. საქართველოში გამოუყენებელია ადგილობრივი სამკურნალო კურორტების პოტენციალი, სასოფლო-სამეურნეო სექტორის დიდი მასა და მომსახურების ბალანსის მნიშვნელოვანი კომპონენტი სერიოზულ დახმარებას მოითხოვს. რა რესურსები აქვს ქვეყანას საექსპორტო ნაწილში, რა საკანონმდებლო და ნორმატიული მხარდაჭერა სჭირდება საექსპორტო ბიზნესს, რას გვთავაზობენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, როგორი ტენდეციებია აღმოსავლეთ ევროპის და დსთ-ს ქვეყნებში, რას ვერ ვაკეთებთ ამ დარგში და რა უნდა გაკეთდეს, რათა საექსპორტო საქმეში მოხდეს გარდატეხა და თავიდან ავიცილოთ სერიოზული მაკროეკონომიკური პრობლემები, ეს ის საკითხებია, რომელსაც კონფერენციაზე განიხილავენ. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და ექსპორტიორები. **მედიანიუსი**

## თბილისში "ჰაიატის" სასტუმრო კომპლექსი აშენდება

ინვესტორთა ჯგუფი, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ გუშინ მიიღო, თბილისში "ჰაიატის" სასტუმრო კომპლექსის აშენებას გეგმავს. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს. შეხვედრაში ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს ელჩი საქართველოში კარლო კრიგერი, ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი საფინანსო ჯგუფის ორტის წარმომადგენელი პატრიკ ჰანსენი და კომპანიის oyalCapital მმართველი დირექტორი ანდრეი ფედოროვი მონაწილეობდნენ. საუბარი წარიმართა საქართველოში საბანკო სექტორის განვითარების მდგომარეობას შეეხო. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ საბანკო ბუმი საქართველოში სამშენებლო ბიზნესის სწრაფ განვითარებას უწყობს ხელს. "ჰაიატის" სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა 2007 წლის ბოლოს დასრულდება და მისი ღირებულება 100 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თურქმენეთი რუსეთს გაზის მიწოდებას შეუწყვეტს

25 ივლისიდან თურქმენეთი რუსეთს გაზის მიწოდებას რვა დღით შეუწყვეტს. ამის შესახებ თურქმენეთის ნავთობისა და გაზის მრეწველობისა და მინერალური რესურსების სამინისტრო იუწყება. სამინისტროს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში აღნიშნულია, რომ გაზის მიწოდება გაზსადენზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო შეწყდება. გაზსადენის რემონტი უზბეკეთისა და ყაზახეთის ტერიტორიაზე ჩატარდება და ზუსტად რვა დღეს გრძელდება. თურქმენეთიდან რუსეთში მიწოდებული გაზის რაოდენობა დღე-ღამის განმავლობაში 75-80 მილიონი კუბური მეტრით მცირდება. **ინტერპრესნიუსი**

# ამერიკანიზმის კვინტესენცია

### აშშ-ს ეკონომიკას "საპენსიო ყუმბარა" დაღუპავს

ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის წამყვანმა ექსპერტმა, პროფესორმა ლოურენს კოტლიკოფმა უახლოეს მომავალში ქვეყნის ფინანსური კრახი იწინასწარმეტყველა. ანალიტიკოსის აზრით, შეერთებულ შტატებს არა მარტო ბიუჯეტის მზარდი დეფიციტი, არამედ "შენელებული მოქმედების საპენსიო ყუმბარა" დაღუპავს. ამჟამინდელი თაობა ბერდება და პენსიაზე გასასვლელად ემზადება. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის შემოსავალი სულ უფრო შემცირდება, პენსიასა და სამედიცინო მომსახურებაზე დანახარჯი კი გაიზრდება. შედეგად, მაჩვენებლებს შორის განსხვავება 65 ტრილიონ დოლარს შეადგენს. პროფესორ კოტლიკოფის თქმით, სიტუაციიდან ორგვარი გამოსავალი შეიძლება არსებობდეს: სოციალური დანახარჯების ორი მესამედით შემცირება, ან გადასახადების ორჯერ გაზრდა.

### ერთ წელიწადში მსოფლიოში მილიარდი მობილური ტელეფონი გაიყიდება

მობილური ტელეფონების მწარმოებელმა კომპანიებმა 2006 წლის მეორე ნახევარში მობილური ტელეფონების რეალიზაციაში რეკორდი მოხსნეს. ამ კონკრეტული პეროიდის მანძილზე, მობილურების მწარმოებელმა კომპანიებმა 237,8 მილიონ ტელეფონზე მეტის რეალიზება მოახერხეს. 2006 წელს გაყიდული პროდუქციის პროცენტული მაჩვენებელი 2005 წლის მინაცემებს 22,5 პროცენტით აჭარბებს. 2006 წლის პირველ ნახავერში სხვადასხვა კომპანიებმა 470 მილიონი მობილური ტელეფონი გაყიდა, ეს რიცხვი კი 2003 წლის მონაცემებთან შედარებით ძალიან მაღალია. სულ 2003 წელს კომპანიებმა 469,8 მილიონი ტელეფონის რეალიზება მოახერხეს.

იმ შემთხვევაში, თუ მობილური ტელეფონების გაყიდვების ტემპი არ დაეცემა, წლის ბოლოსთვის გაყიდული ტელეფონების რიცხვი 1 მილარდს გადააჭარბებს. ასეთი პროგნოზი ანალიტიკური კომპანიის IDC-ს სპეციალისტებმა გააკეთეს. უნდა აღინიშნოს, რომ გაყიდვების განსაკუთრებით მაღალი ზრდის ტემპები განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე ფიქსირდება. 2006 წლის მეორე ნახევრის მონაცემების საფუძველზე, კომპანია Nokla-მ მობილური ტელეფონების საერთაშორისო ბაზარზე ლიდერული პოზიცია დაიმკვიდრა. მისი წილი ბაზარზე 33 პროცენტია. კომპანიამ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში 78,4 მილიონი ტელეფონი გაყიდა. ფინურ კომპანიას მოსდევს Motorola, რომლის წილიც ბაზარზე 21,8 პროცენტია, გაყიდული პროდუქციის რაოდენობა კი 51,9 მილიონი ტელეფონი. შემდეგ ეტაპზე კომპანია Samsung-ია (11,1 პროცენტი, 26,3 მილიონი ტელეფონი), და Sony Ericsson-ი (6,6 პროცენტი, 15,7 მილიონი ტელეფონი).

### ჩინეთში სამედიცინო პროდუქციის რეკლამა იკრძალება

ჩინეთში სამედიცინო პროდუქციის სატელევიზიო და რადიო რეკლამებს აკრძალავენ. სახელმწიფო კინემტოგრაფიის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მიერ მიღებული აკრძალვა ძალაში 2006 წლის პირველი აგვისტოდან შევა ძალაში. ერთ-ერთი ჩინური სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზოგიერთი სარეკლამო რგოლი სამედიცინო პრეპარატისა და დანადგარის ეფექტურობას მნიშვნელოვნად აჭარბებს. აღნიშნული პროდუქციის რეკლამირებას ის "ბედნიერი" პაციენტები ეწევიან, რომლებიც რეკლამირებული პროდუქციის წყალობით დაავადებებისგან განიკურნენ. ეს ყველაფერი კი პოტენციურ მყიდველებს აბნევს და მათ კანონიერ ინტერესებს გარკვეულ ზიანს აყენებს.

იმ შემთხვევაში, თუ ფარმაცევტული კომპანიები ახალ კანონებს არ გაითვალისწინებენ, მათ წინააღმდეგ მარეგულირებელი ორგანოები ადმინისტრაციულ სადამსჯელო მექანიზმებს აამუშავებენ. ჩინეთის ტელევიზიაში თითქმის 24 საათის განმავლობაში ატრიალებენ "სასწაულმოქმედი" პრეპარატების სარეკლამო რგოლებს. რეკლამებში ნათქვამია, რომ ამ პრეპარატის წყალობით პაციენტები სულ რამოდენიმე დღეში მინიმუმ 10 კილოგრამს დაიკლებენ. ადგილობრივმა გამოცემებმა მსგავსი სარეკლამო კამპანიების მსხვერპლ პაციენტებს არაერთხელ დაუთმეს ყურადღება. აღმოჩნდა, რომ ამ ე.წ "სასწაულმოქმედი" პრეპარატები არაეფექტური და უშედეგოა. უფრო მეტიც, დაფიქსირებულია მრავალი შემთხვევა, როცა ამ პრეპარატის მომხმარებლები სერიოზული დაავადებებით საავადმყოფოებშიც მოხვდნენ.

პირველი გვერდიდან

## თერძის აღმოჩენა და პატიოსანი ბიზნესმენი

ნევადის შტატის ქალაქ რინოში მეთვრამეტე საუკუნის 70-იან წლებში მცხოვრები რიგელი ემიგრანტი, ღატაკი თერძი ჯეიკობ დევისი თითოეულ ნაშოვნ ცენტს შეჰხაროდა. ამ მიყრუებული ადგილის მასავით უქონელი მცხოვრებნი მხოლოდ გაცვეთილ სამოსზე კიდევ ერთი ნაკერის დასადებად თუ მიმართავდნენ. სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოინახა იმ კოვბოის სახელი, რომელიც ჯეიკობს კვირაში ერთხელ ჩამოგლეჯილი ჯიბეების მისაკერებლად აკითხავდა და ცუდი ხელობისათვის მკერავს თავისი მყრალი კოვბოური ენით საძაგლად ლანძღავდა. სამაგიეროდ, ის კი ცნობილია, რომ ერთხელაც დევისმა კოვბოის თავიდან მოსაშორებლად მისი შარვლის ჯიბეები სპილენძის სამაგრებით დაამაგრა. ის კოვბოი მეტად აღარ გამოჩენილა. სამაგიეროდ, თერძს უამრავი ახალი კლიენტი მიაწყდა, რომლებსაც სწორედ ისეთი სამაგრები სურდათ.

გონიერი დევისი მიხვდა, რომ სამაგრები უნდა დაეპატენტებინა, თორემ იდეას ვინმე მიითვისებდა. სამწუხაროდ, შესაბამის ბიუროში აცნობეს, რომ საჭირო დოკუმენტების გაფორმება 68 დოლარი ღირდა, ღარიბ თერძს კი ამოდენა ფული სიზმრადაც არ ენახა. მოკლედ, დევისს შეძლებული პარტნიორი სჭირდებოდა და მანაც სან ფრანცისკოელ ლევი სტრაუსს, რომლისგანაც ქსოვილს ყიდულობდა ხოლმე, წერილი მისწერა.

ლევი სტრაუსს სან ფრანცისკოში დიდ პატივს სცემდნენ. იგი არა მარტო სოლიდური ბიზნესმენი, არამედ ძალიან კეთილშობილი და პატიოსანი კაცი იყო, რაც იმ დროის სან ფრანცისკოსათვის დიდი იშვიათობა გახლდათ. სტრაუსი კალიფორნიაში 1853 წელს ოქროსმაძიებელთა ერთ-ერთ პირველ ჯგუფთან ერთად ჩავიდა, მაგრამ სხვადასხვა ტიპის ავანტიურისტებისაგან განსხვავებით, 24 წლის ლევის ბედნიერი შემთხვევის კი არა, საკუთარი გონების იმედი ჰქონდა.

მის ჭკუას ძმებიც - ჯონასი და ლუიც დიდად აფასებდნენ, რომლებიც ბავარიიდან აშშ-ში ლევიზე უფრო ადრე გადასახლდნენ, ნიუ იორკში დამკვიდრდნენ და დააარსეს თეთრეულით, ლეიბებით, საბნებით, ბალიშებით და მსგავსი საქონლით მოვაჭრე კომპანია J. StraussBrother & Co.

1847 წელს 18 წლის ლევი, რომელსაც ჯერ კიდევ ლეიბი ერქვა, ძმებთან გადაბარგდა და საქმეში ჩაერთო. იგი საკმაოდ კარგი კომივიაჟორი აღმოჩნდა. მისი წყალობით ოჯახური ბიზნესი გაფართოვდა და ახალი ბაზრების ასათვისებლად ლეიბს მეზობელ შტატებში აგზავნიდნენ. ასე დაეხეტებოდა იგი, სანამ 1851 წელს ნიუ იორკამდე კალიფორნიული ოქროს ამბავმა არ ჩააღწია. ოქროს ციებ-ცხელებით შეპყრობილმა ოჯახურმა საბჭომ წყნარი ოკეანის სანაპიროზე ლეიბის გაგზავნა გადაწყვიტა.

ლეიბიც გაემგზავრა. მართალია, ოქრო ვერ იპოვნა, მაგრამ ამერიკის მოქალაქეობა მიიღო, ლევი დაირქვა და 1853 წლის მარტში სან ფრანცისკოში J. Srauss Brother & Co-ს განყოფილება გახსნა. საქმე მშვენივრად აეწყო და მალე მასთან ძმა ლუი და დაიკო ფანი ქმართან ერთად გადაბარგდნენ. ოჯახური ბიზნესის გაძლოლასთან ერთად, ლევიმ საკუთარი საქმეც წამოიწყო. 12 წლის შემდეგ Levi Strauss & Co სან ფრანცისკოს უმსხვილეს სავაჭრო მანუფაქტურად იქცა.

სხვა საქონელთან ერთად ლევი მაგარი ქსოვილით, დენიმით ვაჭრობდა, რომლითაც კარვებს ამზადებდნენ, მაგრამ პრაქტიკულად მოაზროვნე თერძები ამ ქსოვილისაგან მუშებისათვის შარვლებს კერავდნენ, რომლებიც ძალიან დიდხანს ძლებდა და კარგადაც საღდებოდა. ჰოდა, როცა რინოელი მკერავის წერილი მიიღო, სტრაუსი არც დაფიქრებულა, ჯეიკობ დევისი მანიშვე სან ფრანცისკოში მიიწვია და 1873 წლის 20 მაისს ორმა მამაკაცმა სპილენძის სამაგრების 25-წლიანი პატენტი მიიღო. სწორედ ეს თარიღი ითვლება განთქმული ბრენდის, Levi's-ის დაბადების დღედ.


ლევი სტრაუსი.


ჯეიკობ დევისი.


ბობი ჰაასი.




### მოდური სპეცტანსაცმელი

მალე Levi Stauss & Co-მ სპილენძის სამაგრებით დამშვენებული შარვლების გამოშვება დაიწყო, რომელსაც ლევიმ Waits overals-ი უწოდა, რაც "ქამრიან სპეცტანსაცმელს" ნიშნავს. ასე ეწოდებოდა მათ 1960 წლამდე, როცა "ლევისები" "ჯინსებად" იქცა.

პირველი "სპეცტანსაცმლის" გამოშვებას ჯეიკობ დევისი ხელმძღვანელობდა, რომელიც სტრაუსის თხოვნით სან ფრანცისკოში გადავიდა. სწორედ დევისმა გადაწყვიტა, შარვალი ორი წინა, ერთი უკანა და ერთიც საათისათვის განკუთვნილი ჯიბით დაემშვენებინა. ახალ საქონელზე ისეთი მოთხოვნილება იყო, რომ სტრაუსმა მათ დასამზადებლად ახალი ფაბრიკა გახსნა. მალე "სპეცტანსაცმლის" გამოშვება ლევის ბიზნესის საფუძვლად იქცა. მან კიდევ ორი, შალეულის მწარმოებელი ფაბრიკა შეიძინა და მუშებისა და კოვბოების შარვლების სამკერვალოებად გადააკეთა.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, სტრაუსი უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობდა, კალიფორნიელი ბიზნესმენები მაინც ძალიან გააოცა იმ ფაქტმა, რომ ლევიმ პატენტი დევისთან ერთად გააფორმა და იდეა, უბრალოდ, არ მოიპარა. მოკლედ, სტრაუსი იმდენად პატივცემულ ადამიანად იქცა, რომ 1877 წელს სან ფრანცისკოს სავაჭრო პალატის, შემდეგ კი Nevada bank-ის თავკაცად აირჩიეს.

ამის შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა სადაზღვევო კომპანიებს: Liverpool-ი და London and Globe Insuranse. გარდა ამისა, იყო San Francisco Gaz & Electric Company-ის თავმჯდომარეც.

სტრაუსი დიდი ქველმოქმედებით გამოირჩეოდა: დააწესა 28 სახელობითი სტიპენდია კალიფორნიის უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტებისათვის, მატერიალურად ეხმარებოდა ყრუ-მუნჯთა სკოლას, ებრაელ ობოლ ბავშვთა სახლს, მოხუცთა თავშესაფარს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოს. ხშირად დიდძალ თანხას სწირავდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს.

იმის გამო, რომ შვილები არ ჰყავდა, სტრაუსმა თავისი დისშვილები: ჯეიკობ, ლუის, აბრაამ და ზიგმუნ სტერნოვები თავის მემკვიდრეებად აქცია. 1890 წელს მათ საქმე ოფიციალურად გადასცა, თავად კი, კიდევ რამდენიმე ბიზნესმენთან ერთად, სან ფრანცისკოსა და სან ხოაკიმის დამაკავშირებელი რკინიგზა დააფინანსა. თუმცა ეს პროექტი ჩავარდა, რამაც სტრაუსი ძალიან დააღონა და პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა. იგი 1902 წელს 73 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი ექვსმილიონიანი ქონების უდიდესი ნაწილი, ცხადია, დისშვილებს დარჩათ, დანარჩენი კი - ნათესავებს და საქველმოქმედო ორგანიზაციებს.

### საკულტო ბრენდი

"სპეცტანსაცმელი" სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა. 1886 წელს მათზე გამოჩნდა ორი ცხენის გამოსახულებიანი, განთქმული ტყავის მარკა, 1891 წელს კი შარვლები მეორე უკანა ჯიბემ დაამშვენა. წარმოება საოცარი ტემპით იზრდებოდა, მაგრამ 1906 წლის მიწისძვრამ Levi Stauss & Co-ს ოფისი და ქარხნები დაანგრია. ცხადია, მათ აღდგენას კარგა ხანი დასჭირდა. ამასობაში პატენტს ვადა გაუვიდა და მისი გაგრძელება არ მოხერხდა, ასე რომ, სპილენძის სამაგრებიანი შარვლების გამოშვება სხვა ფირმებმაც დაიწყეს. ცხადია, ისინი უმეტესწილად Levi's-ის ორიგინალის იმიტირებას ახდენდნენ.

30-იან წლებში Levi's-ის სტატუსი "სპეცტანსაცმლის" ჩარჩოს გასცდა და დიზაინში გარკვეული ცვლილებები მოხდა. კერძოდ, უკანა ჯიბეებზე არსებული სამაგრები დაიმალა, რადგან მყიდველები ჩიოდნენ, რომ "შარვალი სკამს ფხაჭნიდა". მეორე მსოფლიო ომის დროს უკანა ჯიბეებზე სპილენძის სამაგრები სრულიად გაქრა, რადგან მთავრობამ ერს სტრატეგიული ნედლეულის მომჭირნედ გამოყენებისაკენ მოუწოდა. სწორედ იმ პერიოდში გაიცნო პირველად ევროპამ Levi's-ი, რომელშიც ფაშიზმთან მეომარი ჯარისკაცები იყვნენ გამოწყობილი.

1948 წლიდან "სპეცტანსაცმელზე" ისეთი მოთხოვნილება გაჩნდა, რომ Levi Stauss & Co-მ ვაჭრობაზე უარი თქვა და მთლიანად მათ წარმოებაზე გადაერთო. გაიზარდა ექსპორტი ევროპაში, მათ შორის ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც. თუმცა, 1963 წელს Levi's-მა გამოუშვა "გაცვეთილი ჯინსები", რომლებმაც საბჭოთა "გოსტ" ვერ დააკმაყოფილა. ამიტომაც იყო, რომ მთელი მსოფლიო "ლევისებს" იცვამდა, საბჭოთა ხალხი კი - ფირმა "რილას" "ტეხასებს".

### გაცვეთილი ლეგენდა

1970-იანი წლების დასაწყისამდე Levi Stauss & Co საგვარეულო კომპანიად რჩებოდა, სანამ 1971 წელს მომავალი ფინანსური ზრდისათვის აქციები ბირჟაზე არ გაიტანეს. თუმცა, საკონტროლო პაკეტი კომპანიის დამაარსებლის მემკვიდრეებს დარჩათ, რომლებმაც 14 წლის შემდეგ ბირჟაზე არსებული ყველა აქცია 1,6 მილიარდ დოლარად შეისყიდეს, 1996 წელს კი თანამშრომელთა კუთვნილი აქციებიც გამოისყიდეს და Levi Stauss & Co კვლავ ოჯახურ ფირმად იქცა, რამაც მის ამჟამინდელ თაკაცს ბობი ჰაასს თანამშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი რეფორმების განხორციელების საშუალება მისცა.

სამწუხაროდ, ჰაასის ეს კეთილშობილური მცდელობა კრახით დასრულდა. ანალიტიკოსთა აზრით, ჰაასის "უტოპიურმა მენეჯმენტმა" დიდებული ამერიკული ბრენდი დაღუპა. გარდა იმისა, რომ ჰაასმა ფინანსურად არასწორი გარდაქმნები განახორციელა, იგი კომპანიის მიერ წარმოებული საქონლის გამრავალფეროვნებასა და დახვეწაზე არ ზრუნავდა და, შედეგად, Levi Stauss & Co-მ ბაზარი დაკარგა და რთულ ფინანსურ სიტუაციაში აღმოჩნდა.

თუმცა, ბობ ჰაასის, რომელიც არსებული კონტრაქტის მიხედვით კომპანიას 2011 წლამდე უხელმძღვანელებს, სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სიტუაციის გამოსწორება მანვე მოახერხა. კერძოდ, მისი ინიციატივით კომპანიამ დაიწყო ბავშვებსა და თინეიჯერებზე გათვლილი, განსხვავებული სტილის ტანსაცმლის გამოშვება, გააფართოვა აქსესუარების წარმოება, მომხმარებლებს ახალი ბრენდები: Dockers San Francisco და Levi Stauss Signature შესთავაზა და მდგომარეობა თანდათანობით უკეთესობისაკენ შეიცვალა.

შედეგად, წაგებით დამთავრებული რამდენიმე წლის შემდეგ პირველად, გასული, 2005 წელი Levi Stauss & Co-მ 120 მილიონი დოლარის ოდენობის მოგებით დაასრულა. ცხადია, ეს ძალიან მცირე ციფრია, მაგრამ იმედს იძლევა, რომ განთქმული ბრენდი საბოლოოდ არ გაცვდება და კომპანია კვლავ ფეხზე დადგება.

### აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა




გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის გაიაფებამ, ახლო აღმოსავლეთის კრიზის დაძლევის იმედმა და დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,53 პროცენტით, 10.926,19 პუნქტამდე გაიზარდა. 0,8 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.036,48 პუნქტი შეადგინა, ხოლო შ&P 500 Index-მა 0,51 პროცენტით, 1.246,59 პუნქტამდე მოიმატა.

### ნავთობი რაისის იმედით გაიაფდა

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 73,1 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 73,68 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ნავთობის გაიაფება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების დაჩქარების იმედმა განაპირობა. მოგეხსენებათ, საკითხის დარეგულირებაში პირადად ჩაერთო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ჩაერთო, რამაც ნავთობის ბირჟებზე პოზიტიური განწყობა შექმნა. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ ამერიკაში ქარიშხლის გამო მწყობრიდან გამოსული ორი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ორ-სამ დღეში ამუშავდება.

აღსანიშნავია, რომ ამ ქარხნების გაჩერების გამო აშშ-ს შიდა ბაზარზე საავტომობილო საწვავის მიწოდება შეფერხდა, რამაც ბენზინის გაძვირება გამოიწვია. ზოგიერთ შტატში 1 გალონი (3,79 ლიტრი) საწვავის ფასმა 3,28 დოლარს მიაღწია, რაც ისტორიული მაქსიმუმი გახლავთ. ადრინდელი რეკორდი 3,0117 დოლარი/გალონი 2005 წლის სექტემბერში გახლდათ დაფიქსირებული.

"შავი ოქროს" გუშინდელი გაიაფების შემდეგ "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასმა 68,46 დოლარი/ბარელი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

### წელს მილიარდი მობილური გაიყიდება

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მობილური ტელეფონების მწარმოებელმა კომპანიებმა ახალი რეკორდი დაამყარეს. კერძოდ, ამ პერიოდში მათ გაყიდეს 237,8 მილიონი მობილური ტელეფონი, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 22,5 პროცენტით მეტია. სულ, 2006 წლის პირველ ნახევარში გაიყიდა 470 მილიონი მობილური ტელეფონი. აღსანიშნავია, რომ მთელი 2003 წლის განმავლობაში მსოფლიოში მხოლოდ 469,8 მობილური გასაღდა.

ანალიტიკოსთა ვარაუდით, წლის ბოლომდე მობილურების გასაღების ტემპი არ შენელდება და გაყიდული ტელეფონების რაოდენობა მილიარდს მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ გაყიდვის ტემპის ზრდა განსაკუთრებით აღინიშნება განვითარებული ქვეყნების საბიუჯეტო და კორპორაციულ სექტორში.

მიმდინარე წლის მეორე კვარტლის მიხედვით, მობილური ტელეფონების ბაზარზე ფინური Nokia-ს ლიდერობა კიდევ უფრო გამყარდა. ამ კომპანიამ 78,4 მილიონი აპარატი გაყიდა, რაც ბაზრის 33 პროცენტი გახლავთ. 21,8 პროცენტით - 51,9 მილიონი გაყიდული მობილურით მეორე ადგილზეა ამერიკული Motorola. შემდეგ მოდიან კორეული Samsung (11,1 პროცენტი, 26,3 მილიონი აპარატი) და შვედურ-იაპონური Sony Ericsson (6,6 პროცენტი, 15,7 მილიანი მობილური).

### AMD-მ ATI შეიძინა

მაღალტექნოლოგიური კომპანია Advanced Micro Devices (AMD), რომელიც Intel-ის პირდაპირი კონკურენტი გახლავთ, ვიდეოკარტების ჩიპების მწარმოებელ ATI Technologies Inc-ს ყიდულობს. გარიგების პირობების მიხედვით, AMD მიმოქცევაში მყოფ ATI-ის აქციებს 5,4 მილიარდ დოლარად შეისყიდის, აქედან, 4,2 მილიარდს ნაღდი ფულით გადაიხდის, ხოლო დანარჩენს - თავისი აქციებით.

AMD-ს ეს ნაბიჯი კომპანიის საქმიანობის სფეროს გაფართოებისა და Intel-თან კონკურენტუნარიანობის გაზრდისკენაა მიმართული. თუმცა, ამ სფეროს ბევრი ანალიტიკოსი თვლის, რომ AMD-ს მიერ ATI-ის მთლიანად შეძენა არცთუ გამართლებულ სვლად შეიძლება ჩაითვალოს.

1969 წელს კალიფორნიაში დაარსებული Advanced Micro Devices მიკროპროცესორების, ფლეშ-მეხსიერებების და სხვა ნახევრადგამტარული პროდუქციის მწარმოებელი ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერია. 1985 წელს დაარსებული ATI Technologies Inc კი პერსონალური კომპიუტერების, მობილური ტელეფონების და სათამაშო აპარატების ვიდეო, გრაფიკული და მულტიმედიური უზრუნველყოფის უმსხვილესი კომპანია გახლავთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ AMD-მ და მისმა კონკურენტმა Intel-მა ახალი სერიის მიკროპროცესორების გამოშვების მოახლოებასთან დაკავშირებით, პროცესორების გაიაფების შესახებ განცხადება გააკეთეს. კერძოდ, პერსონალური კომპიუტერებისათვის AMD-ს პროცესორების, მათ შორის Athlon 64X2 სერიის, ფასი 47 პროცენტით მოიკლებს, Pentium D კი, დაახლოებით, 40 პროცენტით გაიაფდება.

## საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.7680 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.7680 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა.

როგორც "ინტერპრესსნიუსს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, დღევანდელ სავაჭრო სესიაზე მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა (სამმა გამყიდველის და ერთმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო ოთხი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 3 570 000 დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 3 470 000 აშშ დოლარი შეიძინა.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7700 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნა არ ყოფილა, ხოლო მიწოდებამ 3 570 000 აშშ დოლარი შეადგინა.

25 ივლისიდან ძალაში შევა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი - 1.7680 ლარი.

## "საქართველოს რკინიგზამ" თბილისი-გორის მონაკვეთზე ავტომატური ბლოკირების სისტემა დაამონტაჟა

"საქართველოს რკინიგზამ" თბილისი-გორის მონაკვეთზე ავტომატური ბლოკირების სისტემა დაამონტაჟა.

ავტობლოკირების სისტემა თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი და მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხისა და გამტარუნარიანობის ზრდას უზრუნველყოფს.

დეპარტამენტის ინფორმაციით, გადასარბენებზე დამონტაჟდა შუქნიშნები და საგზაო ყუთები ელექტრონული სარელსო წრედებისთვის, ხოლო მეზობელი სადგურების ელექტრული ცენტრალიზაციის პოსტებზე დამონტაჟდა შესაბამისი აპარატურა. მემანქანის კაბინაში ამოქმედდა ავტომატური სიგნალიზაცია, რომლის მეშვეობითაც უახლოესი საველე შუქნიშნის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მემანქანეს კაბინაში მიეწოდება.

თანამედროვე სტანდარტების ავტობლოკირების სისტემა ამარტივებს სამუშაო პროცესს, ამცირებს საექსპლუატაციო ხარჯებს, აუმჯობესებს შრომისა და უსაფრთხოების პირობებს. ავტობლოკირებისა და ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაციის სისტემა, ადრე მოქმედ ნახევრადავტომატურ ბლოკირების სისტემასთან შედარებით, 2-3 ჯერ ზრდის ორლიანდაგიანი უბნების გამტარუნარიანობას.

"საქართველოს რკინიგზა" უახლოეს მომავალში ავტობლოკირების სისტემის დამონტაჟებას სამტრედია-ბათუმის ერთლიანდაგიან მონაკვეთზეც გეგმავს.

## აზერბაიჯანული ნავთობის ფასები: კვირის შედეგები

ბაქო-თბილისი, 24 ივლისი (პრაიმ-ნიუს ბიზნესი) - გასულ კვირას აზერბაიჯანული ნავთობის AZERI LT (CIF)-ის საშუალო ფასმა, რომელსაც აზერბაიჯანი საქართველოდან სუფსისა და ბათუმის პორტებიდან ყიდის, ბარელზე 74,34 აშშ დოლარი შეადგინა. სააგენტო ძტრენდი" იტყობინება AZERILT-ის მაქსიმალურმა ფასმა 17-21 ივლისს ბარელზე 75,90 აშშ დოლარი შეადგინა, მინიმალურმა - 72,69 აშშ დოლარი.

URAL (EX-NOVO) მარკის ნავთობის საშულო ფასი 17-21 ივლისს ბარელზე 67,76 აშშ დოლარი იყო. მაქსიმალური ფასი - ბარელზე 69,59 აშშ დოლარი, მინიმალური - ბარელზე 65,84 აშშ დოლარი.

Brent (DTD)-ს მარკის ნავთობის საშულო ფასმა გასულ კვირას ბარელზე 73,36 აშშ დოლარი შეადგინა. მაქსიმალური ფასი ბარელზე 75,08 აშშ დოლარი დაფიქსირდა, მინიმალური - ბარელზე 71,50 აშს დოლარი.

აგვისტოში კომპანია BTC Co ჯეიჰანის პორტიდან დაახლოებით 1,18 მლნ ტონა მსუბუქ ნავთობს გადაზიდავს. აღნიშნული მოცულობიდან 135 ათასი ტონა აზერბაიჯანის სახელწიფო ნავთობ კომპანიაზე მოდის. აგვისტოში ჯეიჰანიდან 12 ტანკერი Azeri Light-ის მარკის ნავთობი იქნება გადაზიდული. ჯეიჰანიდან ივლისში ექსპორტირებული იქნება 6,6 მლნ ბარელი Azeri Light-ის ნავთობი.

Azeri Light-ის სიმკვრივემ API-ის შკალით 34,6 გრადუსი შეადგინა - გოგირდის შემცვლელობა - 0,14%. URAL-ის სიმკვრივე - 32 გრადუსი, გოგირდის შემცვლელობა - 1,3%. DTD-ის სიმკვრივე - 38,3 გრადუსი, გოგირდის შემცვლელობა - 0,36%.




## ამინდი

| | 25/07 | 26/07 | 27/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 31 | 31 | 32 |
| რიგა | 27 | 28 | 30 |
| ვილნიუსი | 26 | 29 | 30 |
| მოსკოვი | 26 | 25 | 22 |
| მინსკი | 28 | 30 | 32 |
| პარიზი | 35 | 40 | 28 |
| რომი | 34 | 33 | 34 |
| ლონდონი | 31 | 33 | 26 |
| მადრიდი | 37 | 36 | 31 |
| ბონი | 35 | 38 | 33 |
| ვარშავა | 31 | 34 | 35 |
| ათენა | 32 | 31 | 31 |
| ბერნი | 32 | 32 | 33 |
| ამსტერდამი | 28 | 31 | 26 |
| ოსლო | 25 | 27 | 25 |
| ანკარა | 31 | 33 | 33 |
| ვარნა | 35 | 35 | 35 |
| დელი | 48 | 41 | 37 |
| ტოკიო | 30 | 30 | 30 |
| კოპენჰაგენი | 25 | 27 | 27 |
| ბაქო | 32 | 33 | 33 |
| ერევანი | 37 | 37 | 39 |
| ასტანა | 19 | 20 | 22 |
| ჰელსინკი | 23 | 21 | 21 |
| დუბლინი | 22 | 21 | 20 |
| ლისაბონი | 27 | 26 | 25 |
| პრაღა | 32 | 32 | 33 |
| სოფია | 30 | 30 | 31 |
| ბუდაპეშტი | 37 | 37 | 39 |
| ბუხარესტი | 37 | 39 | 39 |

# რა გავლენას იქონიებს რუსეთის ემბარგო ქართულ ლარზე?

პირველი გვერდიდან

გარდა იმისა, რომ რუსეთის მიერ ქართულ პროდუქციაზე დაწესებული აკრძალვები პირდაპირ ექსპორტსა და ქვეყნის სავაჭრო ბალანსს, ხოლო არაპირდაპირ ადგილობრივ წარმოებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, ეს პროცესი ქმნის იმის საშიშროებასაც, რომ არც თუ შორეულ მომავალში, ეროვნული ვალუტის მეტ-ნაკლებად სტაბილური იმიჯი შეირყეს.

ქართული ლარის სტაბილურობას, გარკვეულწილად, ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტაც უწყობს ხელს. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ დიდწილად მასზე არის დამოკიდებული. უცხოური ვალუტა კი ქვეყანაში ძირითადად სამი გზით შემოდის. ექსპორტიდან, ფულადი გზავნილებით, უცხოური კრედიტებიდან და ინვესტიციებიდან.

სამამულო წარმოების პროდუქციის გასაღების ყველაზე დიდ ბაზარად დღემდე მეზობელი რუსეთი რჩება, სადაც უკვე აკრძალულია ის ორი ძირითადი ქართული პროდუქტი, რომლებიც წლების განმავლობაში საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში ყოველთვის პირველ ხუთეულში ხვდებოდა.

მანამ, სანამ ქართველი მეღვინეები და მინერალური წყლების კომპანიები ახალი ბაზრების ძიებაში არიან, ქვეყანამ როგორც უკვე აღვნიშნეთ დაახლოებით 40 მილიონიანი დანაკლისი "იწვნია". ეკონომიკური ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ეს დანაკარგები წლის ბოლომდე, სულ მცირე, გაორმაგდეს. მითუმეტეს მაშინ, როცა ქართველი მეწარმეები უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში ვერ ხედავენ პერსპექტივას, რაც მათი ბიზნესისთვის რუსულ ბაზარს ჩაანაცვლებს. კიდევ უფრო ბუნდოვანია რუსულ ბაზრზე დაბრუნების საკითხი.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი

| | ქვეყნების რაოდენობა | საგარეო სავაჭრო ბალანსი, მლნ. აშშ დოლარი |
|---|---|---|
| უარყოფითი სავაჭრო ბალანსი | | |
| 2005 წ. იანვარ-აპრილი | 89 | 404,9 |
| 2006 წ. იანვარ-აპრილი | 86 | 715,9 |
| დადებითი სავაჭრო ბალანსი | | |
| 2005 წ. იანვარ-აპრილი | 21 | 19,6 |
| 2006 წ. იანვარ-აპრილი | 24 | 47,9 |
| სულ | | |
| 2005 წ. იანვარ-აპრილი | 110 | -385,3 |
| 2006 წ. იანვარ-აპრილი | 110 | -668,0 |

ეკონომიკური ექსპერტების ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ეს ყველაფერი თავის მხრივ უარყოფით გავლენას მოახდენს ინფლაციურ პროცესებზე. ჯანდაცვის, ეკონომიკისა და დაზღვევის საქართველოს ღია ჰუმანიტარული ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი კახაბერ ჯაყელი ამბობს, რომ რუსული ემბარგო კიდევ უფრო შეასუსტებს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას. **"მთავრობას ახლო მომავალში მეტი ძალისხმევა და რესურსების გაღება დასჭირდება, იმისათვის, რომ ლარის დღეს არსებული კურსი შეინარჩუნოს. თუკი ის ამისთვის დღემდე 200 მილიონს იღებდა, ახლა დაახლოებით ორჯერ მეტი უნდა დახარჯოს",** - უთხრა "24 საათს" კახაბერ ჯაყელმა.

წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტები ლარის კურსის მნიშვნელოვან დაცემას ელოდებიან. ჰიპერინფლაცია არა, მაგრამ კახა ჯაყელი ამბობს, რომ ნახტომისებური ინფლაცია გარდაუვალი იქნება. ის ლარის დაახლოებით 18-20 პროცენტიან გაუფასურეაბას ვარაუდობს. **"ეს სერიოზული ტვირთი იქნება ქვეყნის ეკონომიკისათვის, რაც მოსახლეობის მსყიდველთუნარიანობაზეც უარყოფით გავლენას იქონიებს".**

ოფიციალური მონაცემებით ინფლაციის მაჩვენებელმა ორნიშნა ზღვარს კარგა ხანია გადააჭარბა და ამ დროისთვის ის 11 პროცენტს შეადგენს. წლის დასაწყისში ხელისუფლება 6-7 პროცენტს ვარაუდობდა.

■ ■ ■

ფაქტი სახეზეა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტი მკვეთრად არის გაზრდილი, რაც ექსპორტთან შედარებით იმპორტის ზრდის მაღალი ტემპით არის გამოწვეული. მართალია რუსულ ემბარგომდეც იმპორტი ყოველთვის ჭარბობდა ქვეყნიდან გატანილი პროდუქციის მოცულობას, თუმცა ამჯერად ექსპორტის ზრდა მნიშვნელოვნად შეაფერხა რუსეთის აკრძალვებმა. წელს ამ მეზობელ სახელმწიფოში ექსპორტი თითქმის ექვსჯერ შემცირდა. მარტივი შედარებისთვის, თუკი მარტის თვეში რუსეთში 18 მილიონ 700 ათასი აშშ დოლარის მოცულობის პროდუქცია გავიდა ქვეყნიდან, ივნისის თვეში ეს მაჩვენებელი 3 მილიონ 200 ათასამდე დაეცა.

ამ საგანგაშო მაჩვენებლების მიუხედავად, ხელისუფლება სიმშვიდეს ინარჩუნებს. მეტიც, ეროვნული ბანკი ზამთრამდე დეფლაციას ვარადუობს, თუმცა კონკრეტულად რის ხარჯზე მოხდება ეს ჯერჯერობით უცნობია.

უცხოურ კრედიტებს ქვეყანა იმაზე მეტს ვერ მიიღებს, რაც წლის დასაწყისში იყო გათვალისწინებული. მთავრობა მაინცდამაინც ვერც უცხოური ინვესტიციების ზრდით დაიკვეხნის, რადგან კერძო სექტორში მისი მოცულობა (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარდა) სტაბილურია, ხოლო დარჩენილი გასაყიდი სახელმწიფო ქონების ნუსხა, არც თუ ისე გრძელია. უფრო ზუსტად ყველა მსხვილი ობიექტი უკვე გასხვისებულია და წლის ბოლომდე გასაყიდად მხოლოდ რამდენიმე წვრილი საწარმო და შენობაა შემორჩენილი. აქედან კი სახელმწიფო უცხოური ვლუტის სახით მხოლოდ უმნიშვნელო შემოსავალს მიიღებს.

რაც შეეხება საზღვარგარეთიდან ფულად გზავნილებს, რაც წლების განმავლობაში მართლაც იყო ლარის სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტი. ამ შემთხვევაში ოფიციალური სტატისტიკა, ერთი შეხედვით, მშვიდად ყოფნის საშუალებას იძლევა. კერძოდ, ეროვნული ბანკის მონაცემებით 2006 წლის პირველ ნახევარში უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა 70 პროცენტით გაიზარდა. წელს იანვრიდან ივლისამდე უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში, ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემების საშუალებით, დაახლოებით 220 მილიონი აშშ დოლარი გადმოირიცხა, რაც 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 65 მილიონით აღემატება.

თუმცა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში რეალურად ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, უბრალოდ **"ფულადმა გზავნილებმა არაოფიციალურიდან ოფიციალურ არხებში გადმოინაცვლა, ანუ უცხოეთიდან საქართველოში თანხები საბანკო სისტემების საშუალებით იგზავნება. ეს კი ადრე იშვითად ხდებოდა. ეროვნული ბანკი მხოლოდ იმ თანხის მოცულობას აფიქსირებს, რაც ქვეყანაში საბანკო გზებით შემოდის",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს მიგრაციის საკითხების ექსპერტმა გია წულაძემ.

■ ■ ■

ინფლაცია, რუსეთის ემბარგოს მხრიდან გამოწვეული დანაკარგების გარდა, როგორც ექსპერტები წინასწარმეტყველებენ, ახალი საბაჟო კოდექსისა და საბაჟო განაკვეთების ძალაში შევლის შემდეგაც არის მოსალოდნელი.

ახალი, მკვეთრად შემცირებული საბაჟო განაკვეთები ქმნის იმის წინაპირობას, რომ ქვეყანაში იმპორტიორებს ხელ-ფეხი კიდევ უფრო გაეხსნათ და ქართულ ბაზარზე უცხოური წარმოშობის საქონელი ერთიორად გაიზრდოს.

უკმაყოფილოები არიან ის ქართველი მეწარმეები, რომელთა წარმოებული პოდუქციის გარკვეული მოცულობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადიოდა. ისინი ამბობენ, რომ ახალი საბაჟო კოდექსი მათ წარმოებას და ექსპორტს მნიშვნელოვნად შეამცირებს, ან უარეს შემთხვევაში გააჩერებს.

ექსპერტები ამბობენ, რომ საბაჟო კოდექსის თითქმის უკვე დამტკიცებული ვარიანტი, გარკვეულწილად, გამოიწვევს ადგილობრივი მწარმოებლების იმპორტიორთა რიგებში გადასვლას - **"ანუ მთელი ფული წავა შემოტანაზე, რაც გამოიწვევს მსყიდველუნარიანობის დაგდებას, ფასების გაზრდას და ლარის კიდევ უფრო გაუფასურებას. გამოილევა ის რეზერვებიც კი რაც აქამდე არსებობდა ქვეყანაში",** - ამბობს კახაბერ ჯაყელი.

მაკროეკონომიკაში ანბანურ ჭეშმარიტებად ითვლება, რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ გრძელვადიან პერსპექტივაში იმპორტი ექსპორტიდან შემოსავლებით უნდა დაფაროს, რაც საქართველოს შემთხვევაში, როგორც ზემოთ მოყვანილმა და კიდევ სხვა გარემოებებმა აჩვენეს, პრაქტიკულად გამორიცხულია.

მოკლევადიან პერსპექტივაში, ქვეყნის მთავრობამ იმპორტიდან "მიღებული დანაკარგები" სახელმწიფო ქონების გასხვისებიდან, ან ახალი საგარეო ვალის აღებით უნდა დაფაროს. **"არის კიდევ ერთი გზა, მთვრობამ უნდა გამოუშვას ახალი ფულის ნაკადი, იმისათვის, რომ ავიცილოთ ისეთი ინფლაციური პროცესები, რაც ქვეყნის ეკონომიკას უკან დასწევს და ბიზნესზე ცუდად იმოქმედებს",** - ამბობს კახაბერ ჯაყელი.

თუ რომელ გზას აირჩევს საქართველოს მთავრობა მოსალოდნელი ინფლაციური პროცესების გასანეიტრალებლად, უახლოეს რამდენიმე თვეში გახდება ცნობილი.



24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

სექსი, ფული და კრიზისი




C2

კანონზომიერი ყოფილა და...



C3

რომელია უფრო მარდი?



C4

## მანიშე - ოთხ მილიონად

ფრანგული „მონაკო“ ახლოსაა პორტუგალიელი ნახევარმცველის მანიშეს შეძენასთან. რუსული მედიის ინფორმაციით, მონეგასკები მოსკოვის „დინამოს“ 4 მილიონ ევროს გადაუხდიან. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე რუსულმა კლუბმა მანიშეში 16 მილიონი ევრო გადაიხადა.

## ტოტიმ თანაგუნდელები შეიცოდა

„რომას“ ნახევარმცველმა ფრანჩესკო ტოტიმ აღიარა, რომ მას ეცოდება „იუვენტუსის“, „ფიორენტინასა“ და „ლაციოს“ ფეხბურთელები.

„მსოფლიო ჩემპიონატზე ამ გუნდების ფეხბურთელები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა იტალიის ნაკრებს წარმატებით ეთამაშა და მათი გუნდები არ დასჯილიყვნენ. მერწმუნეთ, მათ თანავუგრძნობ. ფეხბურთელების დასჯა უსამართლობა იქნებოდა“, - აცხადებს ტოტი.

## ვან დერ ვაარტი კაპიტანია

ჰოლანდიელი ნახევარმცველი რაფაელ ვან დერ ვაარტი ბუნდესლიგის კლუბ „ჰამბურგის“ კაპიტნად აირჩიეს. კაპიტნის არჩევა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც „ჰამბურგი“ დატოვა დანიელ ვან ბუიტენმა, რომელიც გასულ სეზონში ატარებდა კაპიტნის სამკლაურს.

## კერჟაკოვით საფრანგეთში დაინტერესდნენ

სანქტ-პეტერბურგის ზენიტის ფორვარდის ალექსანდრ კერჟაკოვის გადაბირების სურვილი ორ ფრანგულ კლუბს აქვს. ამჟამად რუსი ფეხბურთელის შეძენა „მარსელსა“ და „რენს“ სურთ. „რენის“ ხელმძღვანელობა კერჟაკოვს ალექსანდრ ფრაის შემცვლელად მოიაზრებს, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადავიდა. სარფიანი შეთავაზებების მიუხედავად, ნევისპირული გუნდი ფეხბურთელთან განშორებას არ აპირებს.

## ბენიტესი ჩაბი ალონსოს არ გაუშვებს

რამდენიმე დღის წინ ესპანურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მადრიდის „რეალი“ ესპანეთის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ნახევარმცველს ჩაბი ალონსოს ყიდულობს. გუშინ მერსისაიდელთა მწვრთნელმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. „ჩაბი ალონსოს ტრანსფერზე საუბარიც კი არ იქნება. მას, უბრალოდ, ვერ შეველევით“, - აცხადებს ბენიტესი.

## პელეგრინი ფეხბურთელებს აკრიტიკებს

გასული სეზონის ჩეპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი ესპანური „ვილიარეალი“ ამჟამად უეფას თასზეც კი ვერ ითამაშებს. ინტერტოტოს თასის გათამაშების ფინალში ესპანური გუნდი სლოვენიურ მარიბორთან დამარცხდა. „ვილიარეალის“ მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ მარცხის შემდეგ მკაცრად გააკრიტიკა თავისი გუნდის ფეხბურთელები: „ამ სეზონში ევროთასებზე ვერ ვითამაშებთ და ეს ძირითადად ფეხბურთელების ბრალია. მინდორზე ისე გავიდნენ, თითქოს თამაში საერთოდ არ უნდოდათ. თანაც, ორივე მატჩში კაცნაკლულნი დავრჩით. არ შეიძლება პროფესიონალები ასე უხეშად თამაშობდნენ. ვფიქრობ, გუნდში სერიოზული ცვლილებებია განსახორციელებელი“, - აცხადებს პელეგრინი.

## კავენაგი პორტუგალიაში?

მოსკოვის „სპარტაკის“ არგენტინელი ფორვარდი ფერნანდო კავენაგი შესაძლოა პორტუგალიურ „ბენფიკაში“ აღმოჩნდეს.

ორი წლის წინ არგენტინელი „სპარტაკმა“ 11 მილიონ დოლარად იყიდა, თუმცა კავენაგიმ ვერაფრით ვერ აუღო ალღო რუსულ ფეხბურთს და „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობაშიც კი ვერ ხვდება. ფეხბურთელს რუსული კლუბის დატოვება უნდა. გაირკვა, რომ „ბენფიკასაც“ სურს კავენაგის შეძენა. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა თანხას მოითხოვს „სპარტაკი“.

## იორკი თამაშს აგრძელებს

ვეტერანი ტრინიდადელი ფორვარდი დუაიტ იორკი კარიერის დასრულებას არ აპირებს. 35 წლის ფეხბურთელი კვლავაც აპირებს თამაშს უმაღლეს დონეზე. „თავს მშვენივრად ვგრძნობ. სულ მცირე, კიდევ ორ სეზონს ვითამაშებ. არც ნაკრებიდან წასვლა მინდა. ვფიქრობ, ჯერ კიდევ შემიძლია დავეხმარო ჩემი ქვეყნის მთავარ გუნდს“, - აცხადებს იორკი.

## მატუზალემმა რომაზე უარი თქვა

დონეცკის „შახტარის“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფრანსელინიო მატუზალემმა იტალიურ „რომაში“ გადასვლაზე უარი განაცხადა. ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, იტალიური გრანდი მატუზალემს კარგ საკონტრაქტო პირობებს სთავაზობდა, მაგრამ ფეხბურთელმა დონეცკში დარჩენა ამჯობინა.

## იუვენტუსს არ გაყიდიან

იტალიურ ფეხბურთში ატეხილ სკანდალთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ კონცერნი „ფიატი“, რომელსაც ეკუთვნის საფეხბურთო კლუბი „იუვენტუსი“, რადიკალურ ზომებს მიიღებდა და კლუბს გაყიდდა. გუშინ „ფიატის“ ვიცე-პრეზიდენტმა ჯონ ელკანმა განაცხადა, რომ ანიელების ოჯახი, რომელსაც ეკუთვნის სამრეწველო იმპერია „ფიატის“ შემადგენლობით, კლუბის გაყიდვას არ აპირებს.

# ნუგეშად Gლუკოზა




*საქართველოს ნაკრებმა B ჯგუფში წარუმატებლობის შემდეგ G ჯგუფში გადაინაცვლა.*

*ორადეაში (რუმინეთი) მიმდინარე წყალბურთელთა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე პროგნოზი გამართლდა. საქართველოს ნაკრებმა რუმინეთთან და საფრანგეთთან წაგებებს უნგრეთის ნაკრებთან მარცხიც მიუმატა. უნგრეთმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფავორიტთაგანია, საქართველო მშრალზე დატოვა.*

გიგა გურასაშვილი

ის, რომ უნგრეთთან წავაგებდით, წინასწარ იყო ცნობილი. მადიართა წყალბურთის სკოლა არათუ ევროპაში, მსოფლიოშიც ქუხს. ასე რომ არ იყოს, რვაგზის არ იზეიმებდნენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობას.

საქართველოს ნაკრები უნგრულ სკოლასთან პირწმინდად დამარცხდა - 5:20 ([2-6] [1-5] [1-5] [1-4]).

ოთხ ჯგუფში გადანაწილებული 16 გუნდიდან საქართველო B ჯგუფში ასპარეზობოდა.

პირველ დღეს მასპინძლებთან, შემდეგ ფრანგებთან და გუშინ უკვე უნგრეთთან წაგების შემდეგ ევროპის ჩემპიონატს გამოვეთიშეთ.

სხვა შედეგს არც არავინ ელოდა. ფაქტია, უნგრეთთან თამაში გაგვიჭირდებოდა. უნგრეთის ნაკრები ჩემპიონატის ფავორიტთაგანია. მადიარებს რომ შევეშვათ, ლოგიკურად არც მასპინძლებთან უნდა მოგვეგო და არც ფრანგებთან. საფრანგეთის ნაკრები ერთადერთი იყო, რომელთანაც თამაშის გამოცდილება გვქონდა. რუმინეთსა და უნგრეთს არასდროს შევხვედრივართ, ახლა კი ეს გამოცდილებაც გვაქვს. თუმცა, სანუგეშოს ვერაფერს ვამბობთ, რაც სულაც არ არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის ჩემპიონატამდე საქართველოს ნაკრებმა სულ რაღაც ერთთვიანი შეკრება გაიარა „ლაგუნა ვერეს“ სტანდარტულ - 50-მეტრიან აუზში, მანამდე კი 25-მეტრიან აუზში ჭყუმპალაობდნენ. სწორედ რომ ჭყუმპალაობდნენ, რადგან არასტანდარტული აუზი სრულფასოვანი ვარჯიშის საშუალებას არ იძლევა.

ამით მათ გამართლებას არ ვცდილობთ. ისიც წარმატებაა, რომ საერთოდ შეძლეს ევროპის 16 რჩეულ ნაკრებს შორის თამაში.

რუსეთის ნაკრებმა (რომელმაც საქართველოსთან ერთად მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება) ორი წაგების შემდეგ გუშინღა შეძლო ჰოლანდიასთან გამარჯვება. ჰოლანდია კი სულაც არაა იმათგანი, რომელთანაც გამარჯვება დიდ მიღწევად ითვლება. მოსაგები იყო და მოუგეს კიდეც. ჩვენს ჯგუფში რომ ყოფილიყვნენ, ჩვენც მოვუგებდით. მაგრამ ორი წაგების შემდეგ ვერც ეს უშველოდა საქმეს. უბრალოდ, კარს გავიჯახუნებდით და ეგაა.

ერთი სიტყვით, ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში გათვალისწინებული სამი მატჩიდან სამივე წავაგეთ. ახლა მთავარია, 16 გუნდს შორის ბოლო ადგილი არ დავიკავოთ. ამიტომ ჯგუფური ეტაპის შემდეგ, როგორც ერთ-ერთი აუტსაიდერი, G ჯგუფში გადაგვისროლეს, სადაც ჩვენი მეტოქეები იქნებიან რუმინეთი, სლოვენია და დიდი ბრიტანეთი.

### B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **უნგრეთი** | 3 | 3 | 0 | 37 | 17 | 6 |
| **საფრანგეთი** | 3 | 1 | 1 | 34 | 26 | 3 |
| **რუმინეთი** | 3 | 1 | 1 | 25 | 22 | 3 |
| **საქართველო** | 3 | 0 | 3 | 22 | 53 | 0 |



დავით კოფზირიძის სვეტი

## სექსი, ფული და კრიზისი

ეს რონალდინიო პატიოსანი ბიჭი მეგონა და თურმე მაგარი ცეტი ყოფილა - მთელი დედამიწა მის ჯადოქრობას ელოდა ივნის-ივლისში, ამბობდნენ, რომ აი, ეხლა გაიხსნება, ეხლა აიწყვიტავს, მაგრამ ვაი, რომ დაკრეჭილმა ციყვუკამ სულ სხვაგან გამოიჩინა თავი - ლოგინში!

არა მარტო ლოგინში. როგორც ფრანგი მზეთუნახავი ალესანდრა პარესანი გვიამბობს, მას და რონალდინიოს სექსი ყველგან და ყველანაირად ჰქონდათ: სასტუმროს დერეფანში, სავარძელში, იატაკზე და ასე შემდეგ. კარლოს ალბერტო პარეირამ სასტიკად აუკრძალა თავის ბიჭებს ინტიმური ურთიერთობები, მაგრამ ბოლო წლების საუკეთესო ფეხბურთელმა ეს ამბავი მაგრად დაიკიდა ფეხებზე.

ბრაზილიელ ფეხბურთელებს ყოველთვის უჭირდათ სექსუალური მოთხოვნილებების მოთოკვა. თავის დროზე ტურინის „იუვენტუსმა“ ზღაპრული კონტრაქტი შესთავაზა სოკრატესს. თუ არ ვცდები, სამ მილიონ დოლარზე იყო ლაპარაკი. ამ ხელშეკრულებაში გარკვეული შეზღუდვები იყო მონიშნული სექსისგან თავის შეკავებასთან დაკავშირებით, რამაც დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელისა და ისე რა სტომატოლოგის აღშფოთება გამოიწვია. კონტრაქტი ჩაიშალა.

სექსი კიდევ გასაგებია, მით უმეტეს, როცა შენი პარტნიორის ფიგურის ზომებია 90-62-90, მაგრამ იმას რა ვუყოთ, აქტებს შორის პაუზებში რონალდინიო ფლეისტეიშენს რომ აჩხაკუნებდა მთელი ღამე? ეს უკვე ინფანტილური გადახრაა და მკურნალობას საჭიროებს.

■ ■ ■

ფეხბურთიდან ნელ-ნელა მიდის თაობა, რომელიც დაახლოებით ათი წელიწადი გვასაზრდოებდა გემრიელი სანახაობით. მიდის და მის ადგილას რჩება შემაძრწუნებელი სიცარიელე. წავიდა ბერხკამპიც, სიმაღლის მოშიშარი ელეგანტური მეთოფე, გასაოცარი ილეთებისა და გოლების შემოქმედი, რობერტო აიალას და მთელი არგენტინის დაუვიწყარი კოშმარი.

ჩვენ ველარ ვნახავთ ბერხკამპს და ზიდანს. მალე საბოლოოდ დატოვებენ მოედანს ლუიშ ფიგუ, ჰენრიკ ლარსონი, რივალდო, პაოლო მალდინი, როი კინი, ალან შირერი. რა ბიჭები, რა წარსული, რა სიმდიდრე! მთელი ეპოქა გადადის ისტორიაში, რაც არაერთხელ მომხდარა, მაგრამ ასეთი მტკივნეული სურათი არასდროს ყოფილა.

ვითომ 21-ე საუკუნის ფეხბურთის კონტურები გამოიკვეთა? დიდი ფული და საცოდავი სანახაობა - ასეთია სოკერი დღეს და მდგომარეობის გამოსწორების არავითარი პერსპექტივა არ ჩანს. სპორტის ეს სახეობა სულ უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს აზიასა და აფრიკაში, რაც ფიფას პოლიტიკის შედეგია, მაგრამ პარალელურად ფესვებს იდგამს ტენდენცია, რომელიც საფეხბურთო რომანტიკას სპობს.

გერმანიაში, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისასვე დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ფეხბურთი კრიზისშია. უკვე რამდენიმე ჩემპიონატმა ჩაიარა სიახლეების გარეშე და წლეულს ამას ინდივიდუალური გაბრწყინებების დეფიციტიც დაერთო.

ის, რაც მთელი წლის განმავლობაში მოედანს მიღმა ხდება და გადატვირთული კალენდარი ფეხბურთელების ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობას ძალიან მძიმე დარტყმებს აყენებს. გარდა ამისა, მოთამაშენი მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილზე აღარ არიან დამოკიდებულნი, როგორც ეს ადრე იყო. მათ აწმყოსა და მომავალში სერიოზულად იქექებიან მაყუთიანი ტიპები, აგენტები, სპონსორები, რეკლამის შემქმნელები, ლამაზი ქალები.

მაგალითების მოტანა გაუთავებლად შეიძლება. თუნდაც რონალდო, რომელიც პატარაობაში კონტრაქტის საფუძველზე ჩაიგდო ხელში ორმა ბრაზილიელმა აგენტმა და ფულის საბეჭდ მანქანად აქცია. ან დევიდ ბექჰემი, რომელიც ძალიან მდიდარი, ძალიან პოპულარული ადამიანია, მაგრამ ინგლისელ გულშემატკივრებს აღარ უყვართ. მას შეიძლება სულაც არ უნდა ზაფხულობით აზიაში წოწიალი, მაგრამ ასეა საჭირო მადრიდის „რეალის“ მარკეტინგისთვის. ან სულ ახალი ამბავი კაკას ირგვლივ - ის „მილანის“ დატოვებას აპირებს. ამბობდნენ, რომ „რეალში“ გადადის, მაგრამ ამ დროს რომან აბრამოვიჩმა დააბრეხვა, მაგ ბიჭში 100 მილიონს ვიხდიო. ასეთი ციფრები ყველაფერს თავდაყირა აყენებს და კაკას მომავლის შეცვლა სულაც არ გაუჭირდება. წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, კაკას შეიძლება სულაც არ სურს ლონდონში წასვლა, მაგრამ როცა ლანგარზე შენთვის განკუთვნილი უთვალავი ფული დევს, მხოლოდ ფეხბურთზე ვეღარ ფიქრობ.

შედეგად მოგებულები და კმაყოფილები არიან ისედაც მოგებული და კმაყოფილი ადამიანები, ფეხბურთი და მისი გულშემატკივრები კი ხახამშრალნი ვრჩებით. ეს სერიოზული პრობლემაა და მის მოგვარებას, შესაბამისად, სერიოზული მუშაობა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დადგეს დღე, როცა კერლინგზე უფრო მეტი ხალხი ივლის, ვიდრე სტადიონზე.

*მომავალ სამშაბათამდე*

# ელისონდომ დუმილი დაარღვია

მარი ჭავახიშვილი

არგენტინელი მსაჯის ორასიო ელისონდოს სახელი სამუდამოდ შევიდა ფეხბურთის ისტორიაში. ეჭვი მეპარება, მაგრამ თუ კიდევ დარჩა ვინმე, ვისაც არაფერს ეუბნება მისი სახელი, შევახსენებ, რომ ეს ის არბიტრია, რომელიც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალს მსაჯობდა. სწორედ ელისონდო იყო მსაჯი, რომელმაც ფინალური მატჩის 110-ე წუთზე ზინედინ ზიდანს წითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა.

სკანდალური წითელი ბარათის გარდა, პროფესიით ფიზკულტურის მასწავლებელი არგენტინელი რეფერი იმითაც გახდა ისტორიული, რომ მსოფლიო ჩემპიონატებზე პირველი მსაჯია, ვინც ერთი ტურნირის გახსნით მატჩშიც იმსაჯა და ფინალშიც. საერთო ჯამში, გერმანიაში ელისონდო ხუთ შეხვედრას მოემსახურა - ასეთი პატივი მანამდე არც ერთ არბიტრს არ რგებია წილად.

ისტორიული ფინალის დღიდან მოყოლებული, ორასიო ელისონდო პრესასთან ურთიერთობას თავს არიდებდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ფიფას დისციპლინარულმა კომიტეტმა მთავარ დამნაშავეებს - ზინედინ ზიდანსა და მარკო მატერაცის - სასჯელი გამოუტანა, 42 წლის არგენტინელმაც დუმილი დაარღვია.

გერმანია 2006-ის ფინალური მატჩის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა პირველი კომენტარი გერმანულ „კიკერთან“ გააკეთა.

**- მსოფლიოში საყოველთაოდ გახდით ცნობილი როგორც მსაჯი, რომელმაც მუნდიალის ფინალიდან ზინედინ ზიდანი გააძევა. ფიფას მკაცრი წესები რომ არა, მაინც ასე მოიქცეოდით?**

- იმ ეპიზოდში გადაწყვეტილების მიღება არც ისე რთული იყო. ზიდანმა აშკარა აგრესია გამოამჟღავნა მეტოქე გუნდის ფეხბურთელისადმი და ცალსახა იყო, რომ ამისთვის მკაცრად უნდა დასჯილიყო. რაც შეეხება მარკო მატერაცის, არც მე და არც ჩემს ასისტენტებს იტალიელისგან უწმაწური არაფერი გაგვიგია. შესაბამისად, ცხელ კვალზე მატერაცის ვერანაირ სანქციას ვერ გამოვუტანდი.



ორასიო ელისონდო ზიდანის გაძევებას არ ნანობს.

**- თუმცა, ფიფამ სხვაგვარად გადაწყვიტა და ფინალის დასრულებისთანავე მარკო მატერაცი პროვოკაციისთვის დასაჯა...**

- მე ვერაფერს ვიტყვი. უფლება არ მაქვს კომენტარი გავაკეთო იმ ორგანიზაციის გადაწყვეტილებაზე, რომლის წესებსაც თავად ვემორჩილები.

**- ფინალის შემდეგ ბევრს საუბრობდნენ იმის თაობაზე, რომ ზიდანის მიერ წესების დარღვევა ვერც სათადარიგო არბიტრმა მედინა კანტალეხომ დაინახა და რომ ესპანელმა ამის თაობაზე ვიდეოგამეორების ნახვის შემდეგ ისაუბრა...**

- წარმოდგენა არ მაქვს, საიდან გავრცელდა ეს ინფორმაცია. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი - მატჩის დროს ჩემმა ასისტენტმა დარიო გარსიამ მითხრა: „მეოთხე არბიტრი ირწმუნება, რომ ზიდანმა მატერაცის თავი დაარტყა. არ აღელდე, კარგად აწონ-დაწონე და ეცადე, ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც არავის მიაყენებს ზიანს“. სიტუაციაში გასარკვევად წამიც არ დამჭირვებია - მაშინვე ჯიბისკენ წავიღე ხელი და წითელი ბარათი ამოვიღე.

**- მაგრამ ხომ იცოდით, რომ ეს ზიდანის ბოლო სანკარებო მატჩი იყო. რა იგრძენით, როცა ფრანგთა კაპიტანი მოედანს ტოვებდა?**

- იმ მომენტში ისევ მომხდარს ვაანალიზებდი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. მით უმეტეს, საკუთარი დანაშაული თავად ზიდანმა აღიარა და მითხრა, რომ არ ვტყუოდი. სანამ მოედანს დატოვებდა, მოვასწარი და ვკითხე - მაინც რა მოხდა-მეთქი? მაგრამ არაფერი მიპასუხა, უხმოდ შეტრიალდა და თავჩაღუნული გაემართა გვირაბისკენ.

**- მუნდიალების ისტორიაში ერთადერთი არბიტრი ხართ, რომელიც ფინალსაც მოემსახურა და გახსნით მატჩსაც. ეს, ალბათ, თქვენი კარიერის პიკი იყო. რა იქნება შემდეგ?**

- წლის ბოლომდე არგენტინის ჩემპიონატის მატჩებს მოვემსახურები, შემდეგ კი ჩემს ძირითად პროფესიას - ფიზკულტურის მასწავლებლობას დავუბრუნდები.

# „ჩემი არჩევანი“

სულ ცოტა ხანში ლონდონში გაიყიდება „ჩელსის“ საკლუბო ჟურნალის აგვისტოს ნომერი, რომლის მთავარ გვერდზე ანდრეი შევჩენკოს დიდი ფოტოა მოთავსებული, თავად ჟურნალში კი - „არისტოკრატთა“ ახალი ვარსკვლავის ვრცელი ინტერვიუ. ეს ინტერვიუ არც ჩვენი მკითხველისთვის იქნება ინტერესმოკლებული, მით უმეტეს, რომ კლუბის ვებგვერდზე ჟურნალისტისა და ფეხბურთელის საუბარი უკვე გამოქვეყნდა.

**- ანდრეი, ახლა უკვე „ჩელსის“ ფეხბურთელი ხართ. როგორ გრძნობთ თავს ახალ ამპლუაში?**

- ბედნიერი ვარ. როდესაც კონტრაქტს ხელი მოვაწერე, შვება ვიგრძენი, რადგან ყველაფერი დიდხანს გაგრძელდა - თითქმის სამი წელიწადი. მიხარია, რომ ამ ხნის განმავლობაში „ჩელსიმ“ ჩემდამი ინტერესი არ დაკარგა. ვფიქრობ, ეს ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორ მაფასებენ აქ.

**- „მილანში“ შვიდი წელი გაატარეთ. გუნდთან განშორება ხომ არ გაგიჭირდათ?**

- კარიერის განმავლობაში მხოლოდ ორი კლუბის ღირსებას ვიცავდი - კიევის „დინამოს“ და „მილანის“. უკვე 29 წლის ვარ და ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. იცით, ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც ხვდები, რომ კარიერის უკეთესად გაგრძელებისა და ოჯახური კეთილდღეობისთვის რაღაც უნდა შეცვალო. გადავწყვიტე გადავსულიყავი ისეთ დიდ კლუბში, როგორიც „ჩელსია“. იმედია, ეს გუნდი ჩემთვის მეორე ოჯახი იქნება, ისევე როგორც ეს იყო „დინამოში“ და „მილანში“.

**- რა იყო თქვენი მთავარი მოტივაცია - უბრალოდ, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გინდოდათ თუ რომელიმე სხვა ჩემპიონატში თამაში?**

- ალბათ ორივე. ყოველთვის მომწონდა ინგლისური ფეხბურთი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება იტალიურისგან. მინდოდა ოდესმე მეთამაშა ისეთი სახელოვანი კლუბის შემადგენლობაში, როგორიც „ჩელსია“. მეორე მხრივ, ჩემი მეუღლე კირსტენი ამერიკელია და ინგლისურად ლაპარაკობს.



"არისტოკრატები" შევჩენკოს ელიან.

ორივეს ძალიან გვინდოდა ისეთ მეგაპოლისში ცხოვრება, როგორიც ლონდონია. თუ ორივე ასპექტს მივიღებთ მხედველობაში სწორი, არჩევანი გამიკეთებია.

**- რამდენ ხანში შეძლებთ ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარს თარჯიმნის გარეშე?**

- (პასუხობს ინგლისურად) თქვენი შეკითხვა გავიგე. ჯერჯერობით მიჭირს ინგლისურად ლაპარაკი, მაგრამ რასაც მეუბნებიან, ყველაფერი მესმის. ჩემი მეუღლე ბავშვს ინგლისურად ელაპარაკება. გვინდოდა ოჯახში ყველას ერთ ენაზე გველაპარაკა. ინგლისი ამიტომაც ავირჩიე. იმედია, რამდენიმე თვეში ინგლისურის ცოდნაში საგრძნობ პროგრესს მივაღწევ. ოჯახში ძირითადად სამ ენაზე გვიწევს ლაპარაკი: ინგლისურად, იტალიურად და რუსულად. ბავშვისთვის კი ეს ძალიან ძნელია.

**- „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ თქვა, რომ თქვენთან განშორება ძალიან მტკივნეული იყო. თქვენ რას იტყვით?**

- არა მგონია, რომ „მილანთან“ ჩემი განშორება ძალიან მტკივნეული იყო. თუმცა, უნდა ვაღიაროთ: ალბათ პირველად მოხდა „მილანის“ ისტორიაში, რომ ფეხბურთელმა ფორმის პიკში დატოვა კლუბი. მინდა მადლიერების სიტყვებით მოვიხსენიო სენიორ გალიანი და „მილანის“ მფლობელი სილვიო ბერლუსკონი. ისინი ჩემს მიმართ ყოველთვის დიდ სითბოს იჩენდნენ. მიხვდნენ, რომ კლუბი ფულის გამო არ დამიტოვებია. წამოსვლის მთავარი მიზეზი ოჯახი იყო.

**- ყველაზე ძნელი ალბათ ფანებთან დამშვიდობება იყო...**

- დიახ. მშვენივრად ვიცი, როგორ უყვართ გულშემატკივრებს „მილანი“. ფანებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. იმედია, მათმა უმეტესობამ გაიგო, თუ რატომ გადავდგი ეს ნაბიჯი და ადამიანური თვალსაზრისით გულში წყენა არ ჩაიდეს.

**- რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ჟოზე მოურინიომ? ადრე მხოლოდ ტელევიზიით თუ ნახავდით. ახლა კი პირადადაც შეხვდით...**

- ძალიან ძნელია გაუგო ადამიანს, რომელსაც მხოლოდ ტელევიზიით ხედავ. გაგონილი მქონდა, რომ სერიოზული ადამიანი და ნამდვილი პროფესიონალია. ჩვენი შეხვედრის შემდეგ ამაში დავრწმუნდი. ერთსაც დავამატებ: ურთიერთობაში ძალიან სასიამოვნო ადამიანია. მოურინიომ მითხრა ის, რისი გაგებაც მე მსურდა. ძალიან საინტერესო ადამიანია. მინდა დავამტკიცო, რომ ჩემში არ შემცდარა.

**- შეამჩნიეთ თუ არა, რომ თქვენ და მოურინიოს ჩაცმის ერთი სტილი გაქვთ? ისიც არმანის ანიჭებს უპირატესობას...**

- იმედია, ეს ჩვენს ურთიერთობასაც შეუწყობს ხელს. ვხუმრობ.

**- ყველა კლუბში, სადაც თამაშობდით, გამოკვეთილი გოლეადორი იყავით. გაგრძელდება თუ არა ეს „ჩელსიში“? აქ ხომ ოდნავ სხვა ვითარებაა - გუნდს ერთი გამოკვეთილი ბომბარდირი არასდროს ჰყოლია.**

- იმედია, ჩემი გოლები „ჩელსის“ გამარჯვებაში დაეხმარება. ჩემთვის მთავარი ყოველთვის გუნდის წარმატება იყო. არა აქვს მნიშვნელობა, მე რამდენ გოლს გავიტან. მთავარია გუნდმა მოიგოს.

**- მართალია თუ არა, რომ თქვენს შვილს მაიკლ ჯორდანის პატივსაცემად დაარქვით ჯორდანი?**

- მაიკლი კალათბურთის ლეგენდაა. როდესაც ამბობთ ჯორდანს, ცხადია, პირველ რიგში მაიკლი წარმოგიდგებათ თვალწინ. თუმცა, ჩემს ვაჟს სხვა მოსაზრებებით დავარქვი ჯორდანი.

**- გაგონილი გვაქვს, რომ ბავშვობაში კრივით იყავით დაკავებული...**

- სპორტის არაერთ სახეობაში ვცადე ბედი, სანამ არ ვიპოვე ის ერთადერთი, რომელსაც მთელი ცხოვრება მივუძღვენი.

**- დარტსს თუ თამაშობთ?**

- ბოლო დროს არ მითამაშია. რატომ მეკითხებით?

**- იმიტომ, რომ ცოტა ხანში აუცილებლად მოგიწევთ დარტსის თამაში - ეს ინგლისელი ფეხბურთელების საყვარელი გასართობია.**

- მაშინ დიდი სიამოვნებით ვითამაშებ. ისე, ბილიარდიც ძალიან მომწონს. ვიცი, რომ ინგლისელ ფეხბურთელებსაც უყვართ ბილიარდის თამაში.

**- უკრაინაში ვინ უფრო პოპულარულია, თქვენ თუ სერგეი ბუბკა?**

- ჩვენ ერთმანეთს არ ვეჯიბრებით. ორივე შეგვიძლიათ მიგვიჩნიოთ უკრაინის სპორტულ ელჩებად მთელ მსოფლიოში. გვეამაყება, რომ უკრაინელები ვართ და ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის.

# „რეალი" - ბოლო გაჩერება

მადრიდის „რეალი“ ახალ სეზონს ხმაურიანი ტრანსფერებით ხვდება. პირველ რიგში აღსანიშნავია „სამეფო გუნდის“ ახალი მწვრთნელი, იტალიელი სპეციალისტი ფაბიო კაპელო.

„იუვენტუსის“ ყოფილმა თავკაცმა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წინა სეზონში თავის განკარგულებაში მყოფი „ბებერი ქალბატონის“ ორი ექს-ფეხბურთელი - ფაბიო კანავარო და ბრაზილიელი ემერსონი ჩაიყვანა.

მსოფლიო ჩემპიონი მცველი დღეს ოფიციალურად წარდგება მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრის წინაშე. მანამდე 32 წლის კანავაროს ესპანური „მარკას“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ:

- ახალი კონტრაქტით ძალიან ბედნიერი ვარ, ისევე როგორც მთელი ჩემი ოჯახი. გასული სეზონი მძიმე და დატვირთული მქონდა, მაგრამ „რეალთან“ გაფორმებულმა ხელშეკრულებამ ძალები გამიათმაგა. როდესაც კლუბის ხელმძღვანელობა დამიკავშირდა და კონტრაქტი შემომთავაზა, არც მიფიქრია, ისე დავთანხმდი. „რეალი“ ის კლუბია, რომლის გამოც ღირს სამშობლოსთან განშორება. ესპანური პრიმერადივიზიონიც საკმაოდ ძლიერი ჩემპიონატია, რაც ორმაგად საინტერესოა.

**- მადრიდში ჩამოსვლის წინ თუ ნერვიულობდით?**

- სანერვიულო არაფერი მაქვს. მადრიდის „რეალი“ მსოფლიოს წამყვანი კლუბია და მისი ღირსების დაცვა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საამაყოა.

**- ფაბიო კაპელოსთან მანამდეც გიმუშავიათ. როგორი მწვრთნელია?**

- ნამდვილი პროფესიონალი და გამარჯვებაზე ორიენტირებული. ძალიან მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი მწვრთნელია. ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. კაპელომ იცის, რომ ჩემი იმედი ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს. როცა გუნდში კაპელო გყავს, შეგიძლია მშვიდად იყო, თუმცა წარმატება იოლად არ მოდის და ამას დაუღალავი შრომა სჭირდება.

**- ეს თვე წარმატებული აღმოჩნდა თქვენთვის - ჯერ მსოფლიო ჩემპიონი გახდით, მერე კი ტიტულოვან კლუბთან გააფორმეთ ხელშეკრულება...**

- ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ სულ რაღაც ერთ თვეში მსოფლიო თასს ავწევდი და „რეალში“ ვითამაშებდი. საბედნიეროდ, ოცნება რეალობად იქცა. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, „იუვენტუსის“ სერია ბ-ში დაქვეითებაა. მაგრამ ტურინული კლუბი უწინდებურად მიყვარს, ისევე როგორც „პარმა“ და „ინტერი“. თუმცა, ახლა მთელი არსებით „რეალს“ ვეკუთვნი.

**- მადრიდში თუ ყოფილხართ მანამდე, მოგწონთ ეს ქალაქი?**

- დიდებული ქალაქია. ოჯახთან ერთად მადრიდში ორჯერ ვარ ნამყოფი. ესპანელები რაღაცით იტალიელებს მაგონებენ. ამიტომაც მომწონს მადრიდელები.



**- „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უკვე გითამაშიათ. რა გრძნობებს აღგიძრავთ ეს სარბიელი?**

- „ბერნაბეუზე“ თამაში დაახლოებით ისეთი გრძნობაა, მილანში, „ლა სკალაში“ რომ ხარ. იმედი მაქვს, ამ დიდებულ არენაზე თამაშის პატივს ღირსეულად მოვიპოვებ. ესპანელი „ტიფოზები“ ძალიან მომწონს, რადგან მათ კარგად ესმით ფეხბურთი და პატივს სცემენ ფეხბურთელებს, რომლებიც მოედანზე ბოლომდე იხარჯებიან. მინდა კლუბთან ერთად რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო, რადგან უკვე 32 წლის ვარ და „რეალი“ ალბათ ბოლო კლუბი იქნება ჩემს კარიერაში.

**- დაცვაში, სავარაუდოდ, სერხიო რამოსთან დაწყვილდებით. რას იტყვით თქვენს ახალ თანაგუნდელებზე?**

- რამოსის გარდა, მომიწევს რობერტო კარლოსის, სალგადოს, სისინიოს მხარდამხარ თამაში. ყველა მათგანი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. მინდა ჩემი თამაშით დავამტკიცო ერთადერთი რამ: გუნდისთვის ბევრის გაკეთება შემიძლია.

**- ავსტრიაში შეკრებაზე მყოფი თქვენი ახალი თანაგუნდელები საკმაოდ დატვირთულები არიან...**

- ეს ბუნებრივიცაა. სეზონის წინა პერიოდი ყოველთვის ასეთია. მით უმეტეს, როცა ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით გიწევს მომზადება. მას უყვარს ფეხბურთელების ბოლომდე დატვირთვა. მერწმუნეთ, სეზონის ბოლოს ეს აუცილებლად გამოიღებს სასიკეთო შედეგს.

**- თქვენ თუ მოასწარით დასვენება?**

- მსოფლიო ჩემპიონატის მოგების შემდეგ რომში რამდენიმე დღე გადაბმული ვზეიმობდით ჩვენს წარმატებას. მერე ჩემს მშობლიურ ქალაქ ნეაპოლში ჩავედი, იქიდან კი - საბერძნეთში, გემით. ძალიან მიყვარს ზღვაზე გემით სეირნობა.

**- როგორ ფიქრობთ, გუნდს ადვილად შეეწყობით?**

- იმედი მაქვს, რომ კი. მით უმეტეს, „რეალის“ ბევრ ფეხბურთელს კარგად ვიცნობ. მეამაყება, რომ ისეთი თანაგუნდელები მეყოლება, როგორებიც არიან რონალდო, რაული, დევიდ ბექჰემი... მათ წინააღმდეგ პირადად მითამაშია და ვიცი, რა საფრთხესაც უქმნიან მცველებს. ახლა ჩვენ ერთი გუნდი ვართ და მათთან არაფერი მაქვს გასაყოფი.

**- თქვენს თანამემამულე კასანოზე რას გვეტყვით?**

- ბრწყინვალე ფეხბურთელია. ანტონიო ძალიან ნიჭიერია, დარწმუნებული ვარ, წლეულს ბევრ გოლს გაიტანს.

**- „რეალთან“ ერთად ყველაზე მეტად რომელი ტიტულის მოგებას ისურვებდით?**

- ჩემპიონთა თასის. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, აქამდე ჩემპიონთა ლიგა ერთხელაც ვერ მოვიგე და მინდა, ლიგის თასი „რეალთან“ ერთად ავწიო. „ბერნაბეუზე“ თამაშს იმიტომ დავთანხმდი, რომ რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო.

# კანონზომიერი ყოფილა და...

### ბალდომირმა გატი 9 რაუნდში წააქცია

*თავში კითხვები უტრიალებდათ: იყო თუ არა შემთხვევითობა ის, რომ არგენტინელმა კარლოს ბალდომირმა ამერიკელი ზაბ ჯუდა დაამარცხა. ირკვევა, რომ კანონზომიერი ყოფილა. არგენტინელმა მოკრივემ კანადელი არტურო გატი დაამარცხა. დაამარცხა მეცხრე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით.*

შაბათისა და კვირის გასაყარზე ატლანტიკ სიტიში დიდი ჩხუბი იყო. ნახევრად საშუალო წონის კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონმა კარლოს ბალდომირმა ტიტული დაიცვა. დაიცვა ორ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ კანადელ არტურო გატისთან. ორთაბრძოლის დასაწყისში არგენტინელმა უპირატესობა მოიპოვა. ბალდომირი პირდაპირი მარჯვენა დარტყმებით გადიოდა ფონს. გატიც უბრუნებდა ხურდას, მაგრამ უპირატესობის მოპოვებას ვერ ახერხებდა. მეექვსე რაუნდში კანადელმა მარჯვენა ხელის ტრავმა მიიღო და მარცხენა ხელით გააგრძელა ბრძოლა. გადამწყვეტი გამოდგა მეცხრე რაუნდი, როდესაც დარტყმათა გაცვლის შემდეგ ბაგირების სიახლოვეს გატიმ მარცხენა გვერდული დარტყმა გაატარა და ნოკდაუნში აღმოჩნდა. წამოდგა, მაგრამ არგენტინელის მორიგ შეტევას ვეღარ გაუძლო და ისევ რინგზე გაიშხლართა. რეფერი იძულებული გახდა, ორთაბრძოლა შეეწყვიტა.

სტატისტიკის მიხედვითაც ბალდომირი დიდ უპირატესობას ფლობდა - არგენტინელმა 267 დარტყმა მიაყენა მეტოქეს და მხოლოდ 161 გაატარა. რაც შეეხება ძალისმიერ დარტყმებს, აქ სამხრეთამერიკელმა აშკარა უპირატესობა მოიპოვა ჩრდილოამერიკელზე - ორჯერ მეტი დარტყმა (226-116-ის წინააღმდეგ).



*გატი ბალდომირმა მეცხრე რაუნდში ტექნიკურ ნოკაუტში გაუშვა.*

„ჯერჯერობით არ ვიცი, კიდევ გავალ თუ არა რინგზე. ასეთი მარცხის შემდეგ, პირველ რიგში, დასვენება მჭირდება, - იმედგაცრუებული ამბობდა არტურო გატი, - ის (ბალდომირი) ძალიან ძლიერია. ახლა ვიცი, რატომაც დაამარცხა ზაბ ჯუდა (ბალდომირისა და ზაბ ჯუდას ორთაბრძოლა წლეულს, 7 იანვარს გაიმართა. საუბარია იმ ჩხუბზე, როდესაც არგენტინელმა ჯუდას WBC-ს საჩემპიონო ქამარი მოუგო.-რედ.)“.

ის იყო, რამდენიმე სიტყვა თქვა გატიმ და უმალ საკონფერენციო დარბაზი დატოვა. მისმა მწვრთნელმა ბადი მაკგირტმა კი დასძინა, წაგებით იმდენად არ ვარ იმედგაცრუებული, რამდენადაც ჩემი ქვეშევრდომის ჯანმრთელობის მდგომარეობითო. „მინდა პატივი დავდო არტურო გატის. ის ბრწყინვალე მებრძოლი და ვაჟკაცია, - მეტოქის წინაშე ქედს იხრიდა კარლოს ბალდომირიც (43 გამარჯვება, აქედან 13 ნოკაუტით, 9 წაგება და 6 ფრე), - მადლობას ვუხდი შესანიშნავი ორთაბრძოლისთვის. ვფიქრობ, მაყურებელთა უმეტესობასაც მოეწონა ჩემი ჩხუბი“.

გარდა ამისა, არგენტინელმა დასძინა, რომ გატი (40 გამარჯვება, აქედან 31 ნოკაუტით და 8 წაგება) ბევრად ძლიერად ურტყამს, ვიდრე ზაბ ჯუდა. ახლა ისიც გახდა ცნობილი, რომ ბალდომირს ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან ან რიკი ჰატონთან შეხვედრა სურს. ორივე მათგანს ნახევრად საშუალო წონაში კრივის მსოფლიო ფედერაციისა (IBF) და კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) საჩემპიონო ქამარი აქვს.

„ისინი იმ ტიტულებს ატარებენ, რომლებიც, წესით და რიგით, მე უნდა მეკუთვნოდეს. ეს მე ვარ მსოფლიოს ნამდვილი ჩემპიონი. მე დავამარცხე ზაბ ჯუდა, რომელსაც სამი საჩემპიონო ქამარი ჰქონდა. დღესაც ყველას დავუმტკიცე, რომ მე ვარ ნახევრად საშუალო წონის საუკეთესო მოკრივე“, - გატისთან გამარჯვების შემდეგ ქედმაღლურად აცხადებდა ბალდომირი.

სხვათა შორის, არგენტინელის საპრომოუტერო კომპანიის წარმომადგენელმა გლენ კვიროგამ პირობა დადო: ორშაბათიდანვე შევუდგები მოლაპარაკებას მეივეზერ-უმცროსის ბანაკთანო. თუ შეთანხმებას მიაღწიეს, ბალდომირისა და მეივეზერის ორთაბრძოლა 4 ნოემბერს გაიმართება.

## პოლონეთში ბილეთების უკანონო გაყიდვას იძიებენ

ორშაბათს პოლონეთის პროკურატურამ დაკითხა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთების უკანონო გაყიდვასთან დაკავშირებით. გამოძიება დაიწყო მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი პოლონური ტელეარხის რეპორტიორმა ბილეთებში რეალურ ფასზე ცხრაჯერ მეტი თანხა გადაიხადა.

## როიდერმა კლოზე მიიწვია

„ნიუკასლის“ მწვრთნელმა გლენ როიდერმა განაცხადა, რომ კლუბის სატრანსფერო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება მიროსლავ კლოზეს შეძენაა. „ჩვენ სერიოზულად დავინტერესდით მიროსლავ კლოზეთი. ვიცი, რომ იოლი არ იქნება, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად ყველაფერს ვიღონებ, რომ გერმანელი გოლეადორი შევიძინო.“

## კლუივერტი შოტლანდიაში გადადის

„ვალენსიას“ ხელმძღვანელებმა დაადასტურეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პატრიკ კლუივერტის ტრანსფერთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო წინადადება მიიღეს. „ღამურების“ მთავარმა მწვრთნელმა კიკე სანჩესმა უკვე შეატყობინა ჰოლანდიელ ფეხბურთელს, რომ კლუბის შორსმიმავალ გეგმებში არ იგულისხმება და პატრიკს გზა დაულოცა. კლუივერტის შეძენის მსურველთა შორის არიან ისეთი კლუბები, როგორებიცაა „ჰამბურგი“ და შოტლანდიური „სელტიკი“. ესპანური მედიის ინფორმაციით, კლაივერტი სწორედ ბრიტანულ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

## ჩემპიონთა სიას „ლივერპული" ჩაუდგა სათავეში

ბრიტანულმა გაზეთმა „ტაიმსმა“ საინტერესო სტატისტიკური ცხრილი გამოაქვეყნა. გაზეთის ჟურნალისტებმა ინგლისის ყველა დროის ჩემპიონი დათვალეს. ინგლისის ჩემპიონატი 1888 წლიდან იმართება. იმ დროიდან მოყოლებული დათვლილია რომელმა გუნდმა რამდენი მატჩი გამართა და რამდენი ქულა დააგროვა. ცხრილში ყოველი გამარჯვებისთვის გუნდს სამი ქულა ერიცხებოდა, ფრეზე კი - ერთი. ამ მაჩვენებლით ინგლისის ჩემპიონთა ჩემპიონი „ლივერპული“ გამოვიდა. მერსისაიდელებმა 3643 მატჩში 5927 ქულა დააგროვეს, საშუალოდ თამაშში 1,63 ქულა. მეორე ადგილზე „მანჩესტერ იუნაიტედი“ გავიდა - 3287 მატჩი და 5337 ქულა, საშუალოდ 1,62. მესამეზე „არსენალია“ - 3643 მატჩი და 5780 ქულა, საშუალოდ 1,59. მეოთხე ადგილზე „ლიდსი“ გავიდა (1,48). შემდეგ მოდიან - „ასტონ ვილა“ (1,47), „ტოტენჰემი“ (1,44), „ნიუკასლი“ (1,43), „ვულვზი“ (1,42) და „ბენლი“ (1,41). ამ სიაში ინგლისის ახლანდელი ჩემპიონი „ჩელსი“ მე-14 ადგილზე გავიდა.

ამავე ცხრილიდან ჩანს, რომ ინგლისურ პრემიერლიგაში ყველაზე მეტი მატჩი „ევერტონს“ აქვს გამართული - 4027, „ლივერპულს“ კი ყველაზე მეტი გამარჯვება აქვს მოპოვებული - 1674. „ევერტონს“ კიდევ ერთი რეკორდი ეკუთვნის, კერძოდ, ყველაზე მეტი მატჩი აქვს დასრულებული ფრედ - 1402.

## სიმაო „ბენფიკას" დატოვებს

„ბენფიკას“ პრეზიდენტის ლუის ვიერას თქმით, კლუბს უახლოეს მომავალში დატოვებს პორტუგალიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი სიმაო, რომელსაც პორტუგალიის საზღვრებს გარეთ სურს თამაში. ფეხბურთელის შეძენა „ლივერპულსა“ და „ვალენსიას“ სურთ.

## განაჩენი დღეს გახდება ცნობილი

დღეს ცნობილი უნდა გახდეს, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს იტალიის საფეხბურთო ტრიბუნალი ოთხი დასჯილი კლუბის აპელაციასთან დაკავშირებით. გუშინ „მილანმა“ კიდევ ერთი აპელაცია შეიტანა, რომელშიც კლუბი ითხოვს, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება მიეცეს. იტალიური მედიის ინფორმაციით, ტრიბუნალი სასჯელის შემსუბუქებას არ გეგმავს და ალბათ პირველადი განაჩენი ძალაში დარჩება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საბოლოო ვერდიქტის გამოტანა გუშინდელი დღისთვის იყო დაგეგმილი. ის ფაქტი, რომ საქმე ოდნავ გაჭიანურდა, შესაძლოა, მოსარჩელეთა სასარგებლოდ მეტყველებდეს.

## ტევესი უკმაყოფილოა

ბრაზილიური „კორინთიანსის“ არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევესი აცხადებს, რომ კლუბის დატოვება სურს.

„მე და ჩემმა თანაგუნდელებმა გასულ სეზონში გუნდს ჩემპიონობა მოვაპოვებინეთ, მაგრამ რად გინდა, საკმარისია ერთი მატჩი ჩავაგდოთ და უკვე გვლანძღავენ. რას იზამ, ასეთია „კორინთიანსი“. სწორედ ამიტომ მინდა გუნდის დატოვება. უმჯობესი იქნება, თუ კარიერას ევროპაში გავაგრძელებ, მით უმეტეს, მშვენივრად ვიცი, რომ რამდენიმე ევროპულ გრანდს ჩემი შეძენა სურს“, - აცხადებს ტევესი.

## რონალდუს შეძენა „ვალენსიასაც" სურს

ესპანური მედიის ინფორმაციით, იმ კლუბების სიას, რომლებსაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ პორტუგალიელი ნახევარმცველის კრიშტიანუ რონალდუს შეძენა სურთ, „ვალენსიაც“ დაემატა.

კლუბის სპორტულმა დირექტორმა ამადეო კარბონიმ ოფიციალური თხოვნით მიმართა „მანჩესტერ იუნაიტედს“ ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით. ესპანური კლუბის მესვეურებს პასუხი არ მიუღიათ, თუმცა ცნობილია, რომ რონალდუ 24 მილიონ ევროზე ნაკლებად არ გაიყიდება. სანამ „რეალი“ და „ვალენსია“ პორტუგალიელის გადაბირებას ლამობენ, პორტუგალიელმა უკვე დაიწყო ვარჯიში მანკუნიანური გუნდის შემადგენლობაში. შეგახსენებთ, რომ მუნდიალის შემდეგ რონალდუ ინგლისში დაბრუნებას არ აპირებდა (რუნისთან მომხდარი ინციდენტის გამო), თუმცა, როგორც ჩანს, ყველაფერი მოგვარდა - ახლა რუნი და რონალდუ შეხმატკბილებულად ვარჯიშობენ.

## ოლეგერმა კონტრაქტი გააგრძელა

„ბარსელონას“ მცველმა ოლეგერმა 2010 წლამდე გააგრძელა კლუბთან კონტრაქტი. წლევანდელი სატრანსფერო აქტიურობის შემდეგ შესაძლოა ოლეგერის ადგილი საერთოდ აღარ იყოს ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ფეხბურთელმა მაინც კატალონიურ კლუბს დაუკავშირა მომავალი.

## დეშამს მცველი სჭირდება

მას შემდეგ, რაც „იუვენტუსი“ დატოვეს ტურამმა, კანავაროშ და ძამბროტამ, „ბებერი ქალბატონი“ ფაქტობრივად დაცვის გარეშე დარჩა. გუნდის ახალი მწვრთნელის დიდიე დეშამის განცხადებით, „იუვენტუსმა“ უახლოეს მომავალში აუცილებლად უნდა შეიძინოს ერთი ცენტრალური მცველი.

„იმისთვის, რომ ელიტაში დავბრუნდეთ, ძლიერი გუნდი გვჭირდება. მართალია, ტურინული გუნდის საფეხბურთო აკადემიაში არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელია და შესაძლოა მომავალ სეზონში მათი გამოყენებაც დაგვჭირდეს, მაგრამ ცხადია, რომ წამყვანი ფეხბურთელების წასვლის შემიდეგ მხოლოდ ახალგაზრდებით ფონს ვერ გავალთ. აუცილებელია რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის შეძენა. მათ შორის ერთი აუცილებლად ცენტრალური მცველი უნდა იყოს“, - აცხადებს დეშამი.

## „რომას“ პრიორიტეტი

„რომას“ მწვრთნელს ლუჩანო სპალეტის მიაჩნია, რომ „იუვენტუსის“ ფრანგი ფორვარდი დავიდ ტრეზეგე მისი გუნდისთვის იდეალური შენაძენი იქნება. იტალიური მედიის ინფორმაციით, რომაული კლუბი მზადაა ფრანგ ფორვარდში 15 მილიონი ევრო გადაიხადოს. შეგახსენებთ, რომ თავად ტრეზეგეს „იუვენტუსში“ დარჩენა და სერია B-ში თამაში არ სურს.

## დელ ორნო დაბრუნდა

ესპანეთის ნაკრების მცველი ასიერ დელ ორნო ინგლისიდან სამშობლოში დაბრუნდა და „ვალენსიაში“ გააგრძელებს თამაშს. ფეხბურთელს მიაჩნია, რომ „ჩელსიში“ გატარებული სეზონი ძალიან დაეხმარა. „ლონდონში დიდი გამოცდილება შევიძინე. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურ კლუბში გავიზარდე როგორც ფეხბურთელი. პირდაპირ გეტყვით: ლონდონში გატარებული ერთი სეზონი ძალიან მნიშვნელოვან პერიოდად მიმაჩნია და ერთი წუთითაც არ ვნანობ, რომ თავის დროზე „ჩელსიში“ გადავედი“, - აცხადებს ასიერ დელ ორნო.

„ვალენსიამ“ ესპანელ ფეხბურთელში 7,5 მილიონი ევრო გადაიხადა და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## 5 მილიონი კონანში

მოსკოვის ცსკა კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენას გეგმავს. გაზაევის გუნდმა 5 მილიონი ევრო შესთავაზა იტალიურ „ლეჩეს“ კოტდივუარელ ფორვარდ აქსელ კონანში. 23 წლის კონანმა გასულ სეზონში 33 მატჩი გამართა „ლეჩეს“ შემადგენლობაში და 6 გოლი გაიტანა.

## ნადირობა სორინზე

მას შემდეგ, რაც ესპანური „ვილიარეალის“ ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მზად არიან გაყიდონ გუნდის არგენტინელი ფეხბურთელი ხუან პაბლო სორინი, ინგლისის პრემიერლიგის საშუალო დონის გუნდებმა ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს არგენტინელზე. „ვილიარეალი“ ფეხბურთელში 4 მილიონ ევროს ითხოვს, რაც დღევანდელი სატრანსფერო ბაზრიდან გამომდინარე არც ისე დიდი თანხაა. ამჟამად არგენტინის ნაკრების კაპიტნის შეძენა „პორტსმუთს“, „ბოლტონს“ და „ფულემს“ სურთ.

## კამორანეზი „ქალბატონის“ ერთგულია

ტურინის „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების ნახევარმცველი მაურო კამორანეზი არ აპირებს გუნდის დატოვებას. მართალია, ფეხბურთელს რამდენიმე სოლიდური კლუბი იწვევს, მაგრამ კამორანეზი ტურინში აპირებს დარჩენას, რათა კლუბთან ერთად ითამაშოს სერია B-ში და დაბრუნდეს იტალიის ელიტურ დივიზიონში.

## მატერაცი „ინტერში“ დარჩება

იტალიის ნაკრების მცველი მარკო მატერაცი „ინტერთან“ კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს. მოქმედი კონტრაქტის თანახმად, მატერაციმ მილანურ კლუბში 2009 წლამდე უნდა ითამაშოს, თუმცა კლუბისა და ფეხბურთელის შეთანხმებით კონტრაქტი, სულ ცოტა, კიდევ ორი წლით გაგრძელდება.

## პლატინის უეფას პრეზიდენტობა სურს

საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა და მწვრთნელმა, თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა ფეხბურთელმა მიშელ პლატინიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ კენჭს იყრის უეფას პრეზიდენტის პოსტზე.

51 წლის პლატინიმ ჯერ კიდევ 18 თვის წინ თქვა, რომ უეფას პრეზიდენტობას აპირებს. გუშინ კი ევროპული ფეხბურთის სათავო ორგანიზაციაში ამის თაობაზე მიშელ პლატინის ოფიციალური განცხადებაც შევიდა.

ამჟამად პლატინი უეფასა და ფიფას აღმასკომის წევრია. უეფას პრეზიდენტის პოსტის დათმობას არც 76 წლის შვედი ლენარტ იუჰანსონი აპირებს. მართალია, ბატონი იუჰანსონი კარგა ხანს ყოყმანობდა და არ გეგმავდა მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ დაახლოებით ერთი კვირის წინ განაცხადა, რომ პოსტზე დარჩენა სურს.

უეფას პრეზიდენტის არჩევნები მომავალი წლის 25-26 იანვარს გაიმართება გერმანულ ქალაქ დიუსელდორფში.

ჯერჯერობით პლატინი იუჰანსონის ერთადერთი კონკურენტია. გამორიცხული არ არის, ამ დუეტს კიდევ ერთი ცნობილი საფეხბურთო მოღვაწე ფრანც ბეკენბაუერიც დაემატოს, თუმცა, ბეკენბაუერს ნათქვამი აქვს: თუ იუჰანსონი პოსტზე დარჩენას მოინდომებს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებო.

## „რეალი“ გამდიდრდება

კომპანია Media Pro-მ მადრიდის „რეალს“ შესთავაზა ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციების უფლების გამოსყიდვა, რაშიც მედია-მაგნატი 170 მილიონი ევროს გადახდას აპირებს. ამჟამად „სამეფო კლუბს“ ტელეტრანსლაციების უფლება კომპანია Audiovisual-სთვის აქვს მიყიდული 55 მილიონ ევროდ.

რაც შეეხება Media Pro-ს, ამ კომპანიამ უკვე იყიდა ანალოგიური უფლებები „ბარსელონასგან“ 120 მილიონ ევროდ.

# რომელია უფრო მარდი?

**სამშაბათს რაგბის საშინაო სეზონის პირველი ნახევარი თასის ფინალით სრულდება. შარშანდელი მფლობელი და ჩემპიონი ლოკომოტივი შარშანწინდელ ჩემპიონსა და შარშანდელ ფინალისტ ლელოს შევარდენის სტადიონზე ეთამაშება. მატჩი საღამოს შვიდის მეოთხედზე იწყება და საზოგადოებრივი მაუწყებელით ტელე-ეთერში პირდაპირ გადაიცემა.**

თასის გათამაშება ნაალდგომევს დაიწყო, მაგრამ ძაან შეფერხდა უმაგალითოდ სისხლსავსე საერთაშორისო პროგრამისა გამო. ერთმა 5-გუნდა პულმა ორი წრე რომ მოითავა, მეორე წრეს მეორე მაშინღა შეუყვა და არც დაუმთავრებია, რაღაი ნახევარფინალური წყვილები ისედაც გარკვეული იყო. მერე მოეწყო თითო-რკენიანი ნახევარფინალები და ჰა, ნანატრი ფინალის დრომაც მოატანა. ფინალი შარშანდლის რემატჩია. ის თამაში ვაკეში გაიმართა. პირველი ლელო 54-ე წუთზეღა გავიდა, მანამდე კი ფრე იყო. ლოკომოტივმა შებინდებულზე, წამატებულ დროშიღა გატეხა მეტოქე, 24:9 გაიმარჯვა და თასი XXI საუკუნეში მეოთხედ შემართა, დეკემბერში კი ეროვნულზე აკადემიაც ძლია, ახალ ათასწლეულში მეოთხედვე იჩემპიონა და მესამე დუბლი შეასრულა.

ლოკომოტივი წელსაც ფავორიტია, მაგრამ არც ლელოა ჯაბანი. ფინალისტებმა თავ-თავიანთი პულებში იოლად იპირველეს (თუმც ლელო ქუთაისში დამარცხდა) და ნახევარფინალებიც დამაჯერებლად მოიგეს, მაგრამ ლოკომოტივი უფრო გამოცდილია, რაც საზოგადოდ სპორტში და კერძოდ რაგბში, მნიშვნელოვანი ფაქტორია. მოვიხმოთ მცირედი სტატისტიკა. თუ ზეპურ რაგბში გუნდის ან მისი ცალკეული რგოლის ნამსახურობა კეპებით იზომება, შინაურ ასპარეზზე ერთადერთი ხელჩასაჭიდი მონაცემი მოთამაშის ასაკია. ჰოდა, ლოკომოტივის შვიდი ბეკი ლელოს შვიდეულზე ჯამში 36 წლით უფროსია (177-141) და შერკინების რვეულიც მეტოქე ოქტეტზე 29 წლით ხნიერია (193-164), რაც მთელ გუნდზე 65 წელს (370-305) უდრის, კაცზე გადაანგარიშებით კი ოთხ წელზე მეტია!

### მწვავე კრიზისი გვიდგასო

ლელოს დამწყები 15-ეულის უხუცესი წევრი 24 წლისაა, შვიდი მოთამაშე კი ნინველია (თინ-ეიჯერი). ლოკომოტივს ნინველი არავინა ჰყავს, დირიჟორ ბეკებს, კვინიხიძესა და ასათიანს კი კარიერაში უკვე რვა-რვა ფინალი მოუგიათ. წელს ხუთი ლელოელი (თოდუა, მანჯავიძე, ხმალაძე / ცხოვრებაშვილი, მძინარიშვილი) 19 წლამდელთა მსოფლიო თასზე არაბეთში იყო, სამი კი (მჭედლიშვილი, ყიასაშვილი / ქუბრიაშვილი) 21 წლამდელთა მსოფლიო თასზე, საფრანგეთში. შარშანდელ თასის ფინალთან შედარებით ლოკომოტივს ნახევარფინალში აკლდნენ ბეკები: ლექსო გუგავა, გიორგი კობერიძე, კახა ალანია, ბიძინა სამხარაძე და ფორვარდები: გიორგი ჯოხია, ნიკა მხეიძე, ზვიად მაისურაძე და ბექა ყურაშვილი.

ლელოს დანაკარგი უფრო სერიოზულია - ბეკები: ლაშა ფირ?ფილაშვილი, ედიშერ ჯამრულიძე, ოთარ ბარკალაია, მერაბ კვირიკაშვილი და ფორვარდები: გიორგი სანიკიძე, დავით კობეშავიძე, მამუკა გორგოძე, ილია კახოიძე, ბექა სარდანაშვილი და რეზო ბელქანია. ასე რომ, ცამდე მართალია ლელოს შემქმნელი და იდეური მამა, ქართული რაგბის ბერმუხა ბათუ კევლიშვილი, როცა ბრძანებს, შინაურ რაგბში მწვავე კრიზისი გვიდგას, თორემ სხვაფრივ 18-19 წლის ბიჭები კაცთა პირველობაზე არ ითამაშებდნენო.

*მასალა მომზადებულია საიტზე: http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm*



*დღეს "ლოკომოტივი" თასისთვის იბრძოლებს.*

### საქართველოს თასის ფინალი
### ლოკომოტივი - ლელო

**ლოკომოტივი: (ბეკები)** 15 გიორგი ასათიანი, 14 ლადო ოსეპჩუკი, 13 რეზო გიგაური, 12 სანდრო გილაური, 11 ლუკა ხაჩირაშვილი; 10 ბობა კვინიხიძე (კაპ), 9 ირაკლი ღვინჯილია.
**(ფორვარდები)** 1 დავით გასვიანი, 2 ირაკლი ბუკია, 3 გიორგი ჟღენტი; 4 ზურაბ კორკოტაძე, 5 გიორგი კახიანი; 6 ირაკლი გუნდიშვილი, 7 შალვა სუთიაშვილი, 8 გრიგოლ ნიშნიანიძე.
**მწვრთნელი:** თემურ ბენდიაშვილი, დავით ჩავლეიშვილი
**ლელო: (ბეკები)** 15 ირაკლი ყიასაშვილი, 14 ზურაბ ზაალიშვილი, 13 ლადო ქიზიყურაშვილი, 12 ალექსანდრე მანჯავიძე, 11 ალექსანდრე თოდუა; 10 ლაშა ხმალაძე (კაპ), 9 ბექა თოფურია.
**(ფორვარდები)** 1 შოთა ცხოვრებაშვილი, 2 დავით ცხაკაია, 3 დავით ქუბრიაშვილი; 4 გიორგი რამაზაშვილი, 5 დავით ჩიტიძე; 6 გიორგი მჭედლიშვილი, 7 ვახტანგ მძინარიშვილი, 8 ლაშა ახალაია.
**მწვრთნელი:** ბათუ კევლიშვილი, ლევან მაისაშვილი
**რეფერი** გია ჯავახიშვილი
**კიდეებზე:** მიხეილ ჩაჩუა და გიორგი მამისეიშვილი
**ფრეზე:** დაინიშნება ორი, 10-წუთიანი დამატებითი ტაიმი. თუ კიდევ ფრე იქნა, გამარჯვებულის გამოსავლენად ჯერ შედარდება ფინალის 100 წუთში გატანილი ლელოები; მერე ბარათები (წითელი ძალავს ნებისმიერი ოდენობის ყვითელს) და თუ მჯობნი მაინც ვერ გამოვლინდა, მოეწყობა არეკნების სერია.
დარტყმა სრულდება 22 მეტრიდან, კარის პირდაპირ. თუ ხუთი დარტყმის შემდეგ ფრე იქნა, წონასწორობის დარღვევამდე ირტყმება თითო, მეორე წრე კი მას მერეღა იწყება, რაც 100 წუთის გასრულების დროს მოედანზე მყოფი 15-ვე მოთამაშე თითოჯერ დაარტყამს.

| | | | |
|---|---|---|---|
| **2000** | **თ** | **ლოკომოტივი - დათვები (ბათ)** | **32:28** |
| | **ჩ** | **ლოკომოტივი - ყოჩები** | **28:28 (ლ 3-1)** |
| **2001** | **თ** | **დათვები - ლოკომოტივი** | **უარი** |
| | **ჩ** | **ლოკომოტივი - დათვები** | **24:17** |
| **2002** | **თ** | **დათვები - ლელო** | **15: 9** |
| | **ჩ** | **დათვები - დათვები „2“** | **27:10** |
| **2003** | **თ** | **ლოკომოტივი - დათვები** | **32:30** |
| | **ჩ** | **ლოკომოტივი - ყოჩები** | **18:15** |
| **2004** | **თ** | **ლოკომოტივი - ყოჩები** | **55:20** |
| | **ჩ** | **ლელო - აკადემია** | **30:28** |
| **2005** | **თ** | **ლოკომოტივი - ლელო** | **24: 9** |
| | **ჩ** | **ლოკომოტივი - აკადემია** | **30: 6** |

# ამერიკული ოცნება

ვასილ უდუმაშვილი

ზაფხული საოცრად დატვირთული აღმოჩნდა სპორტული მოვლენებით: საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატი, უიმბლდონი და აი, ორი დღეა, რაც ტურ დე ფრანსი დასრულდა.

ზაფხულის სპორტულმა ცხოვრებამ თავისი გმირები და ანტიგმირები შვა. მათ ჩამოთვლას არ მოვყვებით. დღეს თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთ მათგანზე შევაჩერებთ.

ისე, ახლა ალბათ ძალიან ძნელია, იყო ფრანგი და თანაც სპორტის გულშემატკივარი. ფრანგები ნამდვილად ცუდ დღეში ჩავარდნენ. თავად განსაჯეთ - მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი წაგებულია, ზიდანი ფეხბურთიდან წავიდა (თან როგორ!). ორი- სამი კვირის წინ ფრანგებს ერთი შვება მაინც ჰქონდათ: იწყებოდა ტურ დე ფრანსი და ლენს არმსტრონგი (ფრანგული ტრანსკრიფციით არმსტრონგი „ანტიქრისტედ იკითხება. ყოველ შემთხვევაში, ფრანგები სწორედ ასე წერენ ლეგენდარული ველომრბოლის გვარს) კი ველოსპორტს უკვე ჩამოშორდა. ერთი სიტყვით, იყო შანსი, რომ ტური ფრანგს თუ არა, ევროპელს მაინც მოეგო. მაგრამ რად გინდა - მორიგი იმედგაცრუება. ტური ისევ ამერიკელმა მოიგო, ოღონდ ლენსის ნაცვლად - ლენდისმა. მოკლედ, ისეთი ვითარებაა, რომ მგონი დროა, ეიფელის კოშკი პარიზულ ასფალტს მოაცილონ, გემზე დატვირთონ, ოკეანის გაღმა წაიღონ და ნიუ იორკში, თავის ნათესავ თავისუფლების ქანდაკებას მიუდგან.

ფრანგებისთვის და ალბათ მთლიანად ევროპელებისთვის ყველაზე დამამცირებელი ის იყო, თუ როგორ მოიგო ლენდისმა ეს მარათონული ველორბოლა. როცა ტურზე არმსტრონგი ბატონობდა, ყველაფერი ცხადი იყო. ლენსი დაუმარცხებელი სპორტსმენის აურას აფრქვევდა, მასთან ახლოსაც ვერავინ მიდიოდა - კონკურენტებს ამერიკელი ლეგენდა უმოწყალოდ უსწორდებოდა. არმსტრონგის დროს მრბოლები, ფაქტობრივად, მეორე ადგილისთვის იბრძოდნენ, პირველობა კი ლენსს გარანტირებული ჰქონდა.



*ლენდისი ელისეს მინდვრებზე აშშ-ს დროშით.*

ლენდისი კი ტურის წინ ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. გარკვეული დროის განმავლობაში ის, შეიძლება ითქვას, პინგ-პონგს თამაშობდა ესპანელ პერეიროსთან ყვითელი მაისურით და აი, როგორც იქნა, ევროპამ ამოისუნთქა. მე-16 ეტაპი ლენდისმა ჩააგდო. თითქოს ტურს ევროპელი გამარჯვებული უნდა ჰყოლოდა, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. ფლოიდ ლენდისმა შეუძლებელი შეძლო და გამარჯვებულის ტიტული კვლავ ამერიკელს დარჩა.

ევროპა ამას უკვე შეჩვეულია. არა უშავს, კიდევ ერთმა ამერიკელმა მოიგო ტური. ამერიკელებმა რაღა ქნან, მათ ხომ კიდევ ერთი სუპერგმირი შეემატათ. და თანაც, სპორტის იმ სახეობაში, რომელიც შტატებში ფეხბურთზე ნაკლებად პოპულარულია. არმსტრონგის შემთხვევაში ყველაფერი ცხადი იყო, მისი ლეგენდად არაღიარება, უბრალოდ, შეუძლებელი გახლდათ. შვიდი გამარჯვება ტურზე, თანაც, საშინელი ავადმყოფობიდან განკურნების შემდეგ (არმსტრონგს კიბო ჰქონდა). გინდა, არ გინდა, ასეთი კაცი გმირად უნდა შერაცხო. ამერიკელებს შესაძლოა ველოსპორტი არ მოსწონდეთ, მაგრამ ლენს არმსტრონგი მეგავარსკვლავია, მისი იგნორირება შეუძლებელი იყო.

რაღა ვუყოთ ფლოიდ ლენდისს? საეჭვოა, რომ მან ლენს არმსტრონგის პოპულარობის დონეს მიაღწიოს. ტელეკომპანია OLN-მა ჯერ კიდევ ტურის დაწყებამდე ააგორა ფლოიდ ლენდისის პიარი. მას ველოსიპედი Tough guy (მაგარი ბიჭი) უწოდეს. ახლა მას დითირამბებს უმღერიან, მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ მან ლენსის გზა გაიმეოროს. ლენდისი მაინც მომენტის გმირია. არადა, მისი ცხოვრება ამერიკული ოცნების ნათელი მაგალითია.

ისევე როგორც არმსტრონგი, ლენდისიც თვითნაბადი ტალანტია. დაიბადა სოფელში, სექტანტმენონიტების ოჯახში, რომლებიც ელექტრობასაც კი არ აღიარებენ. სპორტი კი დროის ფუჭ ხარჯვად და ცოდვად მიაჩნიათ. ფლოიდი მშობლებისგან ფარულად, ღამით ვარჯიშობდა. თავის პირველ ტურნირზე სპორტული ფორმაც არ სცმია და მონაწილეების დაცინვის საგნად იქცა. იმისთვის, რომ პროფესიულ ველოსპორტში მოხვედრილიყო, ფლოიდმა ოჯახსა და რელიგიაზე თქვა უარი, შეცვალა ცხოვრების წესი (არც ისე დიდი ხანია, რაც მშობლები შვილს შეურიგდნენ და ახლა მისი ფანებიც არიან).

მოკლედ, ლენდისის ცხოვრება მართლა ამერიკული ოცნების ახდენას ჰგავს, როდესაც უბრალო სოფლელი ბიჭი ბროდვეიზე აღმოჩნდება ხოლმე, მის მიერ მოგებული ტური კი ნებისმიერი ჰოლივუდური ბოლკბასტერის სიუჟეტს დაამშვენებდა. ტურის ისტორიაში ყოფილა საშინელი ჩავარდნები და დიდი გამარჯვებები, მაგრამ ორივე ერთად 24 საათის განმავლობაში - ეს უკვე რაღაც ახალია. ალპებში ლენდისი დაიშალა, დაიშალა კი არა, საერთოდ მოკვდა. ათწუთიანი ჩამორჩენა, როცა ფინიშამდე ოთხი ეტაპია დარჩენილი, ეს მართლაც სიკვდილია. მე-16 ეტაპის შემდეგ თავისუფლად შეიძლებოდა ლენდისის ჩამოწერა, მაგრამ მოხდა საოცრება - როგორ იპოვა ტრასაზე გაჩერებულმა ლენდისმა ძალა, რომ მეორე დღეს საოცრება მოეხდინა და თანაც ტრავმირებული ფეხით, ძნელი სათქმელია.

წლევანდელი ტურის მე-17 ეტაპი ისტორიაში შევა. ლენდისმა უარი თქვა ყოველგვარ ტაქტიკა-სტრატეგიაზე, არ დაელოდა ბოლო აღმართს და პელეტონი უკან ჩამოიტოვა. მთაში ის 40 კმ-სთ სიჩქარით მიდიოდა. ზოგიერთი ასე სწრაფად ავტომობილითაც კი ვერ მგზავრობს. ეს არც ფიზიკური და ტაქტიკური მომზადებაა. ეს, უბრალოდ, გამარჯვების საოცარი წყურვილია.

ეს გამხდარი წითური სპორტსმენი იმდენ ხანს მუშაობდა არმსტრონგზე გუნდში, რომ ახლა, 30 წლის ასაკში, მისი ჯერიც დადგა. ლენდისი ახალი გმირია, მაგრამ ალბათ საოცრად მცირე ხნით. კვირას ტრიუმფალურად დასრულებული ტური, სავარაუდოდ, მის სპორტულ კარიერაში უკანასკნელი დიდი გამარჯვება იქნება. ამ ტურზე დაიწყო და დასრულდა კიდეც ლენდისის ეპოქა. ოსტეოქონდროზი, თეძოს ქრონიკული ტრავმა, რომელსაც იგი მუდმივად მალავდა, არ მისცემს ლენდისს კიდევ ერთი ტრიუმფალური ტურის გამართვის საშუალებას. დაბრუნდება თუ არა ფლოიდი ველოსპორტში ოპერაციის შემდეგ, ესეც კი არ არის ცნობილი. ამერიკელთა ცნობიერებაში ლენდისი დარჩება პატარა ნაპერწკალად, რომელმაც ლენს არმსტრონგის შემდეგ ფავორიტების დისკვალიფიკაციებით დასუსტებულ ტურზე გაიბრწყინა და შემდეგ ველოსპორტის კაბადონიდან გაქრა, თუმცა თავად ლენდისმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დიდი სპორტსმენების გვერდით მოიხსენიონ. მან ტურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ფურცელი ჩაწერა.

**ქალაქ თბილისის მერი**

**ბრძანება №** 39

10 ივლისი 2006 წ.

17 ... 2006
08.260.020.38.101.006.903

## ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120-ე ბრძანებულების 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თანდართული დებულება.
2. ბრძანება ამოქმედდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მერი — გიორგი უგულავა

**დამტკიცებულია ქ. თბილისის მერის**
**2006 წლის 10 ივლისის N39**
***ბრძანებით***

***დანართი***

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დებულება "საქართველოს დედაქალაქის- ქ.თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის და "საქართველოს დედაქალაქის-ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, განსაზღვრავს რაიონის გამგეობის უფლებამოსილებებს, სტუქტურასა და საქმიანობის წესს.

*თავი I.*
*ზოგადი დებულებანი*

***მუხლი 1. რაიონის გამგეობის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები***

**1.** ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (შემდგომში გამგეობა) არის ქალაქ თბილისის მმართველობის ტერიტორიული ორგანო, რომელიც "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, „საქართველოს დედაქალაქის-ქ.თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1 მარტის N120 ბრძანებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხის გადაწყვეტას და ადმინისტრაციული ერთეულის-რაიონის მართვას.

2. .გამგეობა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, ქალაქ თბილისის საკრებულოს, მერის, პრემიერის, თბილისის მთავრობის აქტებისა და ამ დებულების საფუძველზე.

**3.** გამგეობა თავის საქმიანობაში ხელმძღვენელობს კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიალობის, ეროვნული ტრადიციების და წეს-ჩვეულებების, ადამიანთა უფლება-თავისუფლებათა დაცვის, საერთო სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით.

**4.** გამგეობას აქვს ბიუჯეტი, ბეჭედი და საკუთარი ბლანკი.

**5.** გამგეობის ადგილსამყოფელია დ.აღმაშენებლის 140-ა.

*თავი II.*
*გამგეობის ძირითადი მიზნები და ამოცანები*

***მუხლი 2. გამგეობის ძირითადი მიზნები და ამოცანები***

1. გამგეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

**ა)** უზრუნველყოფს საქართველოს კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოს, თბილისის მთავრობისა და პრემიერის აქტების შესრულებას;

**ბ)** შეიმუშავებს რაიონის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს ქალაქ თბილისის მთავრობას განსახილველად; უზრუნველყოფს Qთბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას;

**გ)** უზრუნველყოფს ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებას;

**დ)** ხელმძღვანელობს დაქვემდებარებული სამსახურების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

**ე)** შეიმუშავებს რაიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტს, მიზნობრივ პროგრამებს და წარუდგენს ქალაქ თბილისის მთავრობას განსახილველად, უზრუნველყოფს დამტკიცებული პროგრამის შესრულებას;

**ვ)** სახელმწიფო და ქალაქ თბილისის განვითარების პროგრამებიდან გამომდინარე ახორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით.

*თავი III.*
*გამგეობის შემადგენლობა*

***მუხლი 3. გამგეობის შემადგენლობა***

**1.** გამგეობა შედგება: რაიონის გამგებლის, მისი მოადგილეებისა და ცალკეული რაიონული სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელისგან.

**2.** რაიონის გამგებელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ქალაქ თბილისსის მერის წარდგინებით.

**3.** გამგეობის სტრუქტურას, დებულებას და საშტატო ნუსხას პრემიერთან შეთანხმებით შეიმუშავებს გამგებელი და ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.

***მუხლი 4. რაიონის გამგებლის კომპეტენცია***

1. რაიონის გამგებელი:

**ა)** თანამდებობრივად შედის ქალაქ თბილისის მთავრობაში;

**ბ)** წარმართავს გამგეობის საქმიანობას;

**გ)** დებულების შესაბამისად შეიმუშავებს და ქალაქ თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის შემადგენლობას;

**დ)** მერს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის წევრებს;

**ე)** თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა უფროსებს;

**ვ)** თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დაქვემდებარებულ საწარმოთა ხელმძღვანელებს, რაიონში შემავალი ადმინისატრაციული ერთეულების ორგანოების ხელმძღვანელებს, ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის წევრთა შორის, გასცემს შესაბამის დავალებებს, იწვევს და თავჯდომარეობს გამგეობის სხდომებს და თათბირებს;

**ზ)** ქ. თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს რაიონის ბიუჯეტის პროექტს;

**თ)** ორგანიზებას უწევს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენას, უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტისა და რაიონის სოციალური განვითარების პროგრამების შესრულებას;

**ი)** მისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს გამგეობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, წარმოადგენს და მოქმედებს გამგეობის სახელით, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

**კ)** ხელს აწერს გამგეობის ფინანსურ დოკუმენტებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს, ხელს აწერს გამგეობის დადგენილებებს;

**ლ)** "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 72-ე და 73-ე მუხლის შესაბამისად ამტკიცებს გამგეობის შინაგანაწესს;

**მ)** ქალაქ თბილისის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს გამგეობის რეგლამენტს;

**ნ)** აჩერებს ან აუქმებს გამგეობის სამსახურის ხელმძღვანელთა და რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებებს;

**ო)** ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

**2.** რაიონის გამგებელი ანგარიშვალდებულია ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოსა და რაიონის მოსახლეობის წინაშე.

**Mმუხლი 5. გამგებლის გადადგომა**

**1**. გამგებელს აქვს გადადგომის უფლება. იგი უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

**2.** გამგებელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ახალი გამგებლის დანიშვნამდე.

***მუხლი 6. რაიონის გამგებლის მოადგილეები***

**1.** გამგებელს შეიძლება ჰყავდეს არა უმეტეს სამი მოადგილისა.

2. გამგებლის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი მერთან შეთანხმებით;

**3.** გამგებლის მოადგილეები გამგებლის მიერ ფუნქციათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ დარგებს, ამზადებენ და გამგებელს წარუდგენენ წინადადებებს შესაბამის დარგებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, ზედამხედველობენ გამგეობის შესაბამის სამსახურებს, წარუდგენენ გამგებელს დასამტკიცებლად მათდამი დაქვემდებარებული სამსახურის (განყოფილების) თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს, ორგანიზაციას უწევენ და აკონტროლებენ გამგებლისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

**4.** გამგებლის არყოფნის შემთხვევაში, ან თუ გამგებელს დროებით არ შეუძლია მოვალეობის შესრულება, მისი დავალებით გამგებლის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.

**5.** მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან გამგებლის წინაშე.

*თავი IV.*
*გამგეობის კომპეტენცია*

***მუხლი 7 . უფლებამოსილებათა გამიჯვნა ქალაქ თბილისის მთავრობას და რაიონის გამგეობას შორის***

უფლებამოსილებათა გამიჯვნა ქალაქ თბილისის მთავრობას და რაიონის გამგეობას შორის ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, მათგან გამომდინარე ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოს და მთავრობის აქტებით ქალაქ თბილისის კომპეტენციების რაიონებისთვის დელეგირების საფუძველზე.

***მუხლი 8. გამგეობის უფლებამოსილებათა განხორციელების მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა***

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, მერიის დებულებით, ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოსა და მთავრობის აქტებით განსაზღვრული რაიონის გამგეობის უფლებამოსილებათა განხორციელება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალაქ თბილისის საკუთრების შესაბამისი ობიექტების, სათანადო მატერიალურ-ფინანსური რესურსების რაიონის გამგებლობაში გადაცემითა და რაიონის ბიუჯეტის დამოუკიდებელი შემოსავლებით.

**მუხლი 9. გამგეობის უფლებამოსილებანი**

გამგეობის კომპეტენციაშია:

**ა)** მის გამგებლობაში გადაცემული ქალაქ თბილისის საკუთრების ობიექტების საქართველოს კანონით და მის საფუძველზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, ფლობა და სარგებლობა; ქალაქ თბილისის მთავრობისთვის დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება ქალაქ თბილისის საკუთრების ობიექტების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით;

**ბ)** ადგილობრივი ფინანსები, რაიონის ბიუჯეტის ფორმირება და შესრულება; თბილისის მთავრობისთვის წინადადებების წარდგენა ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათი ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხი წილის დადგენის შესახებ; სხვა ადგილობრივი საფინანსო საკითხების გადაწყვეტა;

**გ)** დაქვემდებარებული ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების და ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტების შემუშავება;

**დ)** ადგილობრივი საინფორმაციო სამსახურის ორგანიზება და მისი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;

**ე)** დაქვემდებარებული ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება;

**ვ)** ქალაქ თბილისის განაშენიანების გენერალური გეგმიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით, დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მშენებლობის დაგეგმვა და განხორციელება;

**ზ)** საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დაწესებულების მშენებლობისთვის ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა;

**თ)** ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთება, რეკონსტრუქცია და მშენებლობა;

**ი)** სოციალური მომსახურების ორგანიზება;

**კ)** რაიონის ტერიტორიაზე არსებული საბინაო ფონდის პრივატიზაცია;

**ლ)** ადგილობრივი მნიშვნელობის იმ სხვა საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციით, კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის, ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მერის აქტებით, არ შედიან მმართველობის სხვა ორგანოების გამგებლობაში.

***მუხლი 10. გამგეობის კომპეტენცია ეკონომიკურ სფეროში***

ეკონომიკის სფეროში გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

**ა)** ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, მისი შესრულების უზრუნველყოფა, საგადასახადო სამსახურებთან ერთად ადგილობრივი და საერთო სახელმწიფო გადასახადების ამოღების კოორდინაცია;

**ბ)** დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ეკონომიკური რეფორმების განხორციელების კოორდინაცია, ამ სფეროში საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს, მერის, პრემიერისა და ქალაქ თბილისის მთავრობის აქტების აღსრულების კონტროლი; ქალაქ თბილისის მთავრობისთვის შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

**გ)** მის გამგებლობაში არსებული ადგილობრივი საკუთრების ობიექტების რეგისტრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და შეფასება, ზედამხედველობა, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ქალაქ თბილისის მთავრობისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წინადადებების მომზადება ადგილობრივი ქონების შექმნის, შეძენის და მისი გასხვისების შესახებ;

**დ)** ადგილობრივი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელების ორგანიზება, საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა, ქალაქ თბილისის მთავრობისთვის შესაბამისი წინადადებების მომზადება;

**ე)** ეკონომიკური ინფრასრტუქტურის განვითარებისა და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებულ ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პოლიტიკის განსაზღვრა, ქალაქ თბილისის მთავრობისთვის შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადება;

**ვ)** ადგილობრივი ეკონომიკური ინფრასტუქტურის განვითარებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კომერციული პროგრამების მომზადების კოორდინაცია, მათი განვითრებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა; ამ მიზნით დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებთან და მეწარმეებთან თანამშრომლობის ორგანიზება.

**მუხლი 11. გამგეობის კომპეტენცია სოციალურ სფეროში**

სოციალურ სფეროში გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

**ა)** მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მონიტორინგი, ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

**ბ)** ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავება და მათი რეალიზაცია;

**გ)** ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ დადგენილი წესით, სახელმწიფო და ქალაქ თბილისის შესაბამის სამსახურებთან, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან ერთად, ჰუმანიტარული დახმარების ეფექტიან პროგრამათა შემუშავება, მათი განხორციელების ორგანიზება;

**დ)** ადგილობრივი სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ორგანიზება;

**ე)** ადგილობრივი შრომის ბაზრის ანალიზი, მოსახლეობისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, ადგილობრივი დასაქმების პროგრამათა შემუშავება და მათი განხორციელების ორგანიზება;

**ვ)** სოციალურ სფეროში სახვადასხვა სოციალური ფენების ინტერესთა ანალიზი, საზოგადოებრივ ინიციატივათა შესწავლა და მათი ხელშეწყობა, სხვადასხვა სოციალური ფონდების ჩამოყალიბებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

**ზ)** ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელება.

**მუხლი 12. გამგეობის კომპეტენცია სამეურნეო სფეროში**

სამეურნეო სფეროში გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

**ა)** ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა უზრუნველყოფა;

**ბ)**ადგილობრივი მეურნეობის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროგრამების მომზადება და მათი განხორციელების ორგანიზება;

**მუხლი 13. გამგეობის კომპეტენციების გადაცემა Qქ.თბილისის მმართველობის სხვა ორგანოებისთვის**

ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციები შეიძლება გადაეცეს ქალაქ თბილისის მმართველობის სხვა ორგანოს ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით.

***მუხლი 14. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების, პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა***

1. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტით, პრემიერის განკარგულებითა და გამგეობის რეგლამენტით.

2. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს რაიონის გამგებელი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარუდგენს ქალაქ თბილისის მთავრობას განსახილველად.

*თავი V*
*გამგეობის სტრუქტურა*

***მუხლი 15. გამგეობის სტრუქტურა***

გამგეობის სტრუქტურული ერთეულებია:

*1.* გამგეობის აპარატი;
*2.* სოციალურ საკითხთა განყოფილება;
*3.* საბინაო-კომუნალური განყოფილება;
*4.* ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილება;
*5.* სამხედრო განყოფილება.

***მუხლი 16. გამგეობის აპარატი***

1. გამგეობის აპარატი ახორციელებს გამგეობისა და გამგეობის სამსახურების საინფორმაციო, ტექნიკურ, იურიდიულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

2.აპარატის მუშაობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

3. აპარატის უფროსის არყოფნისას მას ცვლის ის მოხელე, რომელსაც ამ მოვალეობის შესრულებას განკარგულებით დაავალებს გამგებელი.

4. გამგეობის აპარატის Aთანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

5. აპარატის თანამშრომელთა უფლებამოვალეობანი განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციებით, რომელსაც აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს რაიონის გამგებელი.

6. გამგეობის აპარატის სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება გამგეობის აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგებელი.

***მუხლი 17 . გამგეობის სამსახური ( განყოფილება)***

1. გამგეობის სამსახური (განყოფილება) წარმოადგენს გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ დარგებში უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილ გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს.

2. გამგეობის სამსახურებს (განყოფილებებს) გამგებლის წარდგინებით ქმნის და აუქმებს ქალაქ თბილისის მერი.

3. გამგეობის სამსახურის (განყოფილების) საქმიანობას წარმართავს სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რაიონის გამგებელი მერთან შეთანხმებით.

4. გამგეობის სამსახურის (განყოფილების) თანამშრომლებს სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი. გამგეობის სამსახურის (განყოფილების) მოსამსახურეთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესი, მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება სამსახურის (განყოფილების) დებულებით.

**მუხლი 18. გამგეობის სამსახურის კომპეტენცია და საქმიანობის წესი**

გამგეობის სამსახურის კომპეტენცია, საქმიანობის წესი და მიმართება საქალაქო სამსახურებთან განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგებელი.

***მუხლი 19. გამგეობის რეგლამენტი***

გამგებლისა და გამგეობის საგანმკარგულებლო დოკუმენტების მომზადებისა და გაფორმების, გამგეობის სხდომების, გამგებლის თათბირის მომზადებისა და ჩატარების წესი განისაზღვრება გამგეობის რეგლამენტით, რომელსაც ქალაქ თბილისის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს გამგებელი.

**თავი VI.**
**რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოები**

**მუხლი 20. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულები და მისი ორგანოები**

1. რაიონში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებს ქმნის და აუქმებს, მის საზღვრებს ადგენს და ცვლის ქალაქ თბილისის საკრებულო მერის წარდგინებით.

2. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს, რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად ქმნის რაიონის გამგეობა.

3. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების მმართველობის ორგანო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მერიის, რაიონის გამგეობისა და გამგებლის გადაწყვეტილებებით, ამ დებულებითა და მისგან გამომდინარე, რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოს დებულებით.

**მუხლი 21. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოების მიზნები და ამოცანები**

1. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოები უზრუნველყოფენ „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულებითა" და რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებებით განსაზღვრული რაიონის მიერ მათთვის დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

2. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს საქმიანობის მიზანია განამტკიცოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კავშირი მოსახლეობასთან, ორგანიზაციულად უზრუნველყოს და გააკონტროლოს რაიონის გამგებლის და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულება; უზრუნველყოს მოსახლეობა კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებით; განახორციელოს ამ დებულებითა და გამგეობის დადგენილებებით დაკისრებული უფლებამოსილებანი.

**მუხლი 22. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს შემადგენლობა**

1. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონის გამგებელი, ხოლო ამ ორგანოს სტრუქტურას და პერსონალურ შემადგენლობას რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა.

2. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანო და მისი ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულნი არიან რაიონის გამგეობისა და გამგებლის წინაშე.

3. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს უფლებამოსილება და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება დებულებით, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს რაიონის გამგეობა.

*თავი VII.*
*რაიონის გამგეობის და გამგებლის სამართლებრივი აქტები*

***მუხლი 23. რაიონის გამგეობის და გამგებლის სამართლებრივი აქტები***

1. რაიონის თანამდებობის პირები კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს.

2. რაიონის თანამდებობის პირების ნორმატიული აქტების: გამგებლის ბრძანების, გამგეობის დადაგენილების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით, მერიის დებულებითა და მის საფუძველზე მიღებული ქალაქ თბილისის მთავრობისა და გამგეობის რეგლამენტით.

3. რაიონის თანამდებობის პირების ინდივიდუალური აქტის: გამგებლის განკარგულების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება მერიის დებულებით და მის საფუძველზე მიღებული ქალაქ თბილისის მთავრობისა და გამგეობის რეგლამენტით.

4. გამგეობის, გამგებლის ნორმატიული აქტი ძალაში შედის დადგენილი წესით მისი გამოქვეყნების შემდეგ.

***მუხლი 24. რაიონის თანამდებობის პირების გადაწყვეტილებათა შეჩერება და გაუქმება***

1. რაიონის გამგეობის და გამგებლის გადაწყვეტილებებს აჩერებს და აუქმებს ქალაქ თბილისის საკრებულო, მერი, ქალაქ თბილისის მთავრობა, აგრეთვე სასამართლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

2. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებებს აჩერებს ან აუქმებს შესაბამისი რაიონის გამგებელი, აგრეთვე სასამართლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

*თავი VIII.*
*დასკვნითი დებულებანი*

***მუხლი 25.***

1. გამგეობის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადაგენილი წესით.
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## "განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე"

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

ა) "**ბორის, კომპოზიციური და ნახევარგამტარი მასალების**" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

ბ) "**ლითონების წარმოებისა და დამუშავების**" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

გ) "**მანგანუმის შენადნობების, კომპლექსური განმჟანგველებისა და მოდიფიკატორების**" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

დ) "**ლითონმცოდნეობის**" ლაბორატორიის ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

ე) "**თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის**" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

ვ) "**არაორგანული მასალების ფიზიკურ-ქიმიური კვლევის**" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

ზ) "**სტრუქტურისა და თვისებების კვლევის**" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

თ) "**ფხვნილთა მეტალურგიის**" ლაბორატორიის გამგე / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV)

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის, ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.)

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლითაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია)

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია)

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია)

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში),\;

ბ) პატენტები;

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის საერთაშორისო თემატიკაში;

ე) სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიული ხედვა;

ვ)კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

5. საბუთების მიღება იწარმოებს: ალ. ყაზბეგის გამზირი 15, სსპი - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის კადრების განყოფილება.

6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 25 აგვისტო, 2006

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 5 სექტემბერს

8. საბუთები სასურველია იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით, სასურველია ინგლისურ ენაზეც, რამდენადაც საკონკურსო კომისიის რამდენიმე წევრი შესაძლებელია იყოს დასავლეთ ევროპის ან აშშ უნივერსიტეტის თანამშრომელი (სამეცნიერო ნაშრომის, ელექტრონული ფორმით წარმოდგენა არ არის აუცილებელი). საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული ან დისკით, ან გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: postmaster@metal.acnet.ge

